

# საქართველოს მთავრობის

## დადგენილება №325

2013 წლის 9 დეკემბერი

ქ. თბილისი

### ტექნიკური რეგლამენტის „საქართველოს სამოქალაქო ავიაციის მეტეოროლოგიური უზრუნველყოფის წესის“ დამტკიცების თაობაზე

„საერთაშორისო სამოქალაქო ავიაციის შესახებ“ ჩიკაგოს 1944 წლის კონვენციის მე-3 დანართის („საერთაშორისო აერნავსობის მეტეოროლოგიური უზრუნველყოფა“), პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 58-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის შესაბამისად:

#### მუხლი 1

დამტკიცდეს თანდართული „ტექნიკური რეგლამენტი საქართველოს სამოქალაქო ავიაციის მეტეოროლოგიური უზრუნველყოფის წესი“.

#### მუხლი 2

ძალადაკარგულად გამოცხადდეს სსიპ - სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2012 წლის 13 თებერვლის №30 ბრძანება „ტექნიკური რეგლამენტის „საქართველოს სამოქალაქო ავიაციის მეტეოროლოგიური უზრუნველყოფის წესის“ დამტკიცების თაობაზე“.

#### მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი

ირაკლი ღარიბაშვილი

ტექნიკური რეგლამენტი  
საქართველოს სამოქალაქო ავიაციის მეტეოროლოგიური უზრუნველყოფის წესი  
კარი I  
თავი I

### ზოგადი ნაწილი

#### მუხლი 1. ცნებებისა და ტერმინების განმარტებები

„საქართველოს სამოქალაქო ავიაციის მეტეოროლოგიური უზრუნველყოფის წესში“ გამოყენებულ ცნებებსა და ტერმინებს, აქვს შემდეგი მნიშვნელობები:

ა) **აბსოლუტური სიმაღლე** – ვერტიკალური მანძილი ზღვის საშუალო დონიდან წერტილის ან ობიექტის (რომელიც მიღებულია წერტილად) დონემდე;

ბ) **ადამიანური ფაქტორის ასპექტები** – პრინციპები, რომლებიც გამოიყენება დაპროექტების, სერტიფიცირების, კადრების მომზადებისა და საექსპლუატაციო საქმიანობის პროცესების მიმართ ავიაციაში და გამიზნულია ადამიანსა და სხვა კომპონენტებს შორის უსაფრთხო ურთიერთქმედების უზრუნველსაყოფად, ადამიანის შესაძლებლობების სათანადო გათვალისწინებით;

გ) (ამოღებულია - 21.02.2018, №97);

დ) **ადზ-ის ზღურბლი** – ადზ-ის საწყისი მონაკვეთი, რომლის გამოყენება შეიძლება საჰაერო ხომალდების დასაფრენად;



ე) **აეროდრომი** – მიწის ან წყლის ზედაპირის გარკვეული ფართობი (მასზე განლაგებული შენობებით, ნაგებობებითა და მოწყობილობებით), რომელიც მთლიანად ან ნაწილობრივ განკუთვნილია საჰაერო ხომალდების მიღების, მოძრაობისა და გაშვებისათვის;

ვ) **აეროდრომის კლიმატოლოგიური ცხრილი** – ცხრილი, რომელიც აეროდრომის ერთ ან რამდენიმე მეტეოროლოგიურ ელემენტზე დაკვირვების შედეგების სტატისტიკურ მონაცემებს შეიცავს;

ზ) **აეროდრომის მეტეოროლოგიური სამსახური** – სამსახური, რომელიც უზრუნველყოფს მეტეოროლოგიურ მომსახურებას კონკრეტულ აეროდრომზე;

თ) (ამოღებულია - 21.02.2018, №97);

ი) **აეროდრომის სამეთვალყურეო პუნქტი** – სააეროდრომო მოძრაობის სამეთვალყურეო მომსახურების უზრუნველსაყოფი ორგანო;

კ) **აეროდრომის რაიონში ინფორმაციის ავტომატური გადაცემის სამსახური (ATIS)** -განსაზღვრულ საათებში ან დღე-ღამის განმავლობაში დადგენილი მიმდინარე ინფორმაციის მიწოდება მოსაფრენი და გასაფრენი საჰაერო ხომალდებისათვის, უწყვეტი განმეორებადი რადიოგადაცემების სახით;

ლ) **აეროდრომის შემადგენლობა** – ასაფრენ-დასაფრენი მოედნის ყველაზე მაღალი წერტილის ზღვის დონიდან შემადგენლობა;

მ) **აეროპორტი** – საავიაციო საწარმო, რომელიც ახორციელებს საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვებს, საჰაერო ხომალდების მოძრაობის მომსახურებას და ამ მიზნით აქვს აეროდრომი, აეროვაგზალი, აგრეთვე სხვა მიწისზედა ნაგებობები, მოწყობილობები და ჰყავს მომსახურე პერსონალი;

ნ) **ასაფრენ-დასაფრენი ზოლი** – სახმელეთო აეროდრომზე გამოყოფილი, საჰაერო ხომალდების ასაფრენ-დასაფრენად განკუთვნილი, მართკუთხა ფართი;

ო) **აუცილებელი მოხსენების პუნქტი** – გეოგრაფიული წერტილი საჰაერო ტრასაზე, რომლის გადაფრენა საჰაერო ხომალდის ეკიპაჟმა სმმ-ის ორგანოს უნდა მოახსენოს;

პ) **ბრიფინგი** – გაფრენისწინა ინსტრუქტაჟი, ფაქტობრივი და მოსალოდნელი ამინდის პირობების გაცნობა;

ჟ) **დაკვირვება საჰაერო ხომალდიდან** – ფრენის დროს ერთი ან რამდენიმე მეტეოროლოგიური ელემენტის შეფასება;

რ) **დანიშნულების აეროდრომი** – აეროდრომი, რომელიც მითითებულია ფრენის გეგმითა და დავალებით, მარშრუტის ბოლო პუნქტი;

ს) **დაფრენის არე** – მონაკვეთი ადზ-ის ზღურბლის შიგნით, რომელიც, საჰაერო ხომალდის დაფრენის დროს, პირველი შეხებისათვის არის განკუთვნილი;

ტ) **ვერტიკალური ხილვადობა** – მაქსიმალური მანძილი დედამიწიდან იმ დონემდე, საიდანაც ვერტიკალურად ქვემოთ ჩანს ობიექტები მიწაზე;

უ) **ვიზუალური ფრენა** – ფრენა ისეთ პირობებში, როდესაც საჰაერო ხომალდის ადგილმდებარეობის განსაზღვრა ხდება ბუნებრივი ჰორიზონტისა და სახმელეთო ორიენტირების საშუალებით;

ფ) **ვიზუალური ფრენის წესები** – ვფწ – წესები, რომლებიც ითვალისწინებს ეკიპაჟის მიერ, საჰაერო ვითარების ვიზუალური დაკვირვებისა და დაფრენის რეჟიმის ხანმოკლე შეცვლის გზით, ჰაერში და დედამიწის ზედაპირზე საჰაერო ხომალდებსა და სხვა მატერიალურ ობიექტებს შორის დადგენილი შუალედების შენარჩუნებას;

ქ) **ზონალური პროგნოზების მსოფლიო სისტემა (ზპმს)** – მსოფლიო სისტემა, რომელიც



უზრუნველყოფს მსოფლიო და რეგიონული ზონალური პროგნოზების ცენტრების მიერ საავიაციო მეტეოროლოგიური პროგნოზების წარდგენას ფრენების მარშრუტებზე, ერთგვაროვანი სტანდარტიზებული ფორმით;

ღ) **ზონალური პროგნოზების მსოფლიო ცენტრი (ზპმც)** – მეტეოროლოგიური ცენტრი, რომლის დანიშნულებაც ამინდის განსაკუთრებული მოვლენების, სიმაღლეებზე ქარისა და ჰაერის ტემპერატურის გლობალური მასშტაბის პროგნოზების მომზადება და ციფრული გამოსახულების სახით დაგზავნა სახელმწიფოებისათვის, სააერნოსნო ფიქსირებული მომსახურების ფარგლებში, ინტერნეტის საშუალებით;

ყ) **ზონალური აერნოსნობა (RNAV)** – აერნოსნობის მეთოდი, რომელიც საშუალებას აძლევს საჰაერო ხომალდს განახორციელოს ფრენა ნებისმიერ სასურველ ტრაექტორიაზე მიწისპირა ან თანამგზავრული სააერნოსნო საშუალებების მოქმედების ზონის ან ავტონომიური საშუალებების ან მათი კომბინაციების განსაზღვრული შესაძლებლობების საზღვრებში;

შ) **ზონალური პროგნოზი GAMET** – საფრენოსნო ინფორმაციის რაიონის მეტეოროლოგიური ორგანოს ან შესაბამისი სრულუფლებიანი მეტეოროლოგიური ორგანოს მიერ ღია ტექსტით ან შემოკლებებით შედგენილი ზონალური პროგნოზი დაბალ სიმაღლეებზე საფრენად, რომელიც გადაეცემა მეზობელი საფრენოსნო ინფორმაციის რაიონების მეტეოროლოგიურ ორგანოებს, შესაბამის სრულუფლებიან მეტეოროლოგიურ ორგანოებს შორის შეთანხმების საფუძველზე;

ჩ) **ინსტრუქტაჟი** – ფაქტობრივი ან მოსალოდნელი მეტეოროლოგიური პირობების შესახებ ზეპირი კონსულტაცია;

ც) **ინფორმაცია AIRMET** – მეტეოროლოგიური თვალთვალის ორგანოს მიერ გამოშვებული ინფორმაცია ფრენის მარშრუტზე, ისეთი ფაქტობრივი ან მოსალოდნელი ამინდის პირობების შესახებ, რომლებსაც ფრენების უსაფრთხოებაზე ზემოქმედების მოხდენა დაბალ სიმაღლეებზე შეუძლიათ;

ძ) **ინფორმაცია SIGMET** – მეტეოროლოგიური თვალთვალის ორგანოს მიერ გამოცემული ინფორმაცია ფრენის მარშრუტზე ფაქტობრივი და მოსალოდნელი ამინდის მოვლენების წარმოშობისა და ატმოსფეროს სხვა მოვლენების შესახებ, რომელთაც შეუძლიათ, გავლენა იქონიონ ფრენების უსაფრთხოებაზე;

წ) **კონსულტაცია** – (მეტეოროლოგიური). მეტეოროლოგთან ან სხვა სპეციალისტთან ფრენასთან დაკავშირებული ფაქტობრივი ან სავარაუდო მეტეოროლოგიური პირობების განხილვა. განხილვაში შედის პასუხების გაცემაც;

ჭ) **კრეისერული ეშელონი** – ეშელონი, რომელიც ფრენის მნიშვნელოვან ნაწილზეა შენარჩუნებული;

ხ) **მეტეოროლოგიური ბიულეტენი** – შესაბამისი სათაურის მქონე ტექსტი, რომელიც მეტეოროლოგიურ ინფორმაციას შეიცავს;

ჯ) **მეტეოროლოგიური დაკვირვება** – ერთი ან რამდენიმე მეტეოროლოგიური ელემენტის და/ან ამინდის მოვლენის შეფასება;

ჰ) **მეტეოროლოგიური თანამგზავრი** – დედამიწის ხელოვნური თანამგზავრი, რომელიც მეტეოროლოგიურ დაკვირვებებს ატარებს და ამ დაკვირვებების შედეგებს დედამიწაზე გადმოცემს;

ჰ<sup>1</sup>) **მეტეოროლოგიური თვალთვალის ორგანო** – მეტეოროლოგიური ორგანო, რომელიც მეტეოროლოგიურ პირობებს თვალყურს ადევნებს პასუხისმგებლობის იმ განსაზღვრულ არეში, რომელიც საფრენოსნო ინფორმაციის რაიონის საზღვრებს ემთხვევა;

ჰ<sup>2</sup>) **მეტეოროლოგიური ინფორმაცია** – მეტეოროლოგიური შეტყობინება ანალიზი, პროგნოზი და სხვა ნებისმიერი ცნობა, რომელიც ფაქტობრივ ან მოსალოდნელ მეტეოროლოგიურ პირობებს ეხება;

ჰ<sup>3</sup>) **მეტეოროლოგიური სამსახური** – სააგენტოს მიერ სერტიფიცირებული სამსახური – შპს



„საქართველოს“ მეტეოროლოგიური სამსახური, რომელიც მომხმარებელთან შეთანხმებით უზრუნველყოფს სააერნაოსნო მეტეოროლოგიური ინფორმაციით მომსახურებას;

3<sup>4</sup>) მეტეოროლოგიური ცნობა – შეტყობინება განსაზღვრულ ადგილზე და დროს მეტეოროლოგიურ პირობებზე ჩატარებული დაკვირვებების შედეგების შესახებ;

3<sup>5</sup>) მინიმალური აბსოლუტური სიმაღლე სექტორში – უმცირესი აბსოლუტური სიმაღლე, რომლით სარგებლობა შესაძლებელია და რომელიც უზრუნველყოფს სიმაღლის 300მეტრის (1000ფუტი) მინიმალურ მარაგს იმ ყველა ობიექტის თავზე, რომელიც მდებარეობს 46 კმ-ის (25 ს.მილი) რადიუსის სექტორში და რომლის ცენტრშიც მდებარეობს სარადიონაოსნო საშუალება;

3<sup>6</sup>) მისადგომის სამეთვალყურეო პუნქტი – ორგანო, რომელიც განკუთვნილია იმ საჰაერო ხომალდების კონტროლირებადი ფრენების სამეთვალყურეო მომსახურების უზრუნველსაყოფად, რომლებიც დასაფრენად შედიან ერთ ან რამდენიმე აეროდრომზე ან ასრულებენ ფრენას ამ აეროდრომებიდან;

3<sup>7</sup>) მომსახურების არე – (ზონალური პროგნოზების მსოფლიო სისტემა). გეოგრაფიული რაიონი, რომლის ფარგლებშიც ზონალური პროგნოზების მსოფლიო ცენტრი პასუხისმგებელია სრულყოფილიანი მეტეოროლოგიური ორგანოსათვის და სხვა მომხმარებლებისათვის განკუთვნილი ზონალური პროგნოზების გამოშვებაზე;

3<sup>8</sup>) პროგნოზი (ამინდის) – მოსალოდნელი მეტეოროლოგიური. პირობების აღწერა განსაზღვრულ არეში ან საჰაერო სივრცის ნაწილში, გარკვეულ დროს ან დროის მონაკვეთში;

3<sup>9</sup>) პროგნოზული რუკა – გარკვეული მეტეოროლოგიური ელემენტების, მოვლენების გრაფიკული გამოსახვა პროგნოზის რუკაზე დროის გარკვეული მომენტის ან პერიოდისათვის, განსაზღვრული ზედაპირის ან საჰაერო სივრცის ნაწილისათვის;

3<sup>10</sup>) საავიაციო ელექტროკავშირის სადგური – საავიაციო ელექტროკავშირის სამსახურის სადგური;

3<sup>11</sup>) სააერნაოსნო სპეციფიკაცია – აერნაოსნობის პირობებში საჰაერო ხომალდთან და საფრენოსნო ეკიპაჟთან მოთხოვნების ერთობლიობა ფრენების განხორციელების უზრუნველსაყოფად, დაფუძნებული მახასიათებლებზე, დადგენილი საჰაერო სივრცის პირობებში. არსებობს ორი სახის სააერნაოსნო სპეციფიკაცია:

3<sup>11.ა</sup>) სპეციფიკაცია, რომელიც ითხოვს სააერნაოსნო მახასიათებლებს (RNP). ეფუძნება ზონალურ ნავიგაციას, რომელიც მოიცავს კონტროლს, შეყოვნებასა და გაფრთხილების მიცემაზე მახასიათებლების შეუსრულებლობაზე, აღნიშნული პრეფიქსით RNP, მაგალითად RNP4, RNP APCH;

3<sup>11.ბ</sup>) ზონალური აერნაოსნობის სპეციფიკაცია (RNAV). სააერნაოსნო სპეციფიკაცია, დაფუძნებული ზონალურ აერნაოსნობაზე, რომელიც არ მოიცავს მოთხოვნებს კონტროლზე, მახასიათებლების შეუსრულებლობაზე, აღნიშნული პრეფიქსით RNAV, მაგალითად RNAV5 RNAV;

3<sup>12</sup>) საერთაშორისო ავიახაზებზე ვულკანურ მოქმედებებზე მეთვალყურეობის სამსახური (IAVW). საერთაშორისო მოლაპარაკებები, უშუალოდ ატმოსფეროში ვულკანურ ფერფლზე კონტროლის და საჰაერო ხომალდებზე გაფრთხილებების შესახებ;

3<sup>13</sup>) სათადარიგო აეროდრომი – აეროდრომი, სადაც სხ შეიძლება გაფრინდეს იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია ან მიზანშეუწონელია დანიშნულების აეროდრომამდე ფრენის გაგრძელება ან დაფრენა. სათადარიგო აეროდრომებს განეკუთვნება;

3<sup>13.ა</sup>) დანიშნულების პუნქტის სათადარიგო აეროდრომი – სათადარიგო აეროდრომი, სადაც სხ-ს შეუძლია განახორციელოს დაფრენა იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია ან მიზანშეუწონელია დანიშნულების აეროდრომზე დაფრენა;

3<sup>13.ბ</sup>) სათადარიგო აეროდრომი აფრენისას. სათადარიგო აეროდრომი, სადაც სხ-ს შეუძლია დაფრენა იმ



შემთხვევაში, თუ ამის აუცილებლობა იქმნება აფრენისთანავე და გამოფრენის აეროდრომის გამოყენება შეუძლებელია;

3<sup>13</sup>.გ) მარშრუტზე სათადარიგო აეროდრომი – აეროდრომი, სადაც სხ-ს შეუძლია განახორციელოს დაფრენა იმ შემთხვევაში, თუ მარშრუტზე ფრენისას იგი არასტანდარტულ ან ავარიულ ვითარებაში აღმოჩნდა;

3<sup>13</sup>.დ) (ამოღებულია - 11.02.2016, №60);

**შენიშვნა:** გამოფრენის აეროდრომი შეიძლება მიჩნეულ იქნეს მარშრუტის ან დანიშნულების პუნქტის სათადარიგო აეროდრომად.

3<sup>14</sup>) **საკონსულტაციო ცენტრი ვულკანური ფერფლის შესახებ (VAAC)** – მეტეოროლოგიური ცენტრი, დანიშნული რეგიონული სააერონავიგაციო შეთანხმების შესაბამისად, საკონსულტაციო ინფორმაციის გადასაცემად მეტეოროლოგიური თვალთვალის ორგანოებისათვის, რაიონული სამეთვალყურეო ცენტრებისათვის, საფრენოსნო ინფორმაციის ცენტრებისათვის, ზონალური პროგნოზების მსოფლიო ცენტრებისათვის და მონაცემების საერთაშორისო ბანკებისათვის ვულკანური ფერფლის ვერტიკალურ და ჰორიზონტალურ სიმძლავრეებზე, აგრეთვე, ვულკანური ფერფლის პროგნოზირებად გადაადგილებაზე ვულკანის ამოფრქვევის შემდეგ;

3<sup>15</sup>) **საკონსულტაციო ცენტრი ტროპიკული ციკლონების შესახებ.(TCAA)** – მეტეოროლოგიური ცენტრი, დანიშნული რეგიონული სააერონავიგაციო შეთანხმების შესაბამისად, საკონსულტაციო ინფორმაციის გადასაცემად მეტეოროლოგიური თვალთვალის ორგანოებისათვის, ზონალური პროგნოზების მსოფლიო ცენტრებისათვის, და OPMET-ის მონაცემების საერთაშორისო ბანკებისათვის ტროპიკული ციკლონების უშუალო ადგილმდებარეობაზე, გადაადგილების პროგნოზირებად მიმართულებაზე და სიჩქარეზე, ცენტრში წნევის სიდიდეზე და მიწისპირა ქარის მაქსიმალურ სიჩქარეზე;

3<sup>16</sup>) **სამეთვალყურეო არე** – დედამიწის ზედაპირიდან დადგენილ ზედა საზღვრამდე გადაჭიმული მეთვალყურეობის ქვეშ მყოფი საჰაერო სივრცე;

3<sup>17</sup>) **საფრენოსნო საბუთები** – ხელით შევსებული ან დაბეჭდილი საბუთები, მათ შორის, რუკები ან ბლანკები, რომლებიც საფრენოსნო მეტეოროლოგიურ ინფორმაციას შეიცავს;

3<sup>18</sup>) **საფრენოსნო ინფორმაციის ცენტრი** – ორგანო, რომელიც საინფორმაციო მომსახურებისა და ავარიული შეტყობინების უზრუნველსაყოფად არის განკუთვნილი;

3<sup>19</sup>) **საფრენოსნო ინფორმაციის რაიონი** – დადგენილი ზომების საჰაერო სივრცე, რომლის ფარგლებშიც საფრენოსნო-საინფორმაციო მომსახურება და ავარიული შეტყობინება ხორციელდება;

3<sup>20</sup>) **საჰაერო მოძრაობის მომსახურება** – ზოგადი ტერმინი, რომელიც შესაბამის შემთხვევაში ნიშნავს: საფრენოსნო-საინფორმაციო მომსახურებას, საავარიო შეტყობინებას, საჰაერო მოძრაობის საკონსულტაციო მომსახურებას, საჰაერო მოძრაობის სამეთვალყურეო მომსახურებას (რაიონული სამეთვალყურეო, მისადგომის სამეთვალყურეო და/ან სააეროდრომო სამეთვალყურეო მომსახურებას);

3<sup>21</sup>) **საჰაერო მოძრაობის მომსახურების ორგანო (სმმ)** – ზოგადი ტერმინი, რომელიც შესაბამის შემთხვევებში ნიშნავს: საჰაერო მოძრაობის სამეთვალყურეო მომსახურების ორგანოს, საფრენოსნო-საინფორმაციო ცენტრს ან სმმ-ის შეტყობინებების შეგროვების პუნქტს;

3<sup>22</sup>) **საჰაერო ხომალდი** – ნებისმიერი აპარატი, რომელიც ატმოსფეროში მდებარეობას ჰაერთან ურთიერთქმედების შედეგად ინარჩუნებს, დედამიწის ზედაპირიდან არეკლილ ჰაერთან ურთიერთქმედების გამოკლებით. საჰაერო ხომალდებია: თვითმფრინავი, შვეულმფრენი, პლანერი და სხვა საშუალებები;

3<sup>23</sup>) **საჰაერო ხომალდის მეთაური** – ფრენისას საჰაერო ხომალდის მართვისა და მისი უსაფრთხოებისათვის პასუხისმგებელი პილოტი;



3<sup>24</sup>) **საფრენოსნო ეკიპაჟის წევრი** – მოწმობის მქონე ეკიპაჟის წევრი, რომელსაც ფრენის დროის განმავლობაში საჰაერო ხომალდის მართვასთან დაკავშირებული მოვალეობები აკისრია;

3<sup>25</sup>) **სრულუფლებიანი მეტეოროლოგიური ორგანო** – სახელმწიფოს მიერ განსაზღვრული სრულუფლებიანი ორგანო, რომელიც საერთაშორისო აერნავიაციის მეტეოროლოგიურ უზრუნველყოფას ახორციელებს ან ორგანიზებას უკეთებს ასეთ უზრუნველყოფას ხელშემკვრელი სახელმწიფოს სახელით;

3<sup>26</sup>) **სტანდარტული იზობარული ზედაპირი** – სტანდარტული ზედაპირი, რომელიც, მსოფლიო მასშტაბით, ატმოსფერული პირობების გრაფიკული წარმოდგენისა და გაანალიზებისათვის გამოიყენება;

3<sup>27</sup>) **ტროპიკული ციკლონი** – სინოპტიკური მასშტაბის არაფრონტალური ციკლონის აღსანიშნავი საერთო ტერმინები, რომელიც წარმოიქმნება ოკეანის ტროპიკულ ან სუბტროპიკულ არეში, სადაც მიწისპირა ქარების ციკლონური ცირკულაციაა განვითარებული;

3<sup>28</sup>) **უმეტესი ხილვადობა** – ხილვადობის სიდიდე, ტერმინ “ხილვადობის“ განსაზღვრების შესაბამისად, რომელიც ჰორიზონტის ხაზის ან აეროდრომის ფართობის სულ ცოტა ნახევრის ტოლია;

3<sup>29</sup>) **ფრენის ეშელონი** – მუდმივი ატმოსფერული წნევის მქონე ზედაპირი, რომელიც შეესაბამება წნევის დადგენილ სიდიდეს (1013,23ჰა) და სხვა ასეთი ზედაპირებიდან წნევის დადგენილი ინტერვალებით არის დაცილებული;

**შენიშვნა 1:** ბარომეტრული სიმაღლის საზომი, რომელიც სტანდარტული ატმოსფეროს მიხედვით არის დაგრადუირებული;

3<sup>29</sup>. ა) QNH-ზე დაყენებისას, აბსოლუტურ სიმაღლეს გვიჩვენებს;

3<sup>29</sup>. ბ) QFE-ზე დაყენებისას, ფარდობით სიმაღლეს გვიჩვენებს QFE-ის საყრდენი წერტილის თავზე;

3<sup>29</sup>. გ) 1013,2 ჰა-ზე დაყენებისას, ის შეიძლება გამოყენებული იქნეს ფრენის ეშელონის მისათითებლად.

**შენიშვნა 2:** შენიშვნა 1-ში გამოყენებული ტერმინი “ფარდობითი სიმაღლე“ და “აბსოლუტური სიმაღლე“ ნიშნავს სახელსაწყო ფარდობით და აბსოლუტურ სიმაღლეებს და არა გეომეტრიულს.

3<sup>30</sup>) **ფრენის სამუშაო გეგმა** – ექსპლუატანტის მიერ შედგენილი გეგმა, საჰაერო ხომალდის საფრენოსნო-ტექნიკური მახასიათებლების, საექსპლუატაციო შეზღუდვების, დასახელებულ მარშრუტზე და შესაბამის აეროდრომებზე ამინდის მოსალოდნელი პირობების გათვალისწინებით, ფრენის უსაფრთხოდ შესასრულებლად;

3<sup>31</sup>) **ფრენებისათვის მნიშვნელოვანი ღრუბელი** – ღრუბელი, რომლის ქვედა საზღვარი 1500 მ-ზე (4500 ფტ) ან უდიდეს მინიმალურ აბსოლუტურ სიმაღლეზე დაბლაა (სექტორში), იმისდა მიხედვით, რომელიც უფრო მეტია;

3<sup>32</sup>) **შემაღლება** – ვერტიკალური მანძილი ზღვის საშუალო დონიდან წერტილამდე ან დედამიწის ზედაპირის დონემდე ან მასთან დაკავშირებულ ობიექტამდე;

3<sup>33</sup>) **ფარდობითი სიმაღლე** – ვერტიკალური მანძილი მითითებული საწყისი დონიდან წერტილის ან ობიექტის (რომელიც მიღებულია წერტილად) დონემდე;

3<sup>34</sup>) **ციფრული მონაცემები რეგულარული ბადის კვანძებში** – კომპიუტერზე დამუშავებული მეტეოროლოგიური მონაცემები რუკაზე თანაბრად განლაგებულ წერტილთა ჯგუფისათვის,



რომლებიც განკუთვნილია ერთი კომპიუტერიდან მეორეში გადასაცემად კოდური ფორმით და ვარგისია ავტომატიზებულ სისტემებში გამოსაყენებლად;

3<sup>35</sup>) **ხარისხის ზოგადი ხელმძღვანელობა** – მართვის ზოგადი ფუნქციების ის ასპექტები, რაც ხარისხის დარგისადმი მიდგომას, მიზნებსა და პასუხისმგებლობას განსაზღვრავს, აგრეთვე, მას, ხარისხის სისტემის (ისო 9000:8000) ფარგლებში, ახორციელებს ისეთი საშუალებებით, როგორცაა ხარისხის დაგეგმვა, მართვა, უზრუნველყოფა და გაუმჯობესება;

3<sup>36</sup>) **ხარისხის მართვა** – ოპერატიული ხასიათის მეთოდები და მოქმედების სახეობები, რომლებიც გამოიყენება ხარისხის მოთხოვნების (ისო 9000) უზრუნველსაყოფად;

3<sup>37</sup>) **ხარისხის სისტემა** – ორგანიზაციული სტრუქტურების, მეთოდების, პროცესების და რესურსების ერთობლიობა, რომლებიც ხარისხის ზოგადი მართვის (ისო 8402) განსახორციელებლად არის საჭირო;

3<sup>38</sup>) **ხარისხის უზრუნველყოფა** – ხარისხის სისტემის ფარგლებში დაგეგმილი და სისტემატურად განხორციელებული საქმიანობის სახეობები, აგრეთვე, იმის მტკიცებულება, რომ ობიექტი ხარისხისადმი წაყენებულ მოთხოვნებს შეესაბამება;

3<sup>39</sup>) **ხილვადობა** – ხილვადობა, საავიაციო მიზნებისათვის არის შემდეგი სიდიდეებიდან უდიდესი;

3<sup>39</sup>.ა) ის უდიდესი მანძილი, რომელზეც შესაძლებელია ხმელეთის სიახლოვეს ნათელ ფონზე განთავსებული მისაღები სიდიდის შავი ობიექტის ამოცნობა;

3<sup>39</sup>.ბ) ის უდიდესი მანძილი, რომელზეც შესაძლებელია გაუნათებელ ფონზე განთავსებული 1000 კანდელი სინათლის ძალის მქონე ნათურის შემჩნევა და ამოცნობა;

**შენიშვნა:** ეს ორი მანძილი განსხვავდება ჰაერის შთანთქმის კოეფიციენტის მიხედვით; ამასთან 3.39)ა)ხასიათდება ხილვადობის მეტეოროლოგიური ოპტიკური სიმორით(MOR), 3.39)ბ) კი ფონის განათებულობაზეა დამოკიდებული.

3<sup>40</sup>) **ხილვადობის მანძილი ადზ-ზე** – მანძილი, რომლის ფარგლებშიც ადზ-ის ღერძულა ხაზზე მდებარე საჰაერო ხომალდის პილოტს შეუძლია შეამჩნიოს ადზ-ის ზედაპირზე განლაგებული სიგნალები (ნიშნები) ან ადზ-ის შემომსაზღვრელი ან მისი ღერძული ხაზის მანიშნებელი ნათურები;

3<sup>41</sup>) **VOLMET** – მეტეოროლოგიური ინფორმაცია ჰაერში მყოფი საჰაერო ხომალდებისათვის;

3<sup>41</sup>.ა) **VOLMET-ის** მონაცემების გადამცემი ხაზი D-VOLMET- აეროდრომზე მიმდინარე რეგულარული მეტეოროლოგიური ცნობების (METAR) სპეციალური მეტეოროლოგიური ცნობების (SPECI), აეროდრომზე პროგნოზების (TAF), ინფორმაცია SIGMET-ის, AIRMET-ის, საჰაერო ხომალდიდან სპეციალური შეტყობინებების მიწოდება მონაცემების გადამცემი ხაზით;

3<sup>41</sup>. ბ) **სარადიომაუწყებლო გადაცემა VOLMET** – შესაბამის შემთხვევებში მიმდინარე ცნობების METAR, SPECI, პროგნოზების TAF-ი, ინფორმაცია SIGMET-ის მიწოდება უწყვეტი, განმეორებადი რადიოგადაცემის საშუალებით;

3<sup>42</sup>) **აეროდრომის კლიმატოლოგიური ცნობები** – სტატისტიკურ მონაცემებზე დაფუძნებული მოკლე ცნობები, მითითებული მეტეოროლოგიური ელემენტების შესახებ აეროდრომზე;

3<sup>43</sup>) **სააერნაოსნო ფიქსირებული მომსახურება (AFS)** – კავშირგაბმულობის მომსახურება განსაზღვრულ ფიქსირებულ პუნქტებს შორის, რომელიც ძირითადად განკუთვნილია სააერნაოსნო უსაფრთხოების, ასევე საჰაერო მიმოსვლის რეგულირების, ეფექტურობისა და ეკონომიურობის უზრუნველსაყოფად;

3<sup>44</sup>) (ამოღებულია - 21.02.2018, №97);



3 ) რაიონული სამეთვალყურეო ცენტრი – პუნქტი, რომელიც განკუთვნილია მის დაქვემდებარებაში მყოფ სამეთვალყურეო რაიონში კონტროლირებადი ფრენების სამეთვალყურეო მომსახურების უზრუნველსაყოფად;

3<sup>46</sup>) დონე – ზოგადი ტერმინი, რომელიც შეეხება მფრენი სხ-ის მდებარეობას ვერტიკალურ სიბრტყეში და, შესაბამის შემთხვევებში, ნიშნავს ფარდობით სიმაღლეს, აბსოლუტურ სიმაღლეს ან ფრენის ეშელონს;

3<sup>47</sup>) საექსპლოატაციო დაგეგმვა – ფრენების განხორციელების დაგეგმვა ნებისმიერი ექსპლუატანტის მიერ;

3<sup>48</sup>) ძებნა-შველის საკოორდინაციო ცენტრი – სამსახური, რომელიც პასუხისმგებელია ძებნა-შველის ოპერაციების კოორდინირებაზე, ძებნა-შველის რაიონის საზღვრებში ძებნა-შველის სამსახურების/დანაყოფების სამუშაოების ეფექტურად ჩატარების ხელშეწყობასა და, საჭიროების შემთხვევაში, ორგანიზებაზე;

3<sup>49</sup>) ძებნა-შველის მომსახურების ორგანო – საერთო ტერმინი, რომელიც ნიშნავს სხვადასხვა შემთხვევებისას ძებნა-შველის საკოორდინაციო ცენტრს, ძებნა-შველის დამხმარე ცენტრს ან საავარიო შეტყობინების პოსტს;

3<sup>50</sup>) სიმაღლის რუკა – მეტეოროლოგიური რუკა განსაზღვრული სიმაღლის ზედაპირისათვის ან ატმოსფეროს ფენისათვის;

3<sup>51</sup>) ავტომატური დამოკიდებული დაკვირვება – ხელშეკრულება (ADS-C) სახმელეთო სისტემასა და საჰაერო ხომალდს შორის მონაცემთა გადაცემის ხაზით ADS-C შეთანხმების პირობების გაცვლის საშუალება, სადაც კონკრეტულადაა ინიცირებული ADS-C შეტყობინებების გადაცემის პირობები და მონაცემები, რომლებიც აისახება ამ შეტყობინებებში;

3<sup>52</sup>) გაზრდილი ხანგრძლივობით სათადარიგო აეროდრომამდე ფრენების შესრულება – ორი ან მეტი აირტურბინული ძრავის მქონე სხ-ის ნებისმიერი ფრენა, როცა მარშრუტიდან სათადარიგო აეროდრომამდე ფრენის დრო აღემატება ექსპლუატანტის სახელმწიფოს მიერ დადგენილ ზღვრულ დროს;

3<sup>53</sup>) მეტეოროლოგიური თვალთვალის ორგანო – ორგანო, რომელიც უზრუნველყოფს ინფორმაციის წარდგენას მისი პასუხისმგებლობის არეში ფაქტობრივი ან მოსალოდნელი ამინდის მოვლენების წარმოშობის შესახებ ფრენის მარშრუტზე და სხვა მოვლენების შესახებ ატმოსფეროში, რომელთაც შეუძლიათ, გავლენა იქონიონ ფრენების უსაფრთხოებაზე;

3<sup>54</sup>) საავიაციო მეტეოროლოგიური სადგური – სააერნაოსნო მომსახურებისათვის განკუთვნილი სადგური, რომელიც დანიშნულია დაკვირვებების განსახორციელებლად და მეტეოროლოგიური შეტყობინებების შესადგენად;

3<sup>55</sup>) სახელმწიფო ვულკანოლოგიური ობსერვატორია – რეგიონალური სააერნაოსნო შეთანხმებით დანიშნული ვულკანოლოგიური ობსერვატორია, სახელმწიფოს ფარგლებში მოქმედი და პოტენციურად მოქმედი ვულკანების მონიტორინგისა და ვულკანური ქმედებების შესახებ შესაბამისი სამეთვალყურეო ცენტრისათვის/საფრენოსნო ინფორმაციის ცენტრისათვის, მეტეოროლოგიური თვალთვალის ორგანოსა და ვულკანური ფერფლის საკონსულტაციო ცენტრისათვის ინფორმაციის გადაცემის მიზნით;

3<sup>56</sup>) მახასიათებლებზე დაფუძნებული ნაოსნობა (PBN) – ზონალური ნაოსნობა, რომელიც დაფუძნებულია საჰაერო მოძრაობის მართვის მარშრუტზე, ხელსაწყოებით დასაფრენად შესვლის სქემაზე ან დადგენილ საჰაერო სივრცეში მფრენ სხ-ის მახასიათებლების მიმართ წაყენებულ მოთხოვნებზე;

3<sup>57</sup>) იკაო-ს მოდელი მეტეოროლოგიური ინფორმაციის გაცვლისათვის (IWXXM) – მონაცემების





მოდელი სააერნაოსნო მეტეოროლოგიური ინფორმაციის წარდგენისათვის;

358) კოსმოსური ამინდის ცენტრი (SWXC) – იკაო-ს მიერ დანიშნული ცენტრი, იმ კოსმოსური ამინდის მოვლენების საკონსულტაციო ინფორმაციის მონიტორინგისა და უზრუნველყოფისათვის, რომლებიც, როგორც მოსალოდნელია, უარყოფით გავლენას მოახდენენ მაღალსიხშირულ საკომუნიკაციო საშუალებებზე, სატელიტურ კომუნიკაციებზე, GNSS-დაფუძნებულ სანავიგაციო და სარადიოლოკაციო სისტემებზე და/ან წარმოადგენენ რადიაციულ რისკს საჰაერო ხომალდზე მყოფი ადამიანებისათვის;

**შენიშვნა:** კოსმოსური ამინდის ცენტრებს სტატუსი ენიჭება როგორც გლობალურად, ისე რეგიონალურად.

359) **ოპერატიული მეტეოროლოგიური ინფორმაცია „OPMET“** – საავიაციო მეტეოროლოგიური ინფორმაცია, რომელიც გამოიყენება ეკიპაჟის საფრენოსნო შემადგენლობის მიერ საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვების მომზადებაში/დაგეგმვაში;

360) **ოპერატიული მეტეოროლოგიური ინფორმაციის მონაცემთა ბანკი „OPMET databank“** – მონაცემთა ბანკი, რომლის მიზანია საერთაშორისო ოპერატიული მეტეოროლოგიური ინფორმაციის შენახვა და მისი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა ჰაერსანაოსნო მიზნებისათვის.

*საქართველოს მთავრობის 2016 წლის 11 თებერვლის დადგენილება №60 – ვებგვერდი, 15.02.2016წ.  
საქართველოს მთავრობის 2018 წლის 21 თებერვლის დადგენილება №97 – ვებგვერდი, 23.02.2018წ.  
საქართველოს მთავრობის 2020 წლის 19 ოქტომბრის დადგენილება №633 – ვებგვერდი, 20.10.2020წ.*

**მუხლი 2. შემოკლებები**

ამ წესში გამოყენებულ შემოკლებებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

- ადზ ასაფრენ-დასაფრენი ზოლი
- სმს საავიაციო მეტეოროლოგიური სადგური
- ასწ აეროდრომის საკონტროლო წერტილი
- დსპ დაფრენის სამეთვალყურეო პუნქტი
- დსსპ დაფრენის სისტემის სამეთვალყურეო პუნქტი
- დძპ დაკვირვების ძირითადი პუნქტი
- ვფწ ვიზუალური ფრენის წესები
- ზპმს ზონალური პროგნოზების მსოფლიო სისტემა
- ზპმც ზონალური პროგნოზების მსოფლიო ცენტრი
- იკაო სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაცია
- მსპ მისადგომის სამეთვალყურეო პუნქტი
- მმსპ მიმოსვლის სამეთვალყურეო პუნქტი
- მკვ მჭექი კავშირგაბმულობა
- მმო მსოფლიო მეტეოროლოგიური ორგანიზაცია
- მმს მეტად მაღალი სიხშირე (მეტრიანი ტალღები)



მრლ	მეტეოროლოგიური რადიოლოკატორი
მს	მაღალი სიხშირე
მტ	მოკლე ტალღები
მხმ	მეტეოროლოგიური ხილვადობის მანძილი
რსც	რაიონული სამეთვალყურეო ცენტრი
სა	სამოქალაქო ავიაცია
სიც	საფრენოსნო ინფორმაციის ცენტრი
სკდ	საერთაშორისო კოორდინირებული დრო
სმმ	საჰაერო მოძრაობის მართვა /მომსახურება
სმმბ	საავიაციო მეტეოროლოგიური მონაცემების ბანკი
სმო	საჰაერო მოძრაობის ორგანო
სსკ	სააეროდრომო-სამეთვალყურეო კომპურა
სხ	საჰაერო ხომალდი
უმრშ	უახლოესი მიმყვანი რადიოშუქურა
უმტ	ულტრამოკლე ტალღები
ღქსს	ღრუბლების ქვედა საზღვრის სიმაღლე
ძდპ	ძირითადი დაკვირვების პუნქტი
სფწ	სახელწყობების მეშვეობით ფრენის წესები
AFTN	ფიქსირებული საავიაციო ელექტროკავშირის ქსელი
AIRMET	მეტეოროლოგიური ორგანოს მიერ გამოშვებული ინფორმაცია ფრენის მარშრუტზე (რაიონში) ისეთი ფაქტობრივი ან მოსალოდნელი ამინდის პირობების შესახებ, რომელსაც შეუძლია ფრენების უსაფრთხოებაზე ზემოქმედების მოხდენა
AIREP	შეტყობინება საჰაერო ხომალდიდან იკაო-ს ფორმით
ATIS	აეროდრომის რაიონში ინფორმაციის ავტომატური გადაცემის სამსახური
METAR	ავიაციისათვის ამინდის შესახებ რეგულარული შეტყობინება (კოდური ფორმა)
QFE	წნევა აეროდრომის დონეზე ჰჰა-ში



QNH	წნევა დაყვანილი ზღვის საშუალო დონეზე სტანდარტული ატმოსფეროსათვის ჰჰა-ში	
SPECI	ავიაციისათვის ამინდის შესახებ საგანგებო შეტყობინება (კოდური ფორმით)	
TAF	ამინდის პროგნოზი აეროდრომზე	
VOLMET	მეტეოროლოგიური ინფორმაცია ჰაერში მყოფი საჰაერო ხომალდებისათვის	
TREND	მიმართულება, ტენდენცია (პირობითი აღნიშვნა 2-საათიანი პროგნოზის დაფრენისათვის, როდესაც მოსალოდნელია მეტეოპირობების მნიშვნელოვანი ცვლილება)	
AMD	AMEND	შესწორება
APCH	APPROACH	მიდგომა/მისადგომი
ASC	ASCENT	სიმაღლის აღება
ASSW	ASSOCIATED WITH	დაკავშირებული.. თან
AT	AT	-ზე
BC	PATCHES	ტალღები, ნაფლეთები
BCFG	FOG PATCHES	ნისლის ტალღები, ნისლი
BECMG	BECOMING	ცვლილება
BKN	BROKEN	მნიშვნელოვანი
BL	BLOWING	მიწისპირა ქარბუქი
BLW	BELOW	დაბლა
BR	MIST	ჯანლი
BTN	BETWEEN	შორის
C	CENTRAL	ცენტრალური
CAT	CLEAR AIR TURBULENCE	ტურბულენცობა მოწმენდილ ცაზე
CAVOK	CEILING ა5D VISIBILITY OKEY	არ არის ამინდის განსაკუთრებული მოვლენები, დაბალი ღრუბელი
CB	CB	გროვა-საწვიმარი ღრუბელი



CLD	CLOUD	ღრუბელი
CNL	CANCELLED	გაუქმება
D	DECREASING	შემცირება
DEG	DEGREE	გრადუსი
DES	DESCENT	დაშვება
DR	LOW DRIFTING SNOW	თოვლის ქარახვეტი
DS	DUST STORM	მტვრის გრიგალი
DU	WIDE SPREAD	მტვერი (გარემომცველი)
DZ	DRIZZLE	ჟინჯლი
E	EAST	აღმოსავლეთი
EMBD	EMBEDDED	შენიღბული
ETA	ESTIMATED TIME OF ARRIVAL	დაფრენის გამოთვლილი დრო
FBL	FEEBLE	სუსტი
FC	FORECAST	9-საათიანი პროგნოზი (სათაური -ში
FC	FUNNEL CLOUD	ძაბრისმაგვარი ღრუბელი
FEW	FEW	მცირე ღრუბლიანობა
FCST	FORECAST	პროგნოზი
FG	FOG	ნისლი
FIR	FLIGHT INFORMATION REGION	საფრენოსნო ინფორმაციის რეგიონი
FLUC	FLUCTUATION	ფლუქტუაცია, რყევა
FM	FROM	-დან
FRQ	FREQUENT	ხშირი
FT	FORECAST	18/24 საათიანი პროგნოზი
FT	FOOT	ფუტი (30სმ)



FU	SMOKE	ბოლი
FZ	FREEZING	გადაციებული
G	MAXIMUM GUST	მქსიმალური დაქროლვა
GR	HAIL	სეტყვა
GS	SMALL HAIL s5D/OR SNOW	ყინულის/თოვლის ხორხომელი
HVY+	HEAVY	ძლიერი
HZ	HAZE	ბური
IC	IN CLOUD	ღრუბლებში
IC	DIAMOND DUST	ყინულის ნემსები, ალმასის მტვერი
ICE	ICING	შემოყინვა
IN	INCH	დუიმი
ISOL	ISOLATED	ცალკეული
KM	KILOMETRE	კილომეტრი
KMH	KILOMETRE PER HOUR	კილომეტრი საათში
KT	KNOT	კვანძი (0,5 მ/წმ)
L	LEFT	მარცხენა
Ls5	Ls5D	დედამიწა, ხმელეთი
LIG	Ls5DING	დაფრენა
LOC	LOCAL LOCALLY	ადგილობრივი
LSQ	LINE SQUAL	ფრონტალური ქარტეხილი
LYR	LAYER	ფენა
M	METRE	მეტრი
M	MINUS	მინუსი
M	MILE	მილი
MAX	MAXIMUM	მაქსიმუმი



MI	SHALLOW	თხელი, მიწისპირა
MM	BELOW	ნაკლები
MOD	MODERATE	ზომიერი
MOV	MOVE, MOVING	გადაადგილება
MPS	METRE PER SECOND	მეტრი წამში
MTW	MOUNTAIN WAVE	მთის ტალღები
N	NORTH	ჩრდილოეთი
NC	NO CHANGE	სიმძლავრე არ იცვლება (-ში)
NIL	NIL	არ არის
NOSIG	NO SIGNIFICANT CHANGE	მნიშვნელოვანი ცვლილებების გარეშე
NSC	NO SIGNIFICANT CLOUD	უმნიშვნელო ღრუბლიანობა
NSW	NO SIGNIFICANT WEATHER	ამინდის განსაკუთრებული მოვლენების გარეშე
O	OUTLOOK	სავარაუდო
OBS	OBSERVED	დაიკვირვება
OBSC	OBSCURED	დაფარული
OCNL	OCCASIONAL	დროგამოშვებით, შემთხვევითი
OTLK	OUTLOOK	სავარაუდო პროგნოზი (სათაურში)
OVC	OVERCAST	მთლიანი
P	ABOVE, PREVAL	მეტე
PR	PART	ნაწილი
PE	ICE PELLETS	ყინულის წვიმა
PO	WELL DEVELOPED DUST/SANDWHIRLS	მტვრის/ქვიშის კორიანტელი



PROB	PROBABILITY	ალბათობა
PSN	POSITION	მდგომარეობა
Q	QNH	-ჰჰა-ში
QFE	QFE	წნევა აეროდრომის დონეზე ჰჰა-ში
		წნევა აეროდრომზე, დაყვანილი ზღვის
QNH	QNC	საშუალო დონეზე სტანდარტული
		ატმოსფეროსათვის ჰჰა-ში
R	RIGHT	მარჯვენა
R	RUNWAY	ადზ
RA	RAIN	წვიმა
RE	RECENT	ვადის წინ
	RUNWAY VISUAL	
RVR	R <sub>ს</sub> GE	ხილვადობის მანძილი ადზ-ზე
RWY	RUNWAY	ადზ
S	SOUTH	სამხრეთი
SA	S <sub>ს</sub> D	სილა
	METEOROLOGICAL	
SA	REPORT	მეტეოშეტყობინება (სათაური)
SCT	SCATTERED	გაფანტული
		ძლიერი, ქარის
SEV	SEVERE	წანაცვლებისათვის მეტად ძლიერი
SG	SNOW GRAIN	თოვლის ხორხოშელა
SH	SHOWER	თქეში
SKC	SKY CLEAR	მოწმენდილი, უღრუბლო
SM	STATUTE MILE	მილი
SN	SNOW	თოვლი
SPECI	SPECIAL	სპეციალური



SQ	SQUALL	ქარტეხილი
SS	SAND STORM	მტვრის/ქვიშის გრიგალი
SURF	SURFACE	ზედაპირი
TC	TROPICAL CYCLONE	ტროპიკული ციკლონი
TCU	TOWERING CUMULUS	კოშკისმაგვარი გროვა ღრუბელი
TDZ	TOUCH DOWN ZONE	დაფრენის არე
TEMPO	TEMPO	დროგამოშვებით
TEND	TEND	ტენდენცია, მიდრეკილება
TKOFF	TAKE OFF	აფრენა
TL	TILL	-მდე
TS	TSUNDERSTORM	ჭექა-ქუხილი
TURB	TURBULENCE	ტურბულენტობა
U	UPWARD	მომატება, გაზრდა
UTC	UNIVERSAL TIME CIVIL	საერთაშორისო კოორდინირებული დრო
V	VARIATION	ცვლილება
VA	VOLCANIC ASH	ვულკანური ფერფლი
VC	IN VICINITY	ახლოს
VER	VERTICAL	ვერტიკალური
VIS	VISIBILITY	ხილვადობა
VOLMET	VOLMET	ვოლმეტ-ი
VRB	VARIABLE	არამდგრადი
VV	VERTICAL VISIBILITY	ვერტიკალური ხილვადობა
W	WEST	დასავლეთი
WKN	WEAKENING	შესუსტება
WRNG	WARNING	გაფრთხილება





WS	WIND SHEAR	ქარის წანაცვლება
WXNIL	WEATHER NIL	ამინდის განსაკუთრებული მოვლენების გარეშე
Z	ZONE	არე
Z	ZULU	ზონა
WDSPR	WIDESPREAD	ფართო რაიონი
WSPD	WIND SPEED	ქარის სიჩქარე

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 19 ოქტომბრის დადგენილება №633 – ვებგვერდი, 20.10.2020წ.

## თავი II

### სამოქალაქო ავიაციის მეტეოროლოგიური უზრუნველყოფის საერთო ორგანიზება

#### მუხლი 3. ზოგადი დებულებები

1. საერთაშორისო და ადგილობრივი აერნაოსნობის მეტეოროლოგიური უზრუნველყოფის მიზანია ფრენების უსაფრთხო, რეგულარული და ეფექტური განხორციელებისათვის ხელშეწყობა. იგი კანონმდებლობით დადგენილ სხვა ღონისძიებებთან ერთად მიიღწევა საჰაერო ხომალდების ექსპლუატანტების, საფრენოსნო ეკიპაჟის წევრების, საჰაერო მოძრაობის მომსახურების, საძებნ-სამაშველო, აეროპორტების ადმინისტრაციისა და აგრეთვე, იმ ორგანოებისათვის აუცილებელი მეტეოროლოგიური ინფორმაციის მიწოდებით, რომლებიც ფრენების უსაფრთხოების უზრუნველყოფასთან არიან დაკავშირებული.

2. სამოქალაქო ავიაციის მეტეოროლოგიურ უზრუნველყოფაზე ზედამხედველობას ახორციელებს სრულუფლებიანი მეტეოროლოგიური ორგანო – საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სამოქალაქო ავიაციის სააგენტო (შემდგომში – სააგენტო), რომლის შესახებ ინფორმაცია ასახულია საქართველოს მთავრობის 2016 წლის 11 ოქტომბრის №471 დადგენილებით დამტკიცებულ „ჰაერსანაოსნო მონაცემების და ჰაერსანაოსნო ინფორმაციის მიმწოდებლების, მათი უფლება-მოვალეობების და ჰაერსანაოსნო მონაცემების და ჰაერსანაოსნო ინფორმაციის მიწოდების წესში.

**შენიშვნა:** დეტალური ინფორმაცია სააერნაოსნო ინფორმაციის წარდგენისა და შინაარსის შესახებ მოცემულია იკაო-ს დოკუმენტის PANS-AIM (Doc 10066) მეორე დამატებაში.

3. სააგენტო განსაზღვრავს იმ მეტეოროლოგიური მომსახურების სახეებს, რომლებსაც ის გასწევს საერთაშორისო აერნაოსნობის მეტეოროლოგიური უზრუნველყოფის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. ასეთი მომსახურების სახეები განისაზღვრება აღნიშნული წესით, აგრეთვე რეგიონალური სააერნაოსნო შეთანხმებების გათვალისწინებით და ასევე ვრცელდება საერთაშორისო წყლებსა და იმ რაიონებზე, რომლებიც მდებარეობენ შესაბამისი სახელმწიფოს ტერიტორიის საზღვრებს მიღმა.

4. (ამოღებულია - 21.02.2018, №97).

*საქართველოს მთავრობის 2016 წლის 11 თებერვლის დადგენილება №60 – ვებგვერდი, 15.02.2016წ.  
საქართველოს მთავრობის 2018 წლის 21 თებერვლის დადგენილება №97 – ვებგვერდი, 23.02.2018წ.  
საქართველოს მთავრობის 2020 წლის 19 ოქტომბრის დადგენილება №633 – ვებგვერდი, 20.10.2020წ.*

#### მუხლი 4. მეტეოროლოგიური სამსახურის უფლება-მოვალეობები, ინფორმაციის გავრცელება, გამოყენება, ხარისხი და ინტერპრეტაცია

1. საქართველოს სამოქალაქო ავიაციის მეტეოროლოგიურ მომსახურებას ახორციელებს სააგენტოს



მიერ სერტიფიცირებული ორგანო – შპს „საქაერონავიგაციის“ მეტეოროლოგიური სამსახური ( შემდგომში – მეტეოროლოგიური სამსახური), რომელიც მომხმარებელთან შეთანხმებით უზრუნველყოფს სააერონავიგაციის მეტეოროლოგიური ინფორმაციის წარდგენას.

2. ამ წესით დადგენილი მოთხოვნების შესრულების მიზნით, მეტეოროლოგიურ სამსახურს უნდა ჰქონდეს/ჰყავდეს:

ა) ხარისხის მართვის სისტემა;

ბ) ადამიანური და ფინანსური რესურსები;

გ) კვალიფიციური პერსონალი, რომელსაც:

გ.ა) გავლილი აქვს ყველა საჭირო სწავლება, და

გ.ბ) აქვს სახელმძღვანელო მასალები და თანამდებობრივი ინსტრუქციები;

დ) სამუშაო პროცედურა/პროცედურები, რომელიც/რომლებიც მოიცავს მეტეოროლოგიურ მომსახურებასთან დაკავშირებული პროცესების სრულყოფილ აღწერას;

ე) ტექნიკური უზრუნველყოფა, როგორებიცაა: ავტომატიზებული სისტემები, აღჭურვილობა და სხვა;

ვ) „სახელმძღვანელო დოკუმენტი,“ რომელიც აღწერს სამსახურის მიერ მეტეოროლოგიური მომსახურებისათვის დადგენილ პროცესებსა და პროცედურებს ამ წესით დადგენილი მოთხოვნების შესრულების მიზნით და რომელიც უნდა მოიცავდეს:

ვ.ა) სამსახურის ორგანიზაციულ სტრუქტურას, მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირების სახელის, გვარის, თანამდებობის, მოვალეობებისა და პასუხისმგებლობების მითითებით;

ვ.ბ) საჭირო საკადრო რესურსების გამოთვლას;

ვ.გ) პერსონალის კვალიფიკაციის შენარჩუნების პროცესის აღწერას;

ვ.დ) მეტეოროლოგიური მომსახურების პროცესის აღწერას;

ვ.ე) ტექნიკური საშუალებების ჩამონათვალს, რომელიც გამოიყენება მეტეოროლოგიური მომსახურებისათვის;

ვ.ვ) მეტეოროლოგიური მომსახურების პროცესში არსებული თითოეული პოზიციისთვის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების ჩამონათვალს;

ვ.ზ) მეტეოროლოგიური მომსახურებისთვის საჭირო ინფორმაციის მიღების პროცესის აღწერას;

ვ.თ) ჩანაწერების შენახვის პროცესის აღწერას;

ვ.ი) მეტეოროლოგიური მომსახურებისთვის მესამე პირის მოწვევის პროცესის აღწერას;

ვ.კ) მეტეოროლოგიური მომსახურებისთვის არსებული პროცედურების, ინსტრუქციების, სახელმძღვანელო მასალის ჩამონათვალს.

3. მეტეოროლოგიური სამსახური უზრუნველყოფს „სახელმძღვანელო დოკუმენტის“ შემუშავებას, მუდმივ განახლებას, სახელმძღვანელოში ზუსტი ინფორმაციის ასახვასა და საჭირო ცვლილებების შეტანას. „სახელმძღვანელო დოკუმენტი“ შეიძლება შეიქმნას ძირითადი დოკუმენტის ან/და ცალკეული დოკუმენტების კრებულის სახით.

4. მეტეოროლოგიური სამსახური შეიმუშავებს პერსონალის ყოველწლიურ სასწავლო გეგმას და



უზრუნველყოფს მის ყოველწლიურ განახლებას. მეტეოროლოგიურმა სამსახურმა უნდა შეიმუშაოს პერსონალის სწავლების პროგრამა, რომელიც მოიცავს:

ა) საწყის სწავლებას, რომელიც მოიცავს პრაქტიკულ სწავლებას (სამუშაო ადგილზე სწავლება) და ტარდება გამოცდილი პერსონალის (მეტეოროლოგის) მიერ, რომელმაც გაიარა ამ პუნქტით განსაზღვრული სწავლებები და აქვს მინიმუმ ხუთი წლის სამუშაო გამოცდილება;

ბ) განმეორებით სწავლებას, რომელიც ტარდება მინიმუმ სამ წელიწადში ერთხელ და მიმართულია კვალიფიკაციის შენარჩუნებისკენ;

გ) სპეციალიზებულ სწავლებას, რომელიც მიმართულია ახალი ფუნქციების, სტანდარტების, ტექნოლოგიების ათვისებისაკენ.

5. მეტეოროლოგიური სამსახური უზრუნველყოფს პერსონალის სწავლების შედეგების შენახვას სამსახურში დასაქმების მთელი პერიოდის განმავლობაში.

6. მეტეოროლოგიური სამსახური უზრუნველყოფს საავიაციო მეტეოროლოგიური პერსონალის განათლების, მომზადების, კვალიფიკაციისა, კომპეტენციის და სწავლებების შესაბამისობას მსოფლიო მეტეოროლოგიური ორგანიზაციის (მმო) მიერ №49 გამოცემაში („ტექნიკური წესები“, პირველი ტომი, „საერთო მეტეოროლოგიური სტანდარტები და რეკომენდებული პრაქტიკა“, მე-5 თავის, („მეტეოროლოგიურ მომსახურებაში ჩართული მეტეოროლოგიური პერსონალის კვალიფიკაცია და კომპეტენცია“), მე-6 თავის („მეტეოროლოგიური პერსონალის განათლება და სწავლებები“) დამატება A- („საბაზისო ინსტრუქციული პაკეტი“) და მმო-ის 1083 დოკუმენტში დადგენილ მოთხოვნებთან.

7. საერთაშორისო აერნაოსნობის მეტეოროლოგიური უზრუნველყოფისათვის მეტეოროლოგიურმა სამსახურმა უნდა შეიმუშაოს და დანერგოს ხარისხის მართვის სისტემა, რომელიც მოიცავს წესებს, პროცედურებსა და რესურსებს, რაც აუცილებელია მეტეოროლოგიური ინფორმაციის ხარისხის უზრუნველსაყოფად.

8. ხარისხის სისტემა, რომელიც დანერგულია ამ მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, უნდა შეესაბამებოდეს სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (სსო) ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტების 9000 სერიას და სერტიფიცირებულ უნდა იქნეს შესაბამისი ორგანიზაციის მიერ.

**შენიშვნა:** სახელმძღვანელო მასალა ხარისხის მართვის სისტემის დანერგვისა და ფუნქციონირების შესახებ მოცემულია მმო-ს დოკუმენტში (WMO-No. 1100) „ხარისხის მართვის სისტემის დანერგვის სახელმძღვანელო ეროვნული ჰიდრომეტეოროლოგიური სამსახურებისა და სხვა შესაბამისი მომსახურების მიმწოდებლებისათვის.“

9. მეტეოროლოგიური სამსახურის ხარისხის მართვის სისტემა უნდა უზრუნველყოფდეს, რომ მომხმარებლისათვის წარდგენილი ინფორმაცია შეესაბამებოდეს დადგენილ მოთხოვნებს მოქმედების არის, ფორმატის, შინაარსის, გამოშვების სიხშირის, გაზომვების, დაკვირვებებისა და პროგნოზების სიზუსტის შესახებ.

10. საექსპლუატაციო მიზნებისათვის მეტეოროლოგიური ინფორმაციის გაცვლის დროს, ხარისხის სისტემა უნდა ითვალისწინებდეს ინფორმაციის ვალიდაციისა და ვერიფიკაციის პროცედურებს, აგრეთვე მათი გადაცემისათვის ვადებს.

11. ხარისხის სისტემასთან შესაბამისობის დემონსტრირება უნდა ხორციელდებოდეს ინსპექტირებით. შეუსაბამობის აღმოჩენის შემთხვევაში, უნდა განხორციელდეს ქმედებები ნაკლოვანების განსაზღვრისა და აღმოფხვრისათვის. შემოწმების ყველა შედეგს თან უნდა ახლდეს მტკიცებულება და უნდა იყოს დოკუმენტირებული.

12. მეტეოროლოგიური ინფორმაცია, რომელიც მიეწოდებათ ამ წესის მე-3 მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნულ პირებს, ითვალისწინებს ადამიანური ფაქტორის ასპექტებს.

**შენიშვნა:** ინსტრუქციულ მასალას ადამიანური ფაქტორის შესახებ შეიცავს იკაოს DOC 9683.



## **მუხლი 4<sup>1</sup>. საავიაციო მეტეოროლოგიური პერსონალის კვალიფიკაციისა და კომპეტენციისადმი მოთხოვნები**

1. მეტეოროლოგიურმა სამსახურმა უნდა უზრუნველყოს:

- ა) საავიაციო მეტეოროლოგიური პერსონალის კვალიფიკაციისა და კომპეტენციის შესაბამისობა ამ მუხლით განსაზღვრულ მოთხოვნებთან;
- ბ) საავიაციო მეტეოროლოგიური პერსონალის კვალიფიკაციის ჩანაწერების წარმოება და შენახვა;
- გ) საავიაციო მეტეოროლოგიური პერსონალის კომპეტენციის შეფასება მეტეოროლოგიური სამსახურის მიერ შემუშავებული „კომპეტენციის შეფასების პროცედურის“ შესაბამისად;
- დ) სხვადასხვა ოპერატიული კატეგორიის პერსონალისათვის შესაბამისი კომპეტენციის შეფასების პროცესების დანერგვა;
- ე) საავიაციო მეტეოროლოგიური პერსონალის პროფესიული დონის მუდმივი ამაღლება და განვითარება კომპეტენციის შენარჩუნების მიზნით.

**შენიშვნა 1:** სახელმძღვანელო მასალა კომპეტენციასთან მიმართებაში მოცემულია მმო-ს (N-1205) „კომპეტენციის შესახებ სახელმძღვანელოში“.

**შენიშვნა 2:** კომპეტენციის შეფასებები უნდა განმეორდეს რეგულარულად და იმ დადგენილი ინტერვალით, როგორც ეს გაწერილია შესაბამის პროცედურაში.

2. მეტეოროლოგიური სამსახური უფლებამოსილია, სრულუფლებიან მეტეოროლოგიურ ორგანოსთან შეთანხმებით დაადგინოს უფრო მაღალი საკვალიფიკაციო მოთხოვნები, მუშაობის სპეციფიკიდან გამომდინარე.

3. სამსახურმა უნდა შეიმუშაოს და დანერგოს მმო-ს მიერ დადგენილი კომპეტენციის მოთხოვნები ისე, რომ გათვალისწინებულ იქნეს მეტეოროლოგიური სამსახურის შესაბამისი ორგანოების ადგილობრივი პირობები, მუშაობის სპეციფიკა და პროცედურები.

4. სააერნაოსნო მეტეოროლოგიურ მომსახურებაში ჩართული საავიაციო მეტეოროლოგიური პერსონალის კვალიფიკაცია უნდა აკმაყოფილებდეს ამ პუნქტით დადგენილ მოთხოვნებს:

ა) მეტეოროლოგიური სამსახური უზრუნველყოფს, რომ საავიაციო მეტეოროლოგ-სინოპტიკოსს გავლილი ჰქონდეს აუცილებელი პროგრამების პაკეტი, ამ წესის №3 დანართის შესაბამისად ისე, რომ გათვალისწინებული იქნას მისი პასუხისმგებლობის არეში შემავალი რაიონი და საჰაერო სივრცე, მეტეოროლოგიური პარამეტრების და მოვლენების ზეგავლენა ავიაციაზე, მომხმარებლის მოთხოვნები, საერთაშორისო და ადგილობრივი ნორმები, პროცედურები და პრიორიტეტები;

ბ) მეტეოროლოგიური სამსახური უზრუნველყოფს, რომ საავიაციო მეტეოროლოგ-დამკვირვებელს გავლილი ჰქონდეს აუცილებელი პროგრამების პაკეტი (BIP აპპ), ამ წესის №4 დანართის შესაბამისად ისე, რომ გათვალისწინებული იქნას პასუხისმგებლობის არეში შემავალი რაიონი და საჰაერო სივრცე, მეტეოროლოგიური პარამეტრების და მოვლენების ზეგავლენა ავიაციაზე, მომხმარებლების მოთხოვნები, საერთაშორისო და ადგილობრივი ნორმები, პროცედურები და პრიორიტეტები.

5. მეტეოროლოგიური სამსახური უზრუნველყოფს, საავიაციო მეტეოროლოგ-სინოპტიკოსმა, პასუხისმგებლობის არეში შემავალი რაიონის და საჰაერო სივრცის, ავიაციაზე მეტეოროლოგიური პარამეტრების და მოვლენების ზეგავლენით, მომხმარებლის მოთხოვნების, საერთაშორისო და ადგილობრივი ნორმების, პროცედურების და პრიორიტეტების გათვალისწინებით, დააკმაყოფილოს შემდეგი მოთხოვნები:



ა) მუდმივად გაანალიზოს და აკონტროლოს ამინდის პირობები;

ბ) შეეძლოს მეტეოროლოგიური პარამეტრების და მოვლენების საავიაციო პროგნოზირება;

გ) გამოსცეს საშიში მეტეოროლოგიური მოვლენების შესახებ გაფრთხილებები;

დ) უზრუნველყოს მეტეოროლოგიური მომსახურების და ინფორმაციის ხარისხიანობა;

ე) უზრუნველყოს მეტეოროლოგიური ინფორმაციის გავრცელება/მიწოდება შიდა და გარე მომხმარებლებისათვის.

6. მეტეოროლოგიური სამსახური უზრუნველყოფს, რომ საავიაციო მეტეოროლოგ-დამკვირვებელმა პასუხისმგებლობის არეში შემავალი რაიონის და საჰაერო სივრცის, ავიაციაზე მეტეოროლოგიური პარამეტრების და მოვლენების ზეგავლენით, მომხმარებლის მოთხოვნების, საერთაშორისო და ადგილობრივი ნორმების, პროცედურების და პრიორიტეტების გათვალისწინებით დააკმაყოფილოს შემდეგი მოთხოვნები:

ა) განახორციელოს მუდმივი მონიტორინგი/დაკვირვება მეტეოროლოგიურ მდგომარეობაზე;

ბ) უზრუნველყოს ავიაციისათვის მნიშვნელოვან მეტეოროლოგიური პარამეტრებსა და მოვლენებზე დაკვირვება და მისი რეგისტრაცია;

გ) უზრუნველყოს მეტეოროლოგიური სისტემების და ინფორმაციის ხარისხი;

დ) უზრუნველყოს მეტეოროლოგიური ინფორმაციის გავრცელება/მიწოდება შიდა და გარე მომხმარებლებისათვის.

7. მეტეოროლოგიური სამსახური, მისი ფუნქციების შესასრულებლად უზრუნველყოფს, რომ მის პერსონალს გააჩნდეს მმო-ს და აღნიშნული წესის მოთხოვნების შესაბამისი განათლება და მასზე დაკისრებული შესაბამისი მოვალეობების შესასრულებლად აუცილებელი პროფესიული მომზადება. აღნიშნული მოთხოვნები ეხება როგორც პერსონალის დასაქმების პირველ ეტაპს, ასევე პროფესიული უნარების მუდმივ ამაღლებას სამუშაო პროცესის განახლების, ტექნიკისა და მეცნიერების ახალი მიღწევების და საერთაშორისო ნორმების გათვალისწინებით მთელი კარიერის მანძილზე.

8. მეტეოროლოგიურმა სამსახურმა არსებული ხარისხის მართვის სისტემის ფარგლებში უნდა უზრუნველყოს ჩანაწერების წარმოება მისი პერსონალის განათლების და პროფესიული მომზადების შესახებ, ადამიანური რესურსების მართვის განვითარების და აუდიტების ხელშეწყობის მიზნით მმო-ს დოკუმენტის (№ 1083) შესაბამისად.

9. სააერნაოსნო მეტეოროლოგიურ უზრუნველყოფაში ჩართული პერსონალი სპეციალიზირდება/იყოფა შემდეგ კატეგორიებად:

ა) **მეტეოროლოგი-სინოპტიკოსი** - პირი, რომელმაც წარმატებით დაასრულა უმაღლესი სასწავლებელი მეტეოროლოგისთვის სავალდებულო პროგრამის BIP-M შესაბამისად (აღნიშნული წესის №3 დანართი) ან გავლილი აქვს №3 დანართით გათვალისწინებული ყველა საგანი მმო-ს მიერ აკრედიტირებულ/აღიარებულ სასწავლო დაწესებულებაში;

ბ) **მეტეოროლოგი-დამკვირვებელი** - პირი, რომელმაც წარმატებით გაიარა სწავლების კურსი ტექნიკი მეტეოროლოგისთვის სავალდებულო პროგრამის BIP-MT შესაბამისად (იხ. დანართი №4).

10. მეტეოროლოგიური სამსახური უზრუნველყოფს, რომ:

ა) მეტეოროლოგ-სინოპტიკოსს სრულად ჰქონდეს გავლილი ამ წესის №3 დანართით გათვალისწინებული საბაზისო აუცილებელი პროგრამების პაკეტი შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტების დემონსტრირებით. მეტეოროლოგ-სინოპტიკოსი უნდა ფლობდეს სრულყოფილ ცოდნას ატმოსფეროს მოვლენების და პროცესების შესახებ, ასევე გააჩნდეს ამ ცოდნის პროფესიულ



საქმიანობაში გამოყენების უნარები;

ბ) მეტეოროლოგ-დამკვირვებელს სრულად ჰქონდეს გავლილი ამ წესის №4 დანართით მოცემული საბაზისო აუცილებელი პროგრამების პაკეტი შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტების დემონსტრირებით. მეტეოროლოგ-დამკვირვებელი უნდა ფლობდეს საბაზისო ცოდნას ატმოსფეროს მოვლენების და პროცესების შესახებ, ასევე გააჩნდეს ამ ცოდნის პროფესიულ საქმიანობაში გამოყენების უნარები.

**შენიშვნა:** დეტალური ინფორმაცია/ სახელმძღვანელო მასალა კომპეტენციასთან მიმართებაში მოცემულია მმო-ს (N-1205) „კომპეტენციის შესახებ სახელმძღვანელოში“.

*საქართველოს მთავრობის 2020 წლის 19 ოქტომბრის დადგენილება №633 – ვებგვერდი, 20.10.2020წ.*

## **მუხლი 5. შეტყობინება, რომელიც საჭიროა ექსპლუატანტებისაგან**

1. ექსპლუატანტი, რომელსაც ესაჭიროება მეტეოროლოგიური მომსახურება ან არსებულ მომსახურებაში ცვლილების შეტანა, წინასწარ ატყობინებს მეტეოროლოგიურ სამსახურს. წინასწარი შეტყობინების ვადები დგინდება მეტეოროლოგიურ სამსახურსა და ექსპლუატანტს შორის შეთანხმებით.

2. მეტეოროლოგიური სამსახური, იმ ექსპლუატანტისაგან, რომელსაც ესაჭიროება მომსახურება, შეტყობინებას იღებს ისეთ შემთხვევებში, როდესაც:

ა) იგეგმება ახალი მარშრუტის გახსნა ან ახალი სახეობის ფრენების შესრულება;

ბ) რეგულარული რეისების შესრულების გრაფიკში შედის ხანგრძლივი ცვლილებები; და

გ) იგეგმება სხვა ცვლილებები, რომლებიც მეტეოროლოგიური მომსახურების წარდგენაზე ზეგავლენას ახდენს.

შეტყობინება უნდა შეცავდეს ყველა დეტალს, რომელიც აუცილებელია მეტეოროლოგიური სამსახურის მიერ შესაბამისი ცვლილებების დასაგეგმად.

3. მეტეოროლოგიური სამსახური შეტყობინებას იღებს ექსპლუატანტისაგან ან საფრენოსნო ეკიპაჟის წევრისაგან:

ა) ფრენის განრიგის შესახებ;

ბ) იმ შემთხვევებში, როდესაც არარეგულარული ფრენები იგეგმება; და

გ) იმ შემთხვევაში, როდესაც რეისი იგვიანებს, სრულდება დათქმულ დროზე ადრე ან უქმდება.

4. არარეგულარული ფრენებისას მეტეოროლოგიური სამსახურისათვის შეტყობინება უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

ა) გამგზავრების აეროპორტი და ფრენის სავარაუდო დრო;

ბ) დაფრენის პუნქტი და მიფრენის სავარაუდო დრო;

გ) ფრენის მოცემული მარშრუტი და შუალედურ აეროპორტ(ებ)ზე მიფრენისა და გაფრენის სავარაუდო დრო(ები);

დ) საფრენოსნო გეგმაში მითითებული სათადარიგო აეროდრომ(ებ)ი, აღებული შესაბამისი ჩამონათვალიდან, რომელსაც მოიცავს რეგიონალური სააერნაოსნო გეგმა;

ე) კრეისერული ემელონი;

ვ) ფრენის სახეობა (ვიზუალური ან ინსტრუმენტალური);



ზ) საფრენოსნო ეკიპაჟისათვის გადასაცემი მეტეოროლოგიური ინფორმაციის სახეობა (საფრენოსნო დოკუმენტაცია და/ან ინსტრუქტაჟი ან კონსულტაცია);

თ) ინსტრუქტაჟის, კონსულტაციის და/ან საფრენოსნო დოკუმენტაციის მიწოდების დრო.

5. ექსპლუატანტი ან საფრენოსნო ეკიპაჟის წევრი უზრუნველყოფს აეროდრომის მეტეოროლოგიური სამსახურის ინფორმირებას:

ა) ფრენის განრიგის შესახებ;

ბ) არარეგულარული ფრენების დაგეგმარების შესახებ;

გ) რეისის დაგვიანების, გაუქმების ან/და დათქმულ დროზე შეუსრულებლობის შესახებ.

*საქართველოს მთავრობის 2016 წლის 11 თებერვლის დადგენილება №60 – ვებგვერდი, 15.02.2016წ.*

*საქართველოს მთავრობის 2018 წლის 21 თებერვლის დადგენილება №97 – ვებგვერდი, 23.02.2018წ.*

### თავი III

## გლობალური სისტემები, დამხმარე ცენტრები და მეტეოროლოგიური ორგანოები

*საქართველოს მთავრობის 2020 წლის 19 ოქტომბრის დადგენილება №633 – ვებგვერდი, 20.10.2020წ.*

**შენიშვნა:** ამ თავის ტექნიკური მოთხოვნები და დაწვრილებითი კრიტერიუმები მოცემულია XII თავში.

### მუხლი 6. ზონალური პროგნოზების მსოფლიო სისტემის მიზანი

ზონალური პროგნოზების მსოფლიო სისტემა უზრუნველყოფს სრულყოფილებიან მეტეოროლოგიურ ორგანოებს და სხვა მომხმარებლებს სიმაღლეებზე ქარის, ჰაერის ტემპერატურის და ჰაერის ტენიანობის გლობალური პროგნოზებით, მაქსიმალური ქარის მიმართულების, სიჩქარის და სიმაღლის, ტროპოპაუზის სიმაღლის და ტემპერატურის, აგრეთვე ამინდის განსაკუთრებული მოვლენების პროგნოზებით, ციფრული სახით.

### მუხლი 7. ზონალური პროგნოზების მსოფლიო ცენტრებიდან მისაღები ინფორმაცია და მონაცემები

ზონალური პროგნოზების მსოფლიო ცენტრებიდან მეტეოროლოგიურმა სამსახურმა უნდა მიიღოს შემდეგი ინფორმაცია და მონაცემები:

ა) გლობალური პროგნოზები რეგულარული ბადის კვანძებში ციფრული ფორმით სიმაღლეებზე, მათ შორის:

ა.ა) სიმაღლეებზე ქარის;

ა.ბ) ჰაერის ტემპერატურისა და ჰაერის ტენიანობის;

ა.გ) ფრენის ემელონების გეოპოტენციალური აბსოლუტური სიმაღლის;

ა.დ) ტროპოპაუზის სიმაღლისა და ტროპოპაუზის ტემპერატურის;

ა.ე) მაქსიმალური ქარის მიმართულების, სიჩქარისა და სიმაღლის;

ა.ვ) გროვა-საწვიმარი ღრუბლების;

ა.ზ) შემოყინულობის;

ა.თ) ტურბულენტობის;

ბ) ამინდის განსაკუთრებული მოვლენების (SIGWX) გლობალური პროგნოზები ციფრული ფორმით;



გ) რადიოაქტიური ნივთიერებების ატმოსფეროში გატყორცნის შესახებ.

**შენიშვნა:** ზჰმც-ის მუშაობის შეწყვეტის შემთხვევაში, მის ფუნქციებს ასრულებს სხვა ზჰმც. რეზერვირების პროცედურები ზჰმც-ის მუშაობის შეწყვეტის შემთხვევაში, განახლების მუდმივ პროცესშია მსოფლიო პროგნოზების ზონალური სისტემის საექსპლოატაციო ჯგუფის (WAFSOPSG) მიერ, აუცილებლობის შემთხვევაში. განახლების უკანასკნელი ვერსია განთავსებულია ICAO WAFSOPSG-ის ვებგვერდზე.

*საქართველოს მთავრობის 2016 წლის 11 თებერვლის დადგენილება №60 – ვებგვერდი, 15.02.2016წ.*

## **მუხლი 8. სააგენტოსა და მეტეოროლოგიური სამსახურის ფუნქციები**

1. მეტეოროლოგიური სამსახური ფრენების განსახორციელებლად, დადგენილი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, ასრულებს შემდეგ ფუნქციებს:

ა) ადგენს და იღებს პროგნოზებს ან სხვა შესაბამის ინფორმაციას იმ ფრენების განსახორციელებლად, რომელსაც იგი უზრუნველყოფს; პროგნოზების შედგენაზე მისი პასუხისმგებლობის ხარისხი დამოკიდებულია კონკრეტული რაიონის მარშრუტებზე და აეროდრომებზე პროგნოზული მასალების არსებობასა და გამოყენებაზე;

ბ) ადგენს და/ან იღებს ადგილობრივი მეტეოროლოგიური პირობების პროგნოზებს;

გ) აწარმოებს მუდმივ დაკვირვებას მეტეოროლოგიურ პირობებზე აეროდრომის რაიონში, რომლისთვისაც პროგნოზს ადგენს;

დ) ატარებს ინსტრუქტაჟს, კონსულტაციას და მეტეოროლოგიურ საფრენოსნო საბუთებს წარუდგენს საფრენოსნო ეკიპაჟის წევრებს და/ან ფრენების უსაფრთხო შესრულებასთან დაკავშირებულ სხვა პერსონალს;

ე) საავიაციო მომხმარებლებს ამარაგებს სხვა მეტეოროლოგიური ინფორმაციით;

ვ) უჩვენებს არსებულ მეტეოროლოგიურ ინფორმაციას;

ზ) ცვლის მეტეოროლოგიურ ინფორმაციას სხვა მეტეოროლოგიურ ორგანოებთან; და

თ) მასთან დაკავშირებულ საჰაერო მოძრაობის მომსახურების ორგანოს, სააერნოსნო ინფორმაციის სამსახურის ორგანოსა და მეტეოროლოგიური თვალთვალის ორგანოს (დაინტერესებულ მეტეოროლოგიურ ორგანოს, სააერნოსნო ინფორმაციის სამსახურსა და საჰაერო მოძრაობის მართვის სრულუფლებიან ორგანოს შორის შეთანხმების საფუძველზე) ამარაგებს მიღებული ინფორმაციით ვულკანურ მოქმედებაზე, რომელიც წინ უსწრებს ამოფრქვევას, ვულკანურ ამოფრქვევაზე ან ვულკანური ფერფლის ღრუბლებზე.

2. აეროდრომისათვის, რომელსაც არ გააჩნია მეტეოროლოგიური ორგანო, სააგენტო:

ა) სერტიფიცირების გზით უფლებამოსილებას ანიჭებს საჭიროების მიხედვით ერთ ან რამდენიმე მეტეოროლოგიურ ორგანოს მეტეოროლოგიური ინფორმაციის წარდგენისათვის;

ბ) განსაზღვრავს შესაბამისი აეროდრომების ასეთი ინფორმაციით მომარაგების წესებს.

3. აეროდრომები, რომელთათვისაც აუცილებელია დაფრენის პროგნოზის მიწოდება, განისაზღვრება რეგიონალური სააერნოსნო შეთანხმების საფუძველზე.

## **მუხლი 9. მეტეოროლოგიური თვალთვალის ორგანოები**

1. სერტიფიცირებული მეტეოროლოგიური სამსახური, რომელიც იღებს პასუხისმგებლობას, უზრუნველყოს საჰაერო მოძრაობის მომსახურების მეტეოროლოგიური უზრუნველყოფა საფრენოსნო ინფორმაციის რაიონის საზღვრებში ან სამეთვალყურეო რაიონში, რეგიონალური შეთანხმების





საფუძველზე ქმნის ერთ ან რამდენიმე მეტეოროლოგიური თვალთვალის ორგანოს ან უთანხმდება სხვა სახელმწიფოს ამის შესახებ.

**შენიშვნა:** სახელმძღვანელო მასალა მეტეოროლოგიური თვალთვალის ორგანოების მომსახურების უზრუნველსაყოფად ხელშემკვრელ სახელმწიფოებს შორის ორმხრივი ან მრავალმხრივი ხელშეკრულებების შესახებ, მათ შორის კოორდინაცია და დელეგირება მოცემულია იკაო-ს დოკ (8896)-ში „საერთაშორისო აერნაოსნობის მეტეოროლოგიური უზრუნველყოფის სახელმძღვანელო“.

## 2. მეტეოროლოგიური თვალთვალის ორგანო:

ა) თვალყურს ადევნებს იმ მეტეოროლოგიურ პირობებს, რომლებიც ზეგავლენას ახდენს ფრენების უსაფრთხოებაზე იმ რაიონის ფარგლებში, რომელზედაც ის პასუხისმგებელია;

ბ) ამზადებს ინფორმაცია SIGMET-ს და სხვა ინფორმაციას რაიონებისათვის, რომელზედაც იგი პასუხისმგებელია;

გ) საჭირო მოძრაობის მომსახურების ორგანოებს უზრუნველყოფს ინფორმაცია SIGMET-ით, და საჭიროების შემთხვევაში სხვა მეტეოროლოგიური ინფორმაციით;

დ) ავრცელებს ინფორმაცია SIGMET-ს;

ე) აუცილებლობის შემთხვევაში:

ე.ა) ამზადებს ინფორმაცია AIRMET-ს და სხვა ინფორმაციას რაიონებისათვის, რომელზედაც იგი პასუხისმგებელია;

ე.ბ) საჭირო მოძრაობის მომსახურების ორგანოებს უზრუნველყოფს ინფორმაცია AIRMET-ით და საჭიროების შემთხვევაში სხვა მეტეოროლოგიური ინფორმაციით;

ე.გ) ავრცელებს ინფორმაცია AIRMET-ს;

ვ) აწვდის მასთან დაკავშირებულ სივ/რსვ-ს, (მეტეოროლოგიურ სამსახურსა და სმმ-ის სრულუფლებიან ორგანოებს შორის შეთანხმებით), აგრეთვე VAAC-ს (რეგიონალური სააერნაოსნო შეთანხმების საფუძველზე) მიღებულ ინფორმაციას ვულკანურ მოქმედებაზე, რომელიც წინ უსწრებს ამოფრქვევას, ვულკანურ ამოფრქვევაზე ან ვულკანური ფერფლის ღრუბლებზე, რომელზეც ჯერ არ იყო გამოცემული SIGMET-ი.

ზ) უზრუნველყოფს ინფორმაციით მასთან დაკავშირებულ სივ/რსვ-ს. (სრულუფლებიან მეტეოროლოგიურ და სმმ-ის სრულუფლებიან ორგანოებს შორის შეთანხმებით);

თ) უზრუნველყოფს სააერნაოსნო ინფორმაციის სამსახურის ორგანოებს მიღებული ინფორმაციით ატმოსფეროში რადიოაქტიური ნივთიერებების ავარიულად გატყორცნის შესახებ იმ რაიონში, რომელშიც ის ახორციელებს დაკვირვებას ან მეზობელ რაიონებში. ეს ინფორმაცია შეიცავს მონაცემებს რადიოაქტიური ნივთიერების ადგილმდებარეობის, ავარიის თარიღის, დროის და პროგნოზირებადი ტრაექტორიის შესახებ;

ი) ერთგვაროვანი, ჰარმონიზებული SIGMET-ინფორმაციის გასავრცელებლად ახორციელებს SIGMET შეტყობინებების კოორდინაციას მეზობელ მთო-ებთან, განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, როდესაც ფრენის მარშრუტზე ამინდის მნიშვნელოვანი მოვლენა გამოდის ან სავარაუდოდ, გამოვა მთო-ს პასუხისმგებლობის არეში დადგენილი საზღვრებიდან.

**შენიშვნა:** სახელმძღვანელო მასალა ხელშემკვრელ სახელმწიფოებს შორის ორმხრივი ან მრავალმხრივი კოორდინაციის საკითხების შესახებ SIGMET-ინფორმაციის უზრუნველსაყოფად მოცემულია იკაო-ს დოკ (8896)-ში „საერთაშორისო აერნაოსნობის მეტეოროლოგიური უზრუნველყოფის სახელმძღვანელო“ და იკაოს ევროპისა და ჩრდილო ატლანტიკური რეგიონის დოკუმენტში 014-ში (EUR DOC 014) „სახელმძღვანელო SIGMET-ების და AIRMET -ების შესახებ“.



## **მუხლი 10. ინფორმაცია ვულკანური ფერფლის შესახებ საკონსულტაციო ცენტრებიდან (VAAC)**

მეტეოროლოგიური სამსახური უზრუნველყოფს, რომ ვულკანის ამოფრქვევის ან მოსალოდნელი ამოფრქვევის შესახებ ვულკანური ფერფლის საკონსულტაციო ცენტრებიდან (VAAC) მიიღოს ვულკანური ფერფლის დრუბლის სიმძლავრისა და სავარაუდო გადაადგილების საკონსულტაციო ინფორმაცია.

**შენიშვნა 1.** AFTN-ის მისამართი, რომელიც გამოიყენება VAAC-ის მიერ, მითითებულია საერთაშორისო ავიანაზების ვულკანური თვალთვალის (IAVW) (Doc 9766) ცნობარში, რომელიც განთავსებულია ICAO IAVWOPSG-ის ვებგვერდზე.

**შენიშვნა 2.** ინფორმაცია ვულკანურ ფერფლზე, იკაო-ის მიერ დამტკიცებული ღია ტექსტით, ციფრული მნიშვნელობებითა და შემოკლებებით გამოცემული, რომელიც არ საჭიროებს განმარტებებს, შეესაბამება ჩიკაგოს კონვენციის მე-3 დანართის – „საერთაშორისო აერნაოსნობის მეტეოროლოგიური მომსახურების“ მე-2 ნაწილის (დამატებები და დანართები) A2-1 ცხრილის ნიმუშს. იკაო-ის შემოკლებების არარსებობის შემთხვევაში, გამოიყენება მაქსიმალურად შეკვეცილი ტექსტი ინგლისურ ენაზე.

**შენიშვნა 3.** ვულკანური ფერფლის საკონსულტაციო ცენტრების (VAAC) მიერ გრაფიკულ ფორმატში მომზადებული ინფორმაცია ვულკანური ფერფლის შესახებ გამოიცემა გადამტანი ქსელური გრაფიკის (PNG) ან კოდური ფორმის BUFR ორმაგი გაცვლის ფორმატის გამოყენებით.

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 11 თებერვლის დადგენილება №60 – ვებგვერდი, 15.02.2016წ.

## **მუხლი 10<sup>1</sup>. ინფორმაცია კოსმოსური ამინდის ცენტრებიდან (SWXC)**

მეტეოროლოგიური სამსახური უზრუნველყოფს კოსმოსური ამინდის ცენტრებიდან საკონსულტაციო ინფორმაციის მიღებას კოსმოსური ამინდის მოვლენების შესახებ, რომელსაც სავარაუდო ზეგავლენის მოხდენა შეუძლია მისი პასუხისმგებლობის არეში არსებულ:

- ა) მაღალი სიხშირის რადიოკომუნიკაციის საშუალებებზე;
- ბ) თანამგზავრულ კომუნიკაციაზე;
- გ) GNSS-ზე დაფუძნებულ სანავიგაციო და დაკვირვების სისტემებზე;
- დ) ფრენის ემელონებზე რადიაციულ ზეგავლენაზე.

**შენიშვნა:** სახელმძღვანელო მასალა კოსმოსური ამინდის საკონსულტაციო ინფორმაციის, მათ შორის იკაო-ს მიერ დანიშნული ცენტრების და მომსახურების მომწოდებლების შესახებ მოცემულია იკაო-ს დოკ-ში (10100) „კოსმოსური ამინდის ინფორმაციის სახელმძღვანელო საერთაშორისო აერნაოსნობის დახმარების მიზნით“.

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 19 ოქტომბრის დადგენილება №633 – ვებგვერდი, 20.10.2020წ.

## **მუხლი 11. (ამოღებულია)**

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 11 თებერვლის დადგენილება №60 – ვებგვერდი, 15.02.2016წ.

## **მუხლი 12. ინფორმაცია ტროპიკული ციკლონების შესახებ საკონსულტაციო ცენტრებიდან (TCAC)**

მეტეოროლოგიური სამსახური უზრუნველყოფს, რომ ტროპიკული ციკლონების საკონსულტაციო ცენტრიდან მიიღოს საკონსულტაციო ინფორმაცია:

- ა) ღია ტექსტით ციკლონის ცენტრის მდებარეობის, მისი მიმართულებისა და გადაადგილების სიჩქარის, ცენტრში წნევისა და მიწისპირა მაქსიმალური ქარის შესახებ;
- ბ) გაავრცელოს მიღებული ინფორმაცია მისი პასუხისმგებლობის რაიონში მეტეოროლოგიური



თვალთვალის ორგანოებისათვის.

**შენიშვნა 1.** საკონსულტაციო ინფორმაცია ტროპიკული ციკლონების შესახებ გამოიცემა იმ შემთხვევაში, როდესაც მოსალოდნელია, რომ საკონსულტაციო შეტყობინების მოქმედების პერიოდში აეროდრომზე მიწისპირა ქარის საშუალო სიჩქარე 10 წუთში მიაღწევს 17 მ/წმ-ს (34 კვანძი) ან მეტს.

**შენიშვნა 2.** ინფორმაცია ტროპიკული ციკლონების შესახებ შეესაბამება ჩიკაგოს კონვენციის მე-3 დანართის – „საერთაშორისო აერნაოსნობის მეტეოროლოგიური მომსახურება“ მე-2 ნაწილის (დამატებები და დანართები) A2-2 ცხრილის ნიმუშს.

*საქართველოს მთავრობის 2016 წლის 11 თებერვლის დადგენილება №60 – ვებგვერდი, 15.02.2016წ.*

## თავი IV

### მეტეოროლოგიური დაკვირვებები და შეტყობინებები

**შენიშვნა:** ამ თავის ტექნიკური მოთხოვნები და დაწვრილებითი კრიტერიუმები მოცემულია XIII თავში.

#### მუხლი 13. საავიაციო მეტეოროლოგიური სადგურები და დაკვირვებები

1. სააგენტო, საჭიროების მიხედვით, სერტიფიცირების გზით, აეროდრომებზე უფლებამოსილებას ანიჭებს საავიაციო მეტეოროლოგიურ სადგურებს. საავიაციო მეტეოროლოგიური სადგური შეიძლება ცალკე სადგურს წარმოადგენდეს ან სინოპტიკურ სადგურთან ერთად იყოს განლაგებული.

**შენიშვნა:** საავიაციო მეტეოროლოგიური სადგურები შეიძლება მოიცავდეს ხელსაწყოებს, რომლებიც აეროდრომის ფარგლებს გარეთაა განლაგებული, სადაც ეს ითვლება გამართლებულად სრულუფლებიანი მეტეოროლოგიური ორგანოს მიერ აღნიშნული სახელმძღვანელოს მოთხოვნების შესასრულებლად.

2. საავიაციო მეტეოროლოგიური სადგურები რეგულარულ დაკვირვებებს აწარმოებენ დროის ფიქსირებულ შუალედებში. იმ შემთხვევებში, როდესაც მიწისპირა ქარის, ხილვადობის, ადზ-ზე ხილვადობის მანძილის, მიმდინარე ამინდის, ღრუბლების და/ან ჰაერის ტემპერატურის გარკვეულ ცვლილებებს აქვს ადგილი, აეროდრომზე რეგულარული დაკვირვებები შეივსება სპეციალური დაკვირვებებით.

3. აეროდრომზე გამოყენებული მეტეოროლოგიური ხელსაწყოები უნდა განლაგდეს ისე, რომ უზრუნველყოფილი იყოს მონაცემების მიღება, რომლებიც გაზომვების ჩატარების რაიონისათვის არის საჭირო.

4. სააგენტო ორგანიზებას უკეთებს საავიაციო მეტეოროლოგიური სადგურების ხშირ ინსპექტირებას, დაკვირვების მაღალი ხარისხის უზრუნველსაყოფად და ხელსაწყოების და ინდიკატორების ნორმალურად ფუნქციონირებისათვის. აგრეთვე, შემოწმებულ უნდა იქნეს ხელსაწყოების სწორად განლაგება და აუცილებელი რაოდენობა.

5. აეროდრომზე, რომელსაც აქვს ისეთი ადზ-ები, რომლებიც განკუთვნილია სახელსაწყო წესით დასაფრენად შემოსვლისა და დაფრენისათვის I, II და III კატეგორიების მიხედვით, დასაფრენად შემოსვლის, დაფრენისა და აფრენის უზრუნველყოფის მიზნით უნდა აღიჭურვოს ავტომატიზებული საკონტროლო-გამზომი სისტემით, აგრეთვე დისტანციური ინდიკატორებით მიწისპირა ქარის, ხილვადობის, ადზ-ზე ხილვადობის მანძილის, ღრუბლების ქვედა საზღვრის სიმაღლის, ჰაერის ტემპერატურის, ნამის წერტილისა და ატმოსფერული წნევის საჩვენებლად. საკონტროლო-გამზომი სისტემა უნდა აწარმოებდეს იმ მეტეოროლოგიური პარამეტრების გაზომვას, რეალურ დროში მიღებას, დამუშავებასა და გავრცელებას, რომლებიც ზეგავლენას ახდენენ დაფრენასა და აფრენაზე, აგრეთვე მათ ასახავენ კომპლექსურ ავტომატურ სისტემაში. კომპლექსური ავტომატური სისტემის დამუშავებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს ხელსაწყოების რეზერვირების პროცედურა და ადამიანური ფაქტორები.



6. (ამოღებულია - 11.02.2016, №60).

7. იმ შემთხვევებში, როდესაც მეტეოროლოგიური ინფორმაციის გავრცელებისათვის/ასახვისათვის გამოიყენება კომპლექსური ავტომატური ან ნახევრადავტომატური სისტემა, მან უნდა უზრუნველყოს ისეთ მეტეოროლოგიურ ელემენტებზე დაკვირვების მონაცემების არავტომატიზებული შეყვანის შესაძლებლობა, რომლებზეც დაკვირვებები ავტომატური საშუალებებით შეუძლებელია.

8. დაკვირვებები არის იმ შეტყობინებების შედგენის საფუძველი, რომლებიც ვრცელდება შეტყობინებების შედგენის აეროდრომზე და მის ფარგლებს გარეთ.

9. მეტეოროლოგიური ელემენტების სივრცესა და დროში ცვალებადობის, აგრეთვე, ზოგიერთი ელემენტის დაკვირვებისა და განსაზღვრის არასრულყოფილი მეთოდების გამო, შეტყობინების მიმღები მასში მითითებული ნებისმიერი ელემენტის მნიშვნელობას განიხილავს როგორც დაკვირვების დროს არსებულ პირობებთან მაქსიმალურად მიახლოებულს.

*საქართველოს მთავრობის 2016 წლის 11 თებერვლის დადგენილება №60 – ვებგვერდი, 15.02.2016წ.*

#### **მუხლი 14. მეტეოროლოგიურ სამსახურსა და საჰაერო მოძრაობის მომსახურების სრულყოფილებიან ორგანოს შორის შეთანხმება**

მეტეოროლოგიურ სამსახურსა და საჰაერო მოძრაობის მომსახურების შესაბამის ორგანოს შორის შეთანხმება, სხვა ყველაფერთან ერთად, უნდა ითვალისწინებდეს:

ა) საჰაერო მოძრაობის მართვის ორგანოს კომპლექსური ავტომატური სისტემის ინფორმაციის ამსახველი მონიტორებით უზრუნველყოფას;

ბ) აღნიშნული მონიტორების/ხელსაწყოების დაკალიბრებას და ტექნიკურ მომსახურებას;

გ) საჰაერო მოძრაობის მომსახურების პერსონალის მიერ აღნიშნული მონიტორების/ხელსაწყოების გამოყენებას;

დ) აუცილებლობის შემთხვევაში, დამატებითი ვიზუალური დაკვირვებების მონაცემების მიწოდებას;

ე) აფრენისა და დაფრენის დროს საჰაერო ხომალდებიდან მეტეოროლოგიური ინფორმაციის მიწოდებას;

ვ) სახმელეთო რადიოლოკატორის საშუალებით მიღებული მეტეოროლოგიური ინფორმაციის მიწოდებას.

**შენიშვნა:** საავიაციო მეტეოროლოგიურ სამსახურსა და საჰაერო მოძრაობის მომსახურების ორგანოებს შორის კოორდინირების ინსტრუქციული მასალა მოცემულია "საჰაერო მოძრაობის მომსახურების ორგანოებს, სააერნოსნო ინფორმაციის სამსახურსა და საავიაციო მეტეოროლოგიის სამსახურებს შორის კოორდინაციის სახელმძღვანელოში" (DOC 9377).

#### **მუხლი 15. რეგულარული დაკვირვებები და შეტყობინებები**

1. აეროდრომზე რეგულარული დაკვირვებები ყოველდღიურად, დღეღამურ რეჟიმში წარმოებს, თუ მეტეოროლოგიურ სამსახურს, საჰაერო მოძრაობის მომსახურების შესაბამის ორგანოსა და ექსპლუატანტს შორის არ არის სხვაგვარი შეთანხმება. ასეთი დაკვირვებები ერთი საათის ინტერვალით ტარდება, ხოლო, თუ ეს გათვალისწინებულია სააერნოსნო შეთანხმებით, ნახევარი საათის ინტერვალით. სხვა საავიაციო მეტეოროლოგიურ სადგურებზე დაკვირვებები ტარდება მეტეოროლოგიური სამსახურის შესაბამისი მითითებებისა და იმ მოთხოვნების გათვალისწინებით, რომლებსაც საჰაერო მოძრაობის მომსახურების ორგანოები აყენებენ.

2. რეგულარული დაკვირვებების შედეგებზე გამოიცემა შემდეგი სახის შეტყობინებები:

ა) ადგილობრივი რეგულარული შეტყობინებები, რომლებიც ვრცელდება შეტყობინების შედგენის



აეროდრომზე (განკუთვნილია მოსაფრენი და გასაფრენი საჰაერო ხომალდებისათვის); და

ბ) შეტყობინებები METAR-ის, რომლებიც ვრცელდება შეტყობინების აეროდრომის ფარგლებს გარეთ (ძირითადად განკუთვნილია ფრენების დასაგეგმად, რადიოსამაუწყებლო გადაცემებისათვის VOLMET და D-VOLMET-ისათვის).

**შენიშვნა:** მეტეოროლოგიური ინფორმაცია, რომელიც გამოიყენება ATIS-ში (სამაუწყებლო ATIS და D-ATIS აღებულია ადგილობრივი მეტეოროლოგიური შეტყობინებიდან).

3. აეროდრომებზე, რომლებიც არ მუშაობენ დღეღამური რეჟიმით, როგორც ეს გათვალისწინებულია ამ მუხლის პირველი პუნქტით, შეტყობინება METAR გამოიცემა ფრენების განახლებამდე რეგიონალური სააერონავიგაციო შეთანხმების შესაბამისად.

## **მუხლი 16. სპეციალური დაკვირვებები და სპეციალური შეტყობინებები**

1. სპეციალური დაკვირვებების ჩატარების კრიტერიუმების ჩამონათვალი დგება სააგენტოს მიერ საჰაერო მოძრაობის მომსახურების შესაბამის ორგანოსთან, ექსპლუატანტებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციის საფუძველზე.

2. ამინდზე სპეციალური დაკვირვების შედეგები გამოიცემა შემდეგი სახით:

ა) ადგილობრივი სპეციალური შეტყობინებების სახით, მხოლოდ შეტყობინების შედგენის აეროდრომზე გასავრცელებლად (განკუთვნილია მოსაფრენი და გასაფრენი საჰაერო ხომალდებისათვის); და

ბ) შეტყობინებების SPECI-ის სახით, შეტყობინების შედგენის აეროდრომის ფარგლებს გარეთ გასავრცელებლად (ძირითადად განკუთვნილია ფრენების დასაგეგმად, რადიოსამაუწყებლო გადაცემებისათვის VOLMET და D-VOLMET-ისათვის), გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც შეტყობინება METAR გამოიცემა ნახევარსაათიანი ინტერვალით.

**შენიშვნა:** მეტეოროლოგიური ინფორმაცია, რომელიც გამოიყენება ATIS-ში (სამაუწყებლო ATIS და D-ATIS აღებულია ადგილობრივი სპეციალური შეტყობინებიდან).

3. აეროდრომისათვის, რომელიც ყოველდღიურად დღე ღამის განმავლობაში არ მუშაობს, როგორც გათვალისწინებულია მე-15 მუხლის პირველი პუნქტით, აუცილებლობის შემთხვევაში გამოიცემა შეტყობინება SPECI, METAR-ის განახლების შემდეგ.

## **მუხლი 17. შეტყობინებების შინაარსი**

1. ადგილობრივ რეგულარულ და სპეციალურ შეტყობინებებში და შეტყობინებებში METAR და SPECI, ელემენტები მიეთითება შემდეგი თანმიმდევრობით:

ა) შეტყობინების ტიპის მაჩვენებელი;

ბ) ადგილმდებარეობის ინდექსი;

გ) დაკვირვების დრო;

დ) ავტომატიზებული ან, აუცილებლობის შემთხვევაში დაკარგული შეტყობინების მაჩვენებელი;

ე) მიწისპირა ქარის მიმართულება და სიჩქარე;

ვ) ხილვადობა;

ზ) ხილვადობის მანძილი ადზ-ზე, აუცილებლობის შემთხვევაში;

თ) მიმდინარე ამინდი



ი) ღრუბლების რაოდენობა, ღრუბლების სახეობა (მხოლოდ გროვა-საწვიმარი და კომპლექსური გროვა ღრუბლების) და ღრუბლის ქვედა საზღვრის სიმაღლე ან ვერტიკალური ხილვადობა, თუ ის იზომება;

კ) ჰაერის ტემპერატურა და ნამის წერტილის ტემპერატურა;

ლ) QNH და, აუცილებლობის შემთხვევაში QFE (QFE-ს რთველს მხოლოდ ადგილობრივ რეგულარულ და სპეციალურ შეტყობინებებში).

**შენიშვნა:** ადგილმდებარეობის ინდექსები, რომელთა შესახებ საუბარია ბ) ქვეპუნქტში, მოყვანილია დოკუმენტში DOC 7910 “ადგილმდებარეობის მაჩვენებლები (ინდექსები)“.

2. არააუცილებელი ელემენტები შეტყობინება METAR და SPECI-ში ჩაერთვება დამატებითი ინფორმაციის სახით რეგიონალური სააერონავიაციო ხელშეკრულების შესაბამისად.

## **მუხლი 18. მიწისპირა ქარი**

1. იზომება მიწისპირა ქარის საშუალო მიმართულება და საშუალო სიჩქარე, აგრეთვე ქარის მიმართულების და სიჩქარის მნიშვნელოვანი ცვლილებები, ხოლო მონაცემები გადაიცემა გეოგრაფიულ გრადუსებით და მეტრწამებით ან კვანძებით შესაბამისად.

2. იმ შემთხვევებში, როდესაც ადგილობრივი რეგულარული და საგანგებო შეტყობინებები გამოიყენება გასაფრენი საჰაერო ხომალდებისათვის, მიწისპირა ქარზე დაკვირვებები, რომლებიც საჭიროა ამ შეტყობინებების შესადგენად, განკუთვნილი უნდა იყოს ადზ-ის გასწვრივი პირობებისათვის, ხოლო მომდგრენი საჰაერო ხომალდებისათვის კი - დაფრენის მთელი ზონისათვის.

## **მუხლი 19. ხილვადობა**

1. ხილვადობა, რომლის განმარტება მოცემულია პირველ თავში, დაიკვირვება ან იზომება, ხოლო მისი მონაცემები გადაიცემა მეტრებით ან კილომეტრებით.

2. იმ შემთხვევებში, როდესაც ადგილობრივი რეგულარული და სპეციალური შეტყობინებები გამოიყენება გასაფრენი საჰაერო ხომალდებისათვის, დაკვირვებები ხილვადობაზე წარმოდგენილი უნდა იყოს ადზ-ის გასწვრივ, ხოლო იმ შემთხვევებში, როდესაც ადგილობრივი რეგულარული და სპეციალური შეტყობინებები გამოიყენება მოსაფრენი საჰაერო ხომალდებისათვის-ადზ-ის დაფრენის არისათვის.

3. METAR და SPECI -ის შესადგენად, დაკვირვება ხილვადობაზე წარმოდგენილი უნდა იყოს მთელი აეროდრომისათვის.

## **მუხლი 20. ხილვადობის მანძილი ადზ-ზე**

1. ადზ-ზე ხილვადობის მანძილის შეფასება, რომლის განმარტებაც მოცემულია პირველ თავში, ხორციელდება ყველა ადზ-ზე, რომლებიც განკუთვნილია დასაფრენად შესვლისა და II და III კატეგორიებისათვის ხელსაწყოების საშუალებით დასაფრენად.

2. ადზ-ზე ხილვადობის მანძილის შეფასება, რომლის განმარტებაც მოცემულია პირველ თავში, ხორციელდება ყველა ადზ-ზე, რომლებიც განკუთვნილია დაბალი ხილვადობის პერიოდში, მათ შორის:

ა) ადზ-ზე, რომელიც აღჭურვილია დასაფრენად ზუსტი შესვლისათვის და განკუთვნილია პირველი კატეგორიისათვის ხელსაწყოების საშუალებით დაფრენისათვის;

ბ) ადზ-ზე, რომლებიც გამოიყენება დასაფრენად და აქვთ დასაფრენი ნათურები და/ან მაღალი ინტენსივობის ღერძულა ნათურები.

3. ადზ-ზე ხილვადობის მანძილის შეფასების შედეგები, რომლებიც სრულდება ამ მუხლის 1-ლი



პუნქტის შესაბამისად, გადაიცემა მეტრებით, იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც ხილვადობა ან ადზ-ზე ხილვადობის მანძილი 1500 მეტრზე ნაკლებია.

4. ადზ-ზე ხილვადობის მანძილის მონაცემები იზომება:

ა) დასაფრენად ზუსტად შესვლის საშუალებებით აღჭურვილი ან I კატეგორიის ინსტრუმენტული შესვლისათვის აღჭურვილი ადზ-ის დაფრენის (შეხების) არისათვის;

ბ) დასაფრენად II კატეგორიის ინსტრუმენტული შესვლისათვის აღჭურვილი ადზ-ის დაფრენის (შეხების) არესა და შუაგულისათვის;

გ) დასაფრენად III კატეგორიის ინსტრუმენტალური შესვლისათვის აღჭურვილი ადზ-ის დაფრენის (შეხების) არეს, შუაგულისა და ადზ-ის შორეული კიდისათვის.

5. აეროდრომის რაიონის საჰაერო მოძრაობისა და აეროდრომის სააერნაოსნო ინფორმაციით უზრუნველყოფ ორგანოს დაუყოვნებლივ ეცნობება ადზ-ის ხილვადობის მანძილის საზომი ავტომატური აღჭურვილობის საექსპლუატაციო საიმედობის ცვლილებები.

## მუხლი 21. მიმდინარე ამინდი

1. აეროდრომზე ტარდება დაკვირვებები მიმდინარე ამინდზე და გადაიცემა მასზე მონაცემები. მითითებულ უნდა იქნეს სულ მცირე ამინდის შემდეგი მოვლენები: წვიმა, ჟინჟლი, თოვლი და გადაციებული ნალექები (მათ შორის, მათი ინტენსივობაც), ბური, ჯანლი, გადაციებული ნისლი და ჭექა-ქუხილი (მათ შორის, ჭექა-ქუხილი შემოგარენშიც).

2. METAR და SPECI შეტყობინებებისათვის განკუთვნილი ინფორმაცია მიმდინარე ამინდის შესახებ უნდა შეესაბამებოდეს აეროდრომის პირობებს, ხოლო მიმდინარე ამინდის ზოგიერთი დათქმული მოვლენის მიმართ – მისი შემოგარენის პირობებს (აეროდრომის საკონტროლო წერტილიდან 8-16 კილომეტრის ფარგლებში).

*საქართველოს მთავრობის 2016 წლის 11 თებერვლის დადგენილება №60 – ვებგვერდი, 15.02.2016წ.*

## მუხლი 22. ღრუბლიანობა

1. წარმოებს დაკვირვება და გადაიცემა იმ ღრუბლების რაოდენობის, სახეობის და ქვედა საზღვრის სიმაღლის მონაცემები, რომლებიც ფრენებისათვის მნიშვნელოვანი ღრუბლიანობის აღსაწერადაა აუცილებელი. იმ შემთხვევებში, როდესაც ცის მდგომარეობის განსაზღვრა გართულებულია, ღრუბლების რაოდენობას, სახეობას და ქვედა საზღვრის სიმაღლეზე დაკვირვების ნაცვლად წარმოებს დაკვირვება და გადაიცემა ვერტიკალური ხილვადობის მონაცემები. ღრუბლების ქვედა საზღვრის სიმაღლისა და ვერტიკალური ხილვადობის მონაცემები გადაიცემა მეტრებით (ან ფუტებით).

2. ღრუბლებზე დაკვირვებები, რომლებიც განკუთვნილია ადგილობრივი რეგულარული და სპეციალური შეტყობინებებისათვის, განკუთვნილი უნდა იყოს ადზ-ის გამოყენებული ზღურბლისათვის.

3. ღრუბლებზე დაკვირვებები, რომლებიც განკუთვნილია შეტყობინებებისათვის METAR და SPECI, უნდა ჩატარდეს აეროდრომისა და მისი შემოგარენისათვის.

*საქართველოს მთავრობის 2018 წლის 21 თებერვლის დადგენილება №97 – ვებგვერდი, 23.02.2018წ.*

## მუხლი 23. ჰაერის და ნამის წერტილის ტემპერატურა

1. ჰაერისა და ნამის წერტილის ტემპერატურა იზომება და გადაიცემა ცელსიუსის გრადუსით.

2. ჰაერისა და ნამის წერტილის ტემპერატურაზე დაკვირვებები, რომლებიც განკუთვნილია ადგილობრივი რეგულარული, სპეციალური შეტყობინებისათვის და შეტყობინებისათვის METAR და SPECI, უნდა შეესაბამებოდეს ადზ-ის მთელ კომპლექსს.



3. დაკვირვება ჰაერის ტემპერატურისა და ნამის წერტილის ტემპერატურის შესახებ, რომელიც გადაიცემა ადგილობრივი რეგულარული და ადგილობრივი სპეციალური შეტყობინებებით, METAR-ით და SPECI-ით, განკუთვნილი უნდა იყოს მთელი ასაფრენ-დასაფრენი ზოლის კომპლექსისათვის.

საქართველოს მთავრობის 2018 წლის 21 თებერვლის დადგენილება №97 – ვებგვერდი, 23.02.2018წ.

## **მუხლი 24. ატმოსფერული წნევა**

ატმოსფერული წნევა იზომება, ხოლო სიდიდეები QNH და QFE გამოითვლება და გადაიცემა ჰექტოპასკალებით.

## **მუხლი 25. დამატებითი ინფორმაცია**

აეროდრომზე დაკვირვების შედეგების შეტყობინებებში ჩართული უნდა იყოს დამატებითი ინფორმაცია განსაკუთრებული მეტეოროლოგიური პირობების შესახებ, განსაკუთრებით დაფრენისა და სიმაღლის აღების არეებში. სადაც ეს პრაქტიკულად შესაძლებელია, ასეთი ინფორმაცია უნდა მოიცავდეს ამ მეტეოროლოგიური ელემენტების ადგილმდებარეობის ცნობებს.

## **მუხლი 26. დაკვირვების ავტომატური სისტემებიდან მიღებული მეტეოროლოგიური ინფორმაციის გადაცემა**

1. დაკვირვების ავტომატური სისტემებიდან მიღებული შეტყობინებები METAR და SPECI გამოიყენება მხოლოდ იმ პერიოდში, როდესაც აეროდრომი არ მუშაობს. ეს შეტყობინებები METAR და SPECI უნდა აღინიშნოს სიტყვით „AUTO“.

2. აეროდრომის მეტეოროლოგიური სამსახური მომხმარებელთან კონსულტაციისა და პერსონალის შესაძლებლობების შესაბამისად, განსაზღვრავს ავტომატური დაკვირვების სისტემებიდან ადგილობრივი და სპეციალური შეტყობინებების გამოყენება/გავრცელებას აეროდრომის სამუშაო საათების განმავლობაში.

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 11 თებერვლის დადგენილება №60 – ვებგვერდი, 15.02.2016წ.

## **მუხლი 27. დაკვირვებები ვულკანურ მოქმედებებზე და შეტყობინებები**

ვულკანური მოქმედების გამოვლენის ფაქტები, რომლებიც წინ უსწრებენ ამოფრქვევას, აგრეთვე ვულკანურ ამოფრქვევებზე და ვულკანური ფერფლის ღრუბლის გამოჩენის შესახებ, დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს საჰაერო მოძრაობის მომსახურების შესაბამის ორგანოსა და მეტეოროლოგიური თვალთვალის ორგანოს. შეტყობინება დგება ცნობის სახით ვულკანურ მოქმედებაზე, რომელიც მოიცავს შემდეგ ინფორმაციას, ქვემოთ ჩამოთვლილი თანმიმდევრობის მიხედვით:

ა) შეტყობინების ტიპი: ვულკანური მოქმედების ცნობა (VOLC ან IC ACTIVITY REPORT);

ბ) სადგურის ნიშანი, ადგილმდებარეობის ინდექსი ან სადგურის დასახელება;

გ) თარიღი/ შეტყობინების დრო;

დ) ვულკანის ადგილმდებარეობა და მისი სახელწოდება, თუ ცნობილია;

ე) მოვლენის მოკლე აღწერა, რომელშიც ჩართულია, შესაბამის შემთხვევებში, ვულკანური მოქმედების სიმძლავრის დონე, ამოფრქვევის ფაქტი, თარიღი და დრო, აგრეთვე – ვულკანური ფერფლის არსებობა მოცემულ რაიონში, ინფორმაცია ვულკანური ღრუბლის მოძრაობის და მისი სიმაღლის შესახებ.

**შენიშვნა:** აღნიშნულ კონტექსტში ვულკანური მოქმედება, რომელიც წინ უსწრებს ამოფრქვევას ნიშნავს განსაკუთრებულ და/ან გააქტიურებულ ვულკანურ მოქმედებას, რომელიც შეიძლება ვულკანის ამოფრქვევას მოასწავებდეს.





**შენიშვნა:** ამ თავის ტექნიკური მოთხოვნები და დაწვრილებითი კრიტერიუმები მოცემულია XIV თავში.

## მუხლი 28. ზოგადი დებულება

ყველა სახელმწიფო თავის დებულებების შესაბამისად უზრუნველყოფს დაკვირვებას საჰაერო ხომალდებიდან, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან მოცემულ სახელმწიფოში და ასრულებენ ფრენებს საერთაშორისო ავიატრასებზე, აგრეთვე უზრუნველყოფენ ამ დაკვირვებების რეგისტრაციას და გადაცემას.

## მუხლი 29. საჰაერო ხომალდებიდან დაკვირვების ტიპები

საჰაერო ხომალდებიდან წარმოებს შემდეგი დაკვირვებები:

1. რეგულარული დაკვირვებები სიმაღლის აღებისა და მარშრუტზე ფრენის დროს;
2. სპეციალური და სხვა არარეგულარული დაკვირვებები ფრენის ნებისმიერ ეტაპზე.

## მუხლი 30. რეგულარული დაკვირვებები საჰაერო ხომალდებიდან, დანიშნულება

1. მონაცემთა გადამცემი ხაზის „ჰაერი-დედამიწა“ გამოყენებისას და ავტომატური დამოკიდებული დაკვირვებებისას (ADS-C-კონტრაქტი), ავტომატიზებული რეგულარული დაკვირვებები უნდა ჩატარდეს მარშრუტზე ფრენის დროის ყოველ 15 წუთსა და სიმაღლის აღების ეტაპზე პირველი 10 წუთის განმავლობაში ყოველ 0,5 წუთში.

2. საჰაერო მოძრაობის მაღალი დატვირთვის მარშრუტებზე ერთი საჰაერო ხომალდი, ფრენის ყოველ ემელონზე, ინიშნება რეგულარული დაკვირვების ჩასატარებლად.

3. იმ შემთხვევაში, როდესაც საჭიროა შეტყობინების გადაცემა სიმაღლის აღებისას, თითოეულ აეროდრომზე ინიშნება საჰაერო ხომალდი დაახლოებით ერთსაათიანი ინტერვალით რეგულარული დაკვირვების ჩასატარებლად.

4. საჰაერო ხომალდიდან მარშრუტზე ფრენის ეტაპზე სამეტყველო კავშირის გამოყენებისას რეგულარული დაკვირვებები ტარდება იმ პუნქტებში და იმ ინტერვალით:

ა) სადაც, საჰაერო მოძრაობის მომსახურების წესების მიხედვით, საჭიროა საჰაერო ხომალდის ადგილმდებარეობის გადაცემა;

ბ) რომლებიც ერთმანეთს დაცილებულია 1 საათის საფრენოსნო დროის ყველაზე უფრო შესაბამისი ინტერვალებით.

5. ღია ზღვაში განლაგებულ ბაქანზე ვერტმფრენის ფრენისას, რეგულარული დაკვირვებები ვერტმფრენებიდან უნდა წარმოებდეს იმ პუნქტებსა და დროის პერიოდში, რომელიც გათვალისწინებულია მეტეოროლოგიურ სამსახურსა და დაინტერესებულ ექსპლუატანტს შორის შეთანხმებით.

6. საჰაერო მოძრაობის მაღალი სიმკვრივის მარშრუტებზე (მაგალითად ორგანიზებულ ტრეკებზე) საჰაერო ხომალდებიდან ერთ-ერთი, ფრენის ეტაპის ყოველ ემელონზე, ინიშნება დაახლოებით ერთსაათიანი ინტერვალით რეგულარული დაკვირვებების ჩასატარებლად ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების შესაბამისად. აღნიშნული დანიშვნის წესები რეგიონული სააერნოსნო შეთანხმებით განისაზღვრება.

7. როდესაც სიმაღლის აღების ეტაპზე შეტყობინების გადაცემა საჭიროა, აეროდრომზე ინიშნება საჰაერო ხომალდი დაახლოებით ერთსაათიანი ინტერვალით რეგულარული დაკვირვების ჩასატარებლად, ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად.



### **მუხლი 31. რეგულარული დაკვირვებები საჰაერო ხომალდიდან - გამონაკლისი**

საჰაერო ხომალდის ეკიპაჟი სამეტყველო კავშირის გამოყენებისას თავისუფლდება 30-ე მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული რეგულარული დაკვირვებებისაგან, იმ შემთხვევებში, როდესაც:

- ა) საჰაერო ხომალდი არ არის მოწყობილი RNAV აღჭურვილობით ან
- ბ) ფრენის ხანგრძლივობა შეადგენს 2 საათს და ნაკლებს; ან
- გ) საჰაერო ხომალდი დაფრენის პუნქტიდან საფრენი დროის 1 საათზე ნაკლებ მანძილზეა;
- დ) ფრენა სრულდება 1500 მეტრზე (5000 ფუტზე) დაბლა.

### **მუხლი 32. სპეციალური დაკვირვებები საჰაერო ხომალდებიდან**

სპეციალური დაკვირვებები ტარდება ყველა საჰაერო ხომალდიდან იმ შემთხვევაში, როდესაც დაიკვირვება შემდეგი პირობები:

- ა) ძლიერი ტურბულენტობა; ან
- ბ) ძლიერი შემოყინვა; ან
- გ) ძლიერი მთის ტალღა; ან
- დ) შენიღბული, დაფარული გარემომცველი ჭექა-ქუხილი უსეტყვოდ ან ქარტეხილის ხაზით;
- ე) შენიღბული, დაფარული გარემომცველი ჭექა-ქუხილი სეტყვით ან ქარტეხილის ხაზით;
- ვ) ძლიერი მტვრიანი ან ძლიერი ქვიშიანი ქარიშხალი; ან
- ზ) ვულკანური ფერფლის ღრუბელი; ან
- თ) ვულკანური მოქმედებები, რომლებიც წინ უსწრებს ამოფრქვევას ან ვულკანური ამოფრქვევა.

**შენიშვნა:** მოცემულ ტექსტში ვულკანური მოქმედებები, რომლებიც წინ უსწრებს ამოფრქვევას ნიშნავს უჩვეულო და/ან გაძლიერებულ ვულკანურ მოქმედებას, რომლებიც წინ უსწრებენ ამოფრქვევას.

აგრეთვე ბგერასთან მიახლოებული და ზებგერითი სიჩქარეებისას:

- ი) ზომიერი ტურბულენტობა; ან
- კ) სეტყვა; ან
- ლ) გროვა-საწვიმარი ღრუბლები.

### **მუხლი 33. სხვა არარეგულარული დაკვირვებები საჰაერო ხომალდებიდან**

იმ შემთხვევებში, როდესაც ადგილი აქვს ისეთ მეტეოროლოგიურ პირობებს, რომლებიც ჩამოთვლილი არ არის 32-ე მუხლში (მაგალითად ქარის წანაცვლება) და რომლებმაც, საჰაერო ხომალდის მეთაურის აზრით, შეიძლება ზემოქმედება მოახდინონ ფრენის უსაფრთხოებაზე, იგი ამის შესახებ აცნობებს საჰაერო მოძრაობის მომსახურების ორგანოს, შეძლებისდაგვარად უმოკლეს დროში.

**შენიშვნა:** შემოყინვა, ტურბულენტობა და მნიშვნელოვან წილად ქარის წანაცვლება - ეს ის მოვლენებია, რომლებზეც ჯერჯერობით დედამიწიდან შეუძლებელია საიმედო დაკვირვება, და ერთადერთ



დასაბუთებად მათი არსებობისა, უმეტეს შემთხვევებში ეს არის დაკვირვებები საჰაერო ხომალდებიდან.

### **მუხლი 34. ფრენის დროს საჰაერო ხომალდიდან დაკვირვებების მონაცემების გადაცემა**

1. დაკვირვებები საჰაერო ხომალდიდან გადაიცემა მონაცემების გადამცემი ხაზით „ჰაერი-დედამიწა“ იმ შემთხვევებში, როდესაც მონაცემების გადამცემი ხაზი „ჰაერი-დედამიწა“ არ არის უზრუნველყოფილი ან მისი გამოყენება არ არის მიზანშეწონილი, ფრენის დროს საჰაერო ხომალდიდან დაკვირვებების მონაცემები გადაიცემა სამეტყველო კავშირის საშუალებებით.
2. დაკვირვებების მონაცემები საჰაერო ხომალდიდან გადაიცემა დაკვირვების განხორციელების მომენტში ფრენის დროს და შესაძლებლობის მიხედვით, მისი ჩატარებისთანავე.
3. დაკვირვებების მონაცემები საჰაერო ხომალდიდან გადაიცემა საჰაერო ხომალდიდან შეტყობინების ფორმით.

### **მუხლი 35. საჰაერო მოძრაობის მომსახურების ორგანოების მიერ საჰაერო ხომალდიდან მიღებული მონაცემების შემდგომი გავრცელება**

მეტეოროლოგიური სამსახური უთანხმდება საჰაერო მოძრაობის მომსახურების შესაბამის ორგანოს, იმისათვის, რომ საჰაერო მოძრაობის მომსახურების ორგანოებმა მონაცემების მიღებისას:

- ა) სამეტყველო კავშირის საშუალებების გამოყენებისას საჰაერო ხომალდიდან რეგულარული და საგანგებო შეტყობინებები დაუყოვნებლივ გადაუგზავნონ საკუთარ მეტეოროლოგიური თვალთვალის ორგანოს;
- ბ) მონაცემების გადამცემი ხაზის გამოყენებისას რეგულარული და სპეციალური შეტყობინებები საჰაერო მოძრაობის მომსახურების ორგანოების მიერ დაუყოვნებლივ უნდა გადაიცეს ზონალური პროგნოზების მსოფლიო ცენტრებსა (ზჰმც) და რეგიონალური სააერნაოსნო შეთანხმებით დანიშნულ ცენტრებში, სააერნაოსნო ფიქსირებული მომსახურების ფარგლებში, ინტერნეტის გამოყენებით;
- გ) მონაცემების გადამცემი ხაზის გამოყენებისას სპეციალური შეტყობინებები დაუყოვნებლივ გადაიცემა საკუთარ მეტეოროლოგიური თვალთვალის ორგანოში და ზჰმც-ში.

*საქართველოს მთავრობის 2018 წლის 21 თებერვლის დადგენილება №97 – ვებგვერდი, 23.02.2018წ.*

### **მუხლი 36. ფრენის შემდეგ ვულკანურ მოქმედებაზე საჰაერო ხომალდიდან დაკვირვების მონაცემების რეგისტრაცია და წარდგენა**

საჰაერო ხომალდიდან საგანგებო დაკვირვებები ვულკანურ მოქმედებაზე, რომელიც წინ უსწრებს ამოფრქვევას, ვულკანურ მოქმედებაზე ან ვულკანური ფერფლის ღრუბელზე ვულკანური მოქმედების შესახებ საჰაერო ხომალდიდან გადაცემის შეტყობინების სპეციალური ფორმით რეგისტრირდება. ერთი ეგზემპლარი ჩაერთვება საფრენოსნო დოკუმენტაციაში, რომელიც განკუთვნილია ფრენებისათვის მარშრუტზე, რომლებსაც, სრულყოფილიანი მეტეოროლოგიური ორგანოების აზრით, ვულკანური ფერფლის ღრუბელი შეიძლება შეეხოს.

## **თავი VI**

### **პროგნოზები**

**შენიშვნა:** ამ თავის ტექნიკური მოთხოვნები და დაწვრილებითი კრიტერიუმები მოცემულია XV თავში.

### **მუხლი 37. პროგნოზების ინტერპრეტაცია და გამოყენება**

1. მეტეოროლოგიური ელემენტების სივრცესა და დროში ცვალებადობის, აგრეთვე, ამინდის ზოგიერთი ელემენტის პროგნოზისა და განსაზღვრის არასრულყოფილი მეთოდების გამო, მომხმარებელი პროგნოზში მითითებული ამინდის ნებისმიერი ელემენტის კონკრეტულ



მნიშვნელობას განიხილავს ისეთ სავარაუდო სიდიდეთ, რომელიც ამ ელემენტმა პროგნოზის მოქმედების ვადაში შეიძლება მიიღოს. ზუსტად ასევე, როცა პროგნოზში მითითებულია რომელიმე მოვლენის ზუსტად წარმოქმნის ან ამინდის ელემენტის ცვლილების დრო, იგი განიხილება, როგორც სავარაუდო დრო.

2. აეროდრომის მეტეოროლოგიური სამსახურის მიერ ახალი პროგნოზის გამოშვება ნიშნავს იმას, რომ ადრე გამოშვებული ტიპობრივი პროგნოზები იმავე პერიოდისათვის ან მისი ნაწილისათვის ავტომატურად უქმდება.

3. TAF-ის სიზუსტის შემოწმება უნდა მოხდეს სათანადო გადამოწმების/შეფასების მეთოდოლოგიის გამოყენებით. ვერიფიკაციამ/შეფასებამ უნდა დაადგინოს პროგნოზის სიზუსტე პროგნოზის ელემენტების ცვლილების კრიტერიუმებთან მიმართებაში, როგორცაა ქარის მიმართულება, ქარის სიჩქარე, ხილვადობა, ნალექი, ღრუბლის რაოდენობა და ღრუბლის სიმაღლე. იმ პროგნოზებში, რომლებშიც გადაიცემა მაქსიმალური და მინიმალური ტემპერატურა, ასევე უნდა შეფასდეს TAF-ში ტემპერატურის პროგნოზების სიზუსტეც. ვერიფიკაცია უნდა ხორციელდებოდეს ჩიკაგოს კონვენციის მე-3 დანართის „ბ“ დამატებაში „მისაღები პროგნოზების სიზუსტე, ექსპლუატაციის მიზნებიდან გამომდინარე“ გაწერილ კრიტერიუმებთან მიმართებაში.

*საქართველოს მთავრობის 2016 წლის 11 თებერვლის დადგენილება №60 – ვებგვერდი, 15.02.2016წ.  
საქართველოს მთავრობის 2020 წლის 19 ოქტომბრის დადგენილება №633 – ვებგვერდი, 20.10.2020წ.*

### **მუხლი 38. აეროდრომის პროგნოზები**

1. აეროდრომის პროგნოზს ადგენს, კანონმდებლობის შესაბამისად, სერტიფიცირებული აეროდრომის მეტეოროლოგიური სამსახური.

2. აეროდრომის პროგნოზი გამოიშვება დანიშნულ დროს და შედგება აეროდრომის რაიონში დროის გარკვეული პერიოდის განმავლობაში მოსალოდნელი მეტეოროლოგიური პირობების მოკლე შეტყობინებებისაგან.

3. აეროდრომის პროგნოზები და მათი კორექტივები გამოიცემა პროგნოზების TAF-ის სახით და მოიცავს ინფორმაციას აღნიშნული თანმიმდევრობით:

ა) პროგნოზის ტიპის იდენტიფიკატორი;

ბ) ადგილმდებარეობის ნიშანი;

გ) პროგნოზის თარიღი და გამოშვების დრო ;

დ) არარსებული პროგნოზის იდენტიფიკატორი, როდესაც ეს მისაღებია;

ე) თარიღი და პროგნოზის მოქმედების დრო;

ვ) გაუქმებული პროგნოზის იდენტიფიკატორი, როდესაც ეს მისაღებია;

ზ) მიწისპირა ქარი;

თ) ხილვადობა;

ი) ამინდი;

კ) ღრუბლიანობა; და

ლ) ერთი ან რამდენიმე ამ ელემენტის მოსალოდნელი მნიშვნელოვანი ცვლილებები პროგნოზის მოქმედების პერიოდში.

პროგნოზებში TAF დამატებითი ელემენტები ჩაირთვება რეგიონული სააერონავიაციო შეთანხმების შესაბამისად.



**შენიშვნა:** TAF-ში მითითებული ხილვადობა შეესაბამება პროგნოზირებულ უმეტეს ხილვადობას.

4. მეტეოროლოგიური ორგანო, რომელიც ადგენს პროგნოზებს - TAF, ახორციელებს პროგნოზების მუდმივ კონტროლს და აუცილებლობის შემთხვევაში სწრაფად შეაქვს მათში შესაბამისი კორექტივები. პროგნოზების ტექსტის სიგრძე და მათში მითითებული ცვლილებების რაოდენობა მინიმუმამდე დაიყვანება.

5. პროგნოზები TAF, რომელთა განახლება სისტემატურად არ ხდება, უქმდება.

6. აეროდრომის რეგულარული პროგნოზის TAF-ის მოქმედების პერიოდი უნდა შეადგენდეს არანაკლებ 6 და არა უმეტეს 30 საათს; ეს პერიოდი უნდა განისაზღვროს რეგიონული სააერონავიაციო შეთანხმების შესაბამისად. 12 საათზე ნაკლები პერიოდის რეგულარული პროგნოზები TAF-ი გამოშვებული უნდა იქნეს ყოველ 3 საათში, ხოლო 12-დან 30-საათამდე პერიოდის ყოველ 6 საათში.

7. TAF-ის გამოცემისას აეროდრომის მეტეოროლოგიური სამსახური უზრუნველყოფს არაუმეტეს ერთი მოქმედი TAF-ის არსებობას აეროდრომზე დროის ნებისმიერ მომენტში.

*საქართველოს მთავრობის 2016 წლის 11 თებერვლის დადგენილება №60 – ვებგვერდი, 15.02.2016წ.*

*საქართველოს მთავრობის 2018 წლის 21 თებერვლის დადგენილება №97 – ვებგვერდი, 23.02.2018წ.*

### **მუხლი 39. პროგნოზები დაფრენისათვის**

1. პროგნოზებს დაფრენისათვის ადგენს სერტიფიცირებული აეროდრომის მეტეოროლოგიური სამსახური. ასეთი პროგნოზები განკუთვნილია ადგილობრივი მომხმარებლის დასაკმაყოფილებლად, აგრეთვე საჰაერო ხომალდებისათვის, რომლებიც აეროდრომიდან 1 საათის საფრენი დროის ფარგლებში იმყოფება.

2. პროგნოზები დაფრენისათვის დგება რეგიონული სააერონავიაციო შეთანხმების შესაბამისად, პროგნოზი TREND-ის სახით.

3. TREND-ის ტიპის პროგნოზი შედგება მეტეოროლოგიური პირობების მოსალოდნელი მნიშვნელოვანი ცვლილებების მოკლე აღწერისაგან მოცემულ აეროდრომზე, რომელიც თან ერთვის ადგილობრივ რეგულარულ ან ადგილობრივ სპეციალურ შეტყობინებას METAR და SPECI.

4. TREND-ის ტიპის პროგნოზების მოქმედების პერიოდი შეადგენს 2 საათს იმ დროიდან, როდესაც შედგენილია შეტყობინება, რომელიც წარმოადგენს ნაწილს დაფრენის პროგნოზისათვის.

*საქართველოს მთავრობის 2016 წლის 11 თებერვლის დადგენილება №60 – ვებგვერდი, 15.02.2016წ.*

### **მუხლი. 40 პროგნოზები აფრენისათვის**

1. პროგნოზებს აფრენისათვის ადგენს სერტიფიცირებული აეროდრომის მეტეოროლოგიური სამსახური, თუ აღნიშნული მოითხოვება მეტეოროლოგიურ სამსახურსა და ექსპლუატანტებს შორის შეთანხმების საფუძველზე.

2. პროგნოზები აფრენისათვის უნდა განეკუთვნებოდეს დროის გარკვეულ პერიოდს და შეიცავდეს ინფორმაციას მოსალოდნელი მეტეოროლოგიური პირობების შესახებ ადზ-ის კომპლექსის რაიონში, კერძოდ: მიწისპირა ქარის მიმართულების და სიჩქარის და ცვლილების შესახებ ყველა ტემპერატურის, წნევის და ნებისმიერი სხვა ელემენტის შესახებ, რომელთა მიმართ მიღებულია ლოკალური შეთანხმება.

3. პროგნოზები აფრენისათვის ექსპლუატანტს და საფრენოსნო ეკიპაჟის წევრებს უნდა მიეწოდოს მოთხოვნის მიხედვით, 3 საათის განმავლობაში აფრენის მოსალოდნელ დრომდე.

4. მეტეოროლოგიურმა ორგანომ, რომელიც ადგენს პროგნოზებს აფრენისათვის, უნდა განახორციელოს მუდმივი კონტროლი მასზე და აუცილებლობის შემთხვევაში, დროულად გამოუშვან მათი კორექტივები.



## **მუხლი 41. დაბალ სიმაღლეზე საფრენად განკუთვნილი ზონალური პროგნოზები**

1. იმ შემთხვევაში, როდესაც საჰაერო მოძრაობის სიმკრივე ფრენის ეშელონ 100-ზე დაბლა (ან მთიან რაიონში ფრენის ეშელონ 150-მდე) საჭიროებს ზონალური პროგნოზების რეგულარულ გამოშვებას და გავრცელებას, ასეთი პროგნოზების გამოშვების სიხშირე, ფორმატი და მოქმედების ფიქსირებული პერიოდი და მათი კორექტივები განისაზღვრება მეტეოროლოგიურ სამსახურსა და მომხმარებელს შორის შეთანხმების საფუძველზე.
2. იმ შემთხვევაში, როდესაც მოძრაობის სიმკვრივე ფრენის ეშელონ 100-ზე დაბლა იწვევს AIRMET-ის გამოცემის აუცილებლობას, 43-ე მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნების მიხედვით, ასეთი ფრენების ზონალური პროგნოზები დგება მეტეოროლოგიურ ორგანოებს შორის შეთანხმების შესაბამისად. ღია ტექსტით შემოკლებებით სარგებლობისას, პროგნოზი დგება ზონალური GAMET პროგნოზის სახით, ამასთან, იკაო-ს შემოკლებები და რიცხობრივი მნიშვნელობები გამოიყენება. ზონალური პროგნოზი ქვეყნდება დედამიწის ზედაპირიდან ფრენის მე-100 ეშელონამდე (ან 150-ე ეშელონამდე მთიანი მხარისათვის ან, საჭიროებისას, უფრო მეტი სიმაღლისათვისაც) და შეიცავს მარშრუტზე ამინდის მოვლენების იმ მონაცემებს, რაც დაბალ სიმაღლეზე ფრენისათვის ისეთ საშიშროებას წარმოადგენს, რომლებიც AIRMET ინფორმაციის გამოსაქვეყნებლად გამოიყენება, აგრეთვე – დაბალ სიმაღლეზე საფრენად საჭირო დამატებით მონაცემებს.
3. დაბალ სიმაღლეზე საფრენად განკუთვნილი ზონალური პროგნოზები, რომლებიც AIRMET ინფორმაციის გამოსაქვეყნებლად გამოიყენება, გამოიცემა ყოველ 6 საათში, ამასთან, მოქმედების პერიოდი შეადგენს 6 საათს და გადაეცემა შესაბამის აეროდრომის მეტეოროლოგიური თვალთვალის ორგანოს და/ან აეროდრომის მეტეოროლოგიურ სამსახურებს, არაუგვიანეს 1 საათისა მათი მოქმედების პერიოდის დასაწყისიდან.

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 11 თებერვლის დადგენილება №60 – ვებგვერდი, 15.02.2016წ.

## **თავი VII**

### **ინფორმაცია SIGMET და AIRMET, გაფრთხილებები აეროდრომზე და გაფრთხილებები ქარის წანაცვლების შესახებ**

**შენიშვნა:** ამ თავის ტექნიკური მოთხოვნები და დაწვრილებითი კრიტერიუმები მოცემულია XVI თავში

## **მუხლი 42. ინფორმაცია SIGMET**

1. ინფორმაცია SIGMET გამოიცემა მეტეოროლოგიური თვალთვალის ორგანოს მიერ და წარმოადგენს ფრენის მარშრუტზე იმ ფაქტობრივი და/ან მოსალოდნელი ამინდისა და ატმოსფეროში სხვა მოვლენების მოკლე აღწერას ღია ტექსტით, შემოკლებებით, რომლებმაც შეიძლება ზემოქმედება მოახდინონ ფრენების უსაფრთხოებაზე, აგრეთვე შეიცავს ამ მოვლენების დროსა და სივრცეში სავარაუდო განვითარების ინფორმაციას.
2. ინფორმაცია SIGMET უქმდება, თუ მოვლენები აღარ დაიკვირვება ან მათი განვითარება მოცემულ რაიონში აღარ არის მოსალოდნელი.
3. შეტყობინება SIGMET-ის მოქმედების პერიოდი არ აღემატება 6 საათს; სასურველია, რომ ის არ აღემატებოდეს 4 საათს.
4. მეტეოროლოგიური თვალთვალის ორგანოსა და შესაბამის სამეთვალყურეო ცენტრს, საფრენოსნო ინფორმაციის ცენტრს შორის ხორციელდება მჭიდრო კოორდინაცია შეტყობინება SIGMET-ში და NOTAM-ში ვულკანური ფერფლის შესახებ ინფორმაციის ჩართვის შეთანხმებულობის შესახებ უზრუნველსაყოფად.
5. შეტყობინება SIGMET გამოიცემა არაუადრეს 4 საათისა მოქმედების პერიოდის დაწყებიდან. სპეციალური შეტყობინება SIGMET, რომელიც ეხება ვულკანური ფერფლის ღრუბელს ან ტროპიკულ



ციკლონებს, გამოიცემა მაშინვე, როდესაც ეს პრაქტიკულად შესაძლებელია, მაგრამ არაუადრეს 12 საათისა მოქმედების პერიოდის დაწყებიდან, ხოლო სასურველია, არა უადრეს 4 საათისა ამ მოვლენის განვითარების მოსალოდნელი დროიდან. შეტყობინება SIGMET ვულკანური ფერფლის ღრუბლისა და ტროპიკული ციკლონის შესახებ ზუსტდება ყოველ 6 საათში ერთხელ მაინც.

*საქართველოს მთავრობის 2018 წლის 21 თებერვლის დადგენილება №97 – ვებგვერდი, 23.02.2018წ.*

### **მუხლი 43. ინფორმაცია AIRMET**

1. ინფორმაცია AIRMET გამოიცემა მეტეოროლოგიური თვალთვალის ორგანოს მიერ სააერონავიგაციო შეთანხმების საფუძველზე. ინფორმაცია AIRMET წარმოადგენს იმ ფაქტობრივი ან მოსალოდნელი ამინდის გარკვეული პირობების მოკლე აღწერას ღია ტექსტით, შემოკლებებით, 100-ზე დაბალ ფრენის ეშელონზე, რომლებმაც შეიძლება დაბალ სიმაღლეებზე ზემოქმედება მოახდინონ ფრენების უსაფრთხოებაზე.
2. ინფორმაცია AIRMET უქმდება მაშინ, როდესაც მოვლენები აღარ დაიკვირვება ან როდესაც მოსალოდნელი არ არის მათი განვითარება მოცემულ რაიონში.
3. შეტყობინება AIRMET-ის მოქმედების პერიოდი არ აღემატება 6 საათს; სასურველია, რომ ის არ აღემატებოდეს 4 საათს.
4. ვულკანური ფერფლის ღრუბელთან და ტროპიკულ ციკლონებთან დაკავშირებული შეტყობინება SIGMET უნდა ეყრდნობოდეს VAAC-დან და TCAC-დან მიღებულ საკონსულტაციო ინფორმაციას.

*საქართველოს მთავრობის 2016 წლის 11 თებერვლის დადგენილება №60 – ვებგვერდი, 15.02.2016წ.*

### **მუხლი 44. გაფრთხილებები აეროდრომზე**

1. გაფრთხილებები აეროდრომზე გამოიცემა აეროდრომის სერტიფიცირებული მეტეოროლოგიური ორგანოს მიერ და შეიცავს იმ მეტეოროლოგიური პირობების მოკლე ინფორმაციას, რომლებმაც შეიძლება მავნე ზემოქმედება მოახდინონ მიწაზე მყოფ საჰაერო ხომალდებზე, მათ შორის-საჰაერო ხომალდებზე დგომის ადგილზე, აგრეთვე - სააეროდრომო დანადგარებზე, საშუალებებზე და სამსახურებზე.
2. გაფრთხილებები აეროდრომზე უქმდება მაშინ, როდესაც პირობები აღარ დაიკვირვება ან როდესაც მოსალოდნელი არ არის, რომ ისინი აეროდრომზე წარმოიქმნება.

### **მუხლი 45. გაფრთხილებები ქარის წანაცვლების შესახებ**

1. აეროდრომის სერტიფიცირებული მეტეოროლოგიური სამსახური ამზადებს გაფრთხილებებს ქარის წანაცვლების შესახებ, რომლებიც შეიცავს მოკლე ინფორმაციას იმ არსებული ან მოსალოდნელი ქარის წანაცვლების შესახებ, რომელსაც შეუძლია არახელსაყრელი ზემოქმედება მოახდინოს საჰაერო ხომალდზე დასაფრენად შემოსვლისა და აფრენის ტრაექტორიაზე ან წრეზე ფრენისას, ანდა ადზ-ის დონიდან 500 მ (1600 ფტ) სიმაღლემდე საჰაერო ხომალდზე ადზ-ზე გარბენისას დაფრენის შემდეგ, ან გაქანებისას – აფრენის წინ. იმ შემთხვევებში, როდესაც ცნობილია, რომ ადგილობრივი ტოპოგრაფიული პირობები იწვევს ქარის მნიშვნელოვან წანაცვლებას ადზ-ის დონიდან 500 მ-ზე მეტ სიმაღლეზე 500 მ (1500 ფუტი) ზღვრულად არ ითვლება.
2. გაფრთხილებები ქარის წანაცვლების შესახებ მომფრენი და გამფრენი საჰაერო ხომალდებისათვის უქმდება იმ შემთხვევებში, როდესაც საჰაერო ხომალდებიდან აღინიშნება ქარის წანაცვლების არარსებობა. ქარის წანაცვლების შესახებ გაფრთხილებების გაუქმების კრიტერიუმები უნდა დადგინდეს თითოეულ აეროდრომზე, მეტეოროლოგიურ სამსახურს, სმმ-ის ორგანოსა და დაინტერესებულ ექსპლუატანტს შორის შეთანხმებით.
3. აეროდრომებზე, სადაც ქარის წანაცვლების აღმოსაჩენად გამოიყენება ავტომატიზებული მიწისპირა აღჭურვილობა დისტანციური ზონდირებისათვის ან ქარის წანაცვლების დასადგენად, გამოიცემა ასეთი სისტემების მიერ გენერირებული შეტყობინებები. სიგნალი ქარის წანაცვლების შესახებ მოიცავს



მოკლე განახლებულ ინფორმაციას, დაკვირვებად ქარის წანაცვლებაზე, შემხვედრი/ზურგქარის დამახასიათებელ ცვლილებაზე 7,5 მ/წმ (15 კვანძი) ან მეტით, რომელსაც შეუძლია არასასურველი ზეგავლენა მოახდინოს საჰაერო ხომალდზე დაფრენის ბოლო ან აფრენის საწყის ეტაპებზე ან ადზ-ზე საჰაერო ხომალდის ბოლო გარბენზე აფრენისას.

4. სიგნალი ქარის წანაცვლების შესახებ უნდა განახლდეს არანაკლებ წუთში ერთხელ. შეტყობინება ქარის წანაცვლების შესახებ უნდა გაუქმდეს მას შემდეგ, როდესაც ქარის შემხვედრ/ზურგქარის სიდიდის ცვლილება შეადგენს 7,5 მ/წმ-ს (15 კვ.).

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 11 თებერვლის დადგენილება №60 – ვებგვერდი, 15.02.2016წ.

## თავი VIII

### საავიაციო კლიმატოლოგიური ინფორმაცია

**შენიშვნა:** ამ თავის ტექნიკური მოთხოვნები და დაწვრილებითი კრიტერიუმები მოცემულია XVII თავში.

#### მუხლი 46. ზოგადი დებულებები

1. ფრენების დასაგეგმად საჭირო საავიაციო კლიმატოლოგიური ინფორმაცია მზადდება აეროდრომის კლიმატოლოგიური ცხრილებისა და ცნობების სახით. საავიაციო მომხმარებლები ამ ინფორმაციას იღებენ მეტეოროლოგიურ სამსახურთან შეთანხმების საფუძველზე.

2. საავიაციო კლიმატოლოგიური ინფორმაცია, როგორც წესი, უნდა ემყარებოდეს აეროდრომზე ამინდის ფაქტობრივ მდგომარეობაზე დაკვირვებებს არანაკლები 5 წლის განმავლობაში. ამ ინფორმაციაში მითითებული უნდა იყოს დაკვირვების პერიოდი.

3. ახალი აეროდრომისათვის და/ან უკვე არსებული აეროდრომის დამატებითი ადზ-სთვის კლიმატოლოგიური მონაცემები უნდა შეიკრიბოს რაც შეიძლება ადრე, ახალი აეროდრომის და/ან ადზ-ის ამოქმედებამდე.

#### მუხლი 47. აეროდრომის კლიმატოლოგიური ცხრილები

აეროდრომზე უზრუნველყოფილი უნდა იყოს მეტეოროლოგიური დაკვირვების მონაცემების შეკრება და შენახვა, რისი საშუალებითაც შეიძლება:

ა) შედგეს აეროდრომის კლიმატოლოგიური ცხრილები ყველა ძირითადი და სათადარიგო საერთაშორისო აეროდრომისათვის, რომლებიც განლაგებულია ამ ქვეყნის ტერიტორიაზე;

ბ) საავიაციო მომხმარებელს წარედგინოს გარკვეული პერიოდის კლიმატოლოგიური ცხრილები, მეტეოროლოგიურ სამსახურსა და მომხმარებელს შორის შეთანხმების საფუძველზე.

#### მუხლი 48. აეროდრომის კლიმატოლოგიური ცნობები

აეროდრომის კლიმატოლოგიური ცნობები უნდა შეესაბამებოდეს მსოფლიო მეტეოროლოგიური ორგანიზაციის მიერ დადგენილ პროცედურებს. იმ შემთხვევებში, როდესაც არსებობს შენახვისათვის, დამუშავებისათვის და მოპოვებისათვის საჭირო გამომთვლელი საშუალებები, ეს ცნობები უნდა გამოქვეყნდეს სხვა სახით, საავიაციო მომხმარებლის მოთხოვნით. იმ შემთხვევებში, როდესაც ასეთი გამომთვლითი საშუალებები არ არსებობს, ცნობები უნდა მომზადდეს მსოფლიო მეტეოროლოგიური ორგანიზაციის მიერ დადგენილი მოდელის გამოყენებით, გამოქვეყნდეს და აუცილებლობის შემთხვევაში, განახლდეს.

#### მუხლი 49. მეტეოროლოგიური დაკვირვებების მონაცემთა ასლები

ყოველი მეტეოროლოგიური სამსახური, მოთხოვნისა და შესაძლებლობების მიხედვით, მეტეოროლოგიური დაკვირვებების მონაცემებს, რომლებიც აუცილებელია გამოკვლევებისათვის,





ტექნიკური გამოძიებისათვის ან საექსპლუატაციო ანალიზისათვის, წარუდგენს სხვა ნებისმიერ სრულუფლებიან მეტეოროლოგიურ ორგანოს, ექსპლუატანტებს და სხვა პირებს, რომლებიც მეტეოროლოგიას საერთაშორისო აერონავიგაციის ინტერესებისათვის იყენებენ.

## თავი IX

### ექსპლუატანტებისა და ეკიპაჟის წევრების მომსახურება

**შენიშვნა:** ამ თავის ტექნიკური მოთხოვნები და დაწვრილებითი კრიტერიუმები მოცემულია XVIII თავში.

#### მუხლი 50. ზოგადი დებულებები

1. ექსპლუატანტებს და საფრენოსნო ეკიპაჟის წევრებს მიეწოდებათ მეტეოროლოგიური ინფორმაცია:

ა) ექსპლუატანტის მიერ გაფრენისწინა დაგეგმვითი სამუშაოებისათვის;

ბ) ექსპლუატანტის მიერ ფრენის გეგმის შესაცვლელად, ფრენების შესრულების ცენტრალიზებული ხელმძღვანელობის სისტემის გამოყენებით;

გ) ეკიპაჟის წევრების მიერ გაფრენის წინ გამოყენების მიზნით;

დ) ჰაერში მყოფი საჰაერო ხომალდებისათვის.

2. საჰაერო ხომალდების ეკიპაჟებისათვის განკუთვნილი მეტეოროლოგიური ინფორმაცია უნდა შეესაბამებოდეს ფრენის მოთხოვნებს დროის, სიმაღლის, მარშრუტის მიმართულებიდან და მანძილიდან გამომდინარე, და საკმარისი უნდა იყოს ფრენის უზრუნველსაყოფად დაფრენის აეროდრომამდე და იგი უნდა შეიცავდეს მონაცემებს მოსალოდნელი მეტეოროლოგიური პირობების შესახებ მარშრუტის მონაკვეთზე ექსპლუატანტის მიერ დანიშნულ დაფრენისა და სათადარიგო აეროდრომს შორის.

3. მეტეოროლოგიური ინფორმაცია, რომელიც მიეწოდებათ ექსპლუატანტებს და ეკიპაჟის წევრებს, შეიცავს უკანასკნელ მონაცემებს და მოიცავს შემდეგ ცნობებს, როგორც ეს დგინდება სრულუფლებიან მეტეოროლოგიურ ორგანოსა და შესაბამის ექსპლუატანტს შორის კონსულტაციის საფუძველზე:

ა) პროგნოზები

ა.ა) სიმაღლეებზე ქარის და ჰაერის ტემპერატურის;

ა.ბ) სიმაღლეებზე ჰაერის ტენიანობის;

ა.გ) ფრენის ეშელონების გეოპოტენციალური აბსოლუტური სიმაღლის;

ა.დ) ტროპოპაუზის სიმაღლის და ტროპოპაუზის ტემპერატურის;

ა.ე) მაქსიმალური ქარის მიმართულების, სიჩქარის და სიმაღლის;

ა.ვ) ამინდის განსაკუთრებული მოვლენების (SIGWX);

ა.ზ) გროვა-საწვიმარი ღრუბლების, შემოყინულობისა და ტურბულენტობის;

ბ) შეტყობინებას METAR და თუ არის, შეტყობინებას SPECI (ჩართული პროგნოზებით "TREND") გაფრენის აეროდრომზე, სათადარიგო აეროდრომზე და მარშრუტზე, დაფრენის აეროდრომზე და დანიშნულების პუნქტის სათადარიგო აეროდრომზე, როგორც განსაზღვრულია რეგიონული სააერონავიგაციო შეთანხმებით;

გ) პროგნოზებს TAF და მათ კორექტივებს გაფრენისა და დაფრენის აეროდრომებისათვის, აგრეთვე,



აფრენის სათადარიგო აეროდრომისათვის, მარშრუტზე და დანიშნულების პუნქტზე;

დ) პროგნოზებს აფრენისთვის;

ე) ინფორმაციას SIGMET და შესაბამის საჰაერო ხომალდებიდან სპეციალურ შეტყობინებებს, რომლებიც ეხება შესაბამის მარშრუტს მთლიანობაში;

ვ) საკონსულტაციო ინფორმაციას ვულკანური ფერფლის და ტროპიკული ციკლონების შესახებ, რომლებიც ეხება შესაბამის მარშრუტს მთლიანობაში;

ზ) რეგიონული სააერონავიგაციო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ზონალურ პროგნოზებს GAMET, და/ან დაბალ სიმაღლეებზე ზონალური პროგნოზები რუკების სახით, რომლებიც მომზადებულია ინფორმაცია AIRMET-თან დამატებით გამოსაცემად; და ინფორმაცია AIRMET დაბალ სიმაღლეებზე ფრენებისათვის;

თ) ადგილობრივი აეროდრომისათვის გაფრთხილებების აეროდრომზე;

ი) მეტეოროლოგიური თანამგზავრებიდან მიღებული გამოსახულებები;

კ) მეტეოროლოგიური მიწისპირა რადიოლოკატორის მონაცემები;

ლ) მთელი მარშრუტის შესაბამის კოსმოსური ამინდის საკონსულტაციო ინფორმაციას.

4. პროგნოზები, რომლებიც ჩამოთვლილია ამ მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში, ფორმირდება ციფრული პროგნოზებით, რომელსაც აწვდის **ზმპკ**. როდესაც ეს პროგნოზები მოიცავს ფრენის ტრაექტორიას დროში, აბსოლუტურ სიმაღლეს და გეოგრაფიულ რაიონს, თუ მეტეოროლოგიურ სამსახურსა და შესაბამის ექსპლუატანტებს შორის არ არსებობს სხვა შეთანხმება.

5. თუ მითითებულია, რომ პროგნოზი შედგენილია **ზმპკ**-ის მიერ, მასში შემავალ მეტეოროლოგიურ ინფორმაციაში ცვლილებები არ შეიტანება.

6. **ზმპკ**-ის მიერ შედგენილი ციფრული პროგნოზებიდან მიღებული რუკები, მიეწოდებათ ექსპლუატანტებს მოქმედების ფიქსირებული ზონებისათვის, როგორც ეს ნაჩვენებია ჩიკაგოს 1944 წლის კონვენციის მე-3 დანართის („საერთაშორისო აერონავიგაციის მეტეოროლოგიური უზრუნველყოფა“) მე-8 დამატების A8-1, A8-2 და A8-3 ნახატებზე.

7. ინფორმაცია ქარზე და ჰაერის ტემპერატურაზე სიმაღლეების მიხედვით და ამინდის განსაკუთრებული მოვლენების შესახებ – SIGWX ფრენის ეშელონ 100-ზე ზემოთ, რომელიც აუცილებელია ექსპლუატანტისათვის ფრენისწინა დაგეგმვისა და გადაგეგმვისათვის ფრენისას, მიეწოდებათ დაუყოვნებლივ მათი მიღებისა და არა უგვიანეს 3 საათისა გაფრენამდე. სხვა დანარჩენი მეტეოროლოგიური ინფორმაცია, რომელიც აუცილებელია ექსპლუატანტისათვის ფრენისწინა დაგეგმვისა და გადაგეგმვისათვის ფრენისას, მიეწოდებათ რაც შეიძლება ადრე.

8. აუცილებლობის შემთხვევაში, მეტეოროლოგიური სამსახური, რომელიც ახორციელებს ექსპლუატანტებისა და საჰაერო ხომალდის ეკიპაჟების მომსახურებას, კოორდინაციას ამყარებს სხვა ქვეყნის შესაბამის მეტეოროლოგიურ ორგანოებთან მათთვის აუცილებელი შეტყობინებების და/ან პროგნოზების მისაღებად.

9. აეროდრომის მეტეოროლოგიური სამსახურის არმქონე აეროდრომის ინფორმაციით უზრუნველყოფის წესი განისაზღვრება სერტიფიცირებული მეტეოროლოგიურ სამსახურსა და შესაბამის ექსპლუატანტს შორის შეთანხმებით.

10. ექსპლუატანტებსა და ეკიპაჟის წევრებს მიეწოდებათ მეტეოროლოგიური ინფორმაცია იმ ადგილას და იმ დროს, რომელსაც ექსპლუატანტებთან კონსულტაციის საფუძველზე ადგენს აეროდრომის მეტეოროლოგიური სამსახური. როგორც წესი, უზრუნველყოფილია ის ფრენები, რომლებიც იწყება საქართველოს ტერიტორიაზე, თუ შესაბამის მეტეოროლოგიურ სამსახურსა და შესაბამის ექსპლუატანტს შორის არ არის მიღწეული სხვა სახის შეთანხმება.



## **მუხლი 51. ინსტრუქტაჟი, კონსულტაციები და ინფორმაციის ჩვენება**

**შენიშვნა:** ფრენისწინა ინფორმაციის ავტომატიზებული სისტემების გამოყენების მიმართ მოთხოვნები, ინსტრუქტაჟის, კონსულტაციის ჩასატარებლად და ინფორმაციის საჩვენებლად მოცემულია 53-ე მუხლში.

1. მოთხოვნების მიხედვით, ტარდება ინსტრუქტაჟი და/ან კონსულტაცია საფრენოსნო ეკიპაჟის წევრებსა და ფრენების წარმოებასთან დაკავშირებულ სხვა პერსონალს შორის. ინსტრუქტაჟის და/ან კონსულტაციის მიზანია უახლესი ინფორმაციის მიწოდება ფაქტობრივი და მოსალოდნელი ამინდის პირობების შესახებ ფრენის მარშრუტზე, დაფრენის, სათადარიგო და სხვა შესაბამის აეროდრომებზე, ამასთან, ისინი ემსახურება საფრენოსნო დოკუმენტაციაში მოცემული ინფორმაციის განმარტებასა და დამატებას ან მეტეოროლოგიურ სამსახურსა და ექსპლუატანტს შორის შეთანხმების საფუძველზე, საფრენოსნო დოკუმენტაციის მაგივრობას ასრულებენ.

2. ინსტრუქტაჟისა და კონსულტაციის ჩასატარებლად გამოსაყენებელი ინფორმაცია შეიცავს ნებისმიერ ან ყველა ელემენტს, რომლებიც ჩამოთვლილია 50-ე მუხლის მე-3 პუნქტში.

3. თუ აეროდრომის მეტეოროლოგიური სამსახური გამოთქვამს აზრს მეტეოროლოგიური პირობების ისეთ განვითარებაზე აეროდრომის რაიონში, რომელიც არსებითად განსხვავდება საფრენოსნო დოკუმენტაციაში ჩართული აეროდრომის პროგნოზისაგან, აუცილებელია საფრენოსნო ეკიპაჟის წევრების ყურადღების გამახვილება აღნიშნულზე. ინსტრუქტაჟის ის ნაწილი, რომელიც სხვადასხვაობას ეხება, იწერება და ექსპლუატანტი ითვალისწინებს ამ ჩანაწერს.

4. ინსტრუქტაჟს, კონსულტაციას, ჩვენებას და/ან საფრენოსნო დოკუმენტაციის გაფორმებას, როგორც წესი, ახორციელებს საფრენის აეროდრომის მეტეოროლოგიური სამსახური. იმ შემთხვევებში, როდესაც რომელიმე აეროდრომზე ასეთი მომსახურება არ ხდება, მეტეოროლოგიურ სამსახურსა და შესაბამის ექსპლუატანტს შორის შეთანხმების საფუძველზე მიიღება ყველანაირი ზომა, რათა დაკმაყოფილდეს ეკიპაჟის წევრების მოთხოვნები. განსაკუთრებულ შემთხვევებში, აეროდრომის მეტეოროლოგიური სამსახური, რომელიც ემსახურება მოცემულ აეროდრომს, ახორციელებს (ან, თუ ეს შესაძლებელია, ორგანიზებას უკეთებს) განმეორებითი ინსტრუქტაჟის ჩატარებას, კონსულტაციას და/ან საფრენოსნო დოკუმენტაციის გაფორმებას, საჭიროების მიხედვით.

5. ეკიპაჟის წევრი ან სხვა პირი, რომელიც დაკავშირებულია ფრენების წარმოებასთან და რომელსაც უნდა გაეწიოს ინსტრუქტაჟი, კონსულტაცია და/ან გაუფორმდეს დოკუმენტაცია, უნდა გამოცხადდეს აეროდრომის მეტეოროლოგიურ სამსახურში ისეთ დროს, რომელიც შეთანხმებულია აეროდრომის მეტეოროლოგიურ სამსახურსა და შესაბამის ექსპლუატანტს შორის. ისეთ შემთხვევებში, როდესაც აეროდრომის ადგილობრივი პირობები არ იძლევა ინსტრუქტაჟის ან კონსულტაციის უშუალო ჩატარების შესაძლებლობას, აეროდრომის მეტეოროლოგიური სამსახური მომსახურებას აწარმოებს ტელეფონით ან სხვა შესაბამისი ელექტროკავშირის საშუალებით.

## **მუხლი 52. საფრენოსნო დოკუმენტაცია**

**შენიშვნა:** ფრენისწინა ინფორმაციის ავტომატიზებული სისტემების მიმართ მოთხოვნები საფრენოსნო ინფორმაციის მისაწოდებლად მოცემულია 53-ე მუხლში.

1. დოკუმენტაცია უნდა მოიცავდეს ფრენის მთელ მარშრუტს და უნდა შეიცავდეს ინფორმაციას, რომელიც ჩამოთვლილია 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“, „ბ“, „ე“ „ი“ და „ლ“ ქვეპუნქტებში, თუმცა მეტეოროლოგიურ სამსახურსა და დაინტერესებულ ექსპლუატანტს შორის შეთანხმებით, საფრენოსნო დოკუმენტაცია, რომელიც საჭიროა 2-საათიანი ან ნაკლები ხანგრძლივობის ფრენებისათვის, უნდა შემოიფარგლოს ექსპლუატანტისათვის აუცილებელი ინფორმაციით, მაგრამ საფრენოსნო დოკუმენტაციაში მინიმუმ ჩართული უნდა იყოს ინფორმაცია, რომელიც მითითებულია 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ე“, „ვ“, „თ“ „ი“ და „ლ“ ქვეპუნქტებში.



2. თუ აშკარაა, რომ საფრენოსნო დოკუმენტაციისათვის განკუთვნილი მეტეოროლოგიური ინფორმაცია არსებითად იქნება განსხვავებული იმ ინფორმაციისაგან, რომელიც მიწოდებულია ფრენისას გაფრენისწინა დაგეგმვისას, ამის შესახებ მაშინვე უნდა ეცნობოს ექსპლუატანტს და უნდა მიეწოდოს მას შეძლებისდაგვარად დაზუსტებული ინფორმაცია, ექსპლუატანტსა და აეროდრომის მეტეოროლოგიურ სამსახურს შორის შეთანხმების საფუძველზე.

3. როდესაც აუცილებელია და შესაძლებელია, საფრენოსნო დოკუმენტაცია უნდა განახლდეს წერილობით ან ზეპირად, მანამდე, სანამ გადაეცემა ეკიპაჟის წევრებს. იმ შემთხვევაში, როდესაც იქმნება კორექტირების აუცილებლობა უშუალოდ საჰაერო ხომალდის გაფრენის წინ და როდესაც დოკუმენტაცია უკვე გადაცემულია, მაშინ აეროდრომის მეტეოროლოგიურმა სამსახურმა, ლოკალური შეთანხმების საფუძველზე, უნდა გაუზიაროს აუცილებელი კორექტივი ან განახლებული ინფორმაცია ექსპლუატანტს ან საჰაერო მოძრაობის მომსახურების ადგილობრივ ორგანოს საჰაერო ხომალდზე გადასაცემად.

4. აეროდრომის მეტეოროლოგიური სამსახური ინფორმაციას, რომელიც მან გადასცა ეკიპაჟის წევრებს, ინახავს დაბეჭდილი ან ელექტრონული ფაილების სახით მისი გამოშვებიდან 30 დღის განმავლობაში. ეს ინფორმაცია, მოთხოვნის მიხედვით, წარედგინება გამოკვლევებისათვის ან საავიაციო შემთხვევების ტექნიკური გამოძიებისათვის და ამ მიზნით ინახება მათ დამთავრებამდე.

*საქართველოს მთავრობის 2016 წლის 11 თებერვლის დადგენილება №60 – ვებგვერდი, 15.02.2016წ.  
საქართველოს მთავრობის 2020 წლის 19 ოქტომბრის დადგენილება №633 – ვებგვერდი, 20.10.2020წ.*

### **მუხლი 53. გაფრენისწინა ინფორმაციის ავტომატიზებული სისტემები, განკუთვნილი ინსტრუქტაჟის, კონსულტაციის ჩასატარებლად, ფრენების დასაგეგმად და საფრენოსნო დოკუმენტაციის შესადგენად**

1. იმ შემთხვევებში, როდესაც აეროდრომის მეტეოროლოგიური ორგანო იყენებს გაფრენისწინა ინფორმაციის ავტომატიზებულ სისტემებს ექსპლუატანტებისა და ეკიპაჟის წევრებისათვის დამოუკიდებელი ინსტრუქტაჟის მიზნით, მეტეოროლოგიური ინფორმაციის საჩვენებლად და მისაწოდებლად, ფრენების დაგეგმვა და საჩვენებელი ინფორმაცია შეესაბამება 50-ე და 52-ე მუხლებს.

2. იმ შემთხვევაში, როცა გაფრენისწინა ინფორმაციის ავტომატიზებული სისტემები გამოიყენება ექსპლუატანტებისათვის, ეკიპაჟის წევრებისათვის და სხვა დაინტერესებული საავიაციო პერსონალისათვის, შესაბამისი მეტეოროლოგიური ორგანო ინარჩუნებს პასუხისმგებლობას მეტეოროლოგიური ინფორმაციის ხარისხის მართვასა და ხარისხის ზოგად ხელმძღვანელობაზე (მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად).

### **მუხლი 54. ინფორმაცია ჰაერში მყოფი საჰაერო ხომალდებისათვის**

1. აეროდრომის მეტეოროლოგიური სამსახური ან მეტეოროლოგიური თვალთვალის ორგანო აწვდის საჰაერო მოძრაობის მომსახურების შესაბამის ორგანოს მეტეოროლოგიურ ინფორმაციას, რომელიც განკუთვნილია ჰაერში მყოფი საჰაერო ხომალდებისათვის, აგრეთვე წარადგენს მათ D-VOLMET-ის შეტყობინებებში ან რადიოსამაუწყებლო გადაცემაში VOLMET. მეტეოროლოგიური ინფორმაცია დაგეგმვისათვის, რომელსაც აწარმოებს ექსპლუატანტი, ჰაერში მყოფი საჰაერო ხომალდის ინტერესებიდან გამომდინარე, წარედგინება, მოთხოვნის მიხედვით, სრულყოფილიან მეტეოროლოგიურ ორგანოსა და შესაბამის ექსპლუატანტს შორის შეთანხმების საფუძველზე.

2. საჰაერო მოძრაობის მომსახურების ორგანოებს მიეწოდებათ მეტეოროლოგიური ინფორმაცია, რომლებიც განკუთვნილია ჰაერში მყოფი საჰაერო ხომალდებისათვის, მე-10 თავის მოთხოვნების შესაბამისად.

3. მეტეოროლოგიური ინფორმაცია D-VOLMET-ის შეტყობინებებში ან რადიოსამაუწყებლო გადაცემაში VOLMET გადაიცემა რეგიონული სააერონავიაციო შეთანხმებით, მე-11 თავში მოცემული მოთხოვნების შესაბამისად.

*საქართველოს მთავრობის 2016 წლის 11 თებერვლის დადგენილება №60 – ვებგვერდი, 15.02.2016წ.*



## მეტეოროლოგიური ინფორმაცია საჰაერო მოძრაობის მომსახურების ორგანოების, ძებნა-შველის სამსახურების და სააერნაოსნო ინფორმაციის სამსახურებისათვის

**შენიშვნა:** ამ თავის ტექნიკური მოთხოვნები და დაწვრილებითი კრიტერიუმები მოცემულია XIX თავში.

### მუხლი 55. ინფორმაცია საჰაერო მოძრაობის მომსახურების ორგანოებისათვის

1. აეროდრომის მეტეოროლოგიური სამსახური ან მეტეოროლოგიური თვალთვალის ორგანო სმმ-ის ორგანოებთან კონსულტაციის საფუძველზე, სმმ-ს აწვდის იმ უკანასკნელ მეტეოროლოგიურ ინფორმაციას, რომელიც აუცილებელია მისი ფუნქციების შესასრულებლად.
2. აეროდრომის მეტეოროლოგიური სამსახური თანამშრომლობს სამეთვალყურეო კომპურასთან ან მისადგომის სამეთვალყურეო პუნქტთან, მეტეოროლოგიური ინფორმაციით უზრუნველსაყოფად.
3. მეტეოროლოგიური თვალთვალის ორგანო თანამშრომლობს საფრენოსნო ინფორმაციის ცენტრთან ან რაიონულ სამეთვალყურეო ცენტრთან, მეტეოროლოგიური ინფორმაციით უზრუნველსაყოფად.
4. თუ ადგილობრივი პირობების გამო მიზანშეწონილია აეროდრომის მეტეოროლოგიური სამსახურის ან მეტეოროლოგიური თვალთვალის ორგანოს მოვალეობების დაკისრება ორ ან რამდენიმე აეროდრომის მეტეოროლოგიურ სამსახურზე ან მეტეოროლოგიური თვალთვალის ორგანოზე, პასუხისმგებლობის განაწილება უნდა მოხდეს მეტეოროლოგიურ სამსახურსა და საჰაერო მოძრაობის მომსახურების ორგანოს შორის კონსულტაციის საფუძველზე.
5. ავარიულ სიტუაციაში საჰაერო მოძრაობის მომსახურების ორგანოს მიერ მოთხოვნილი ნებისმიერი მეტეოროლოგიური ინფორმაცია მიწოდებულ უნდა იქნეს მაქსიმალურად მოკლე დროში.

*საქართველოს მთავრობის 2016 წლის 11 თებერვლის დადგენილება №60 – ვებგვერდი, 15.02.2016წ.*

### მუხლი 56. ინფორმაცია ძებნა-შველის სამსახურების ორგანოებისათვის

აეროდრომის მეტეოროლოგიური სამსახურები ან მეტეოროლოგიური თვალთვალის ორგანოები, რეგიონული სააერნაოსნო შეთანხმების შესაბამისად, აწვდიან ძებნა-შველის სამსახურს მეტეოროლოგიურ ინფორმაციას იმ ფორმით, რომელიც დადგენილია ხელშეკრულებით. ამ მიზნით, აეროდრომის მეტეოროლოგიური სამსახური მუდმივ კავშირშია ძებნა-შველის სამსახურთან მთელი ძებნა-შველის ოპერაციის განმავლობაში.

*საქართველოს მთავრობის 2016 წლის 11 თებერვლის დადგენილება №60 – ვებგვერდი, 15.02.2016წ.*

### მუხლი 57. ინფორმაცია სააერნაოსნო ინფორმაციის სამსახურის ორგანოებისათვის

მეტეოროლოგიური სამსახური, ავიაციის შესაბამის სრულყოფილებიან ორგანოსთან თანამშრომლობით, უზრუნველყოფს შესაბამის სააერნაოსნო ინფორმაციის სამსახურის ორგანოებისათვის უკანასკნელი მეტეოროლოგიური ინფორმაციის მიწოდებას.

## თავი XI

### მოთხოვნები კავშირის საშუალებებთან და მათი გამოყენება

**შენიშვნა:** ამ თავის ტექნიკური მოთხოვნები და დაწვრილებითი კრიტერიუმები მოცემულია XX თავში.

### მუხლი 58. მოთხოვნები კავშირის საშუალებებთან

1. აეროდრომის მეტეოროლოგიური სადგურები უზრუნველყოფილნი უნდა იყვნენ ისეთი ელექტროკავშირის საშუალებებით, რომლითაც შეეძლება, აუცილებელი მეტეოროლოგიური ინფორმაციით უზრუნველყონ საჰაერო მოძრაობის მომსახურების ორგანოები იმ აეროდრომებზე, რომლებზეც ისინი არიან პასუხისმგებელნი, კერძოდ, აეროდრომის სამეთვალყურეო პუნქტები, მისადგომის სამეთვალყურეო პუნქტები და საავიაციო ელექტროკავშირის სადგურები, რომლებიც



ემსახურებიან აღნიშნულ აეროდრომს.

2. მეტეოროლოგიური თვალთვალის ორგანოები უზრუნველყოფილი უნდა იყვნენ ისეთი ელექტროკავშირის საშუალებებით, რომლითაც შეეძლება, აუცილებელი მეტეოროლოგიური ინფორმაციით უზრუნველყონ საჰაერო მოძრაობის მომსახურების ორგანოები და ძებნა-შველის სამსახურები საფრენოსნო ინფორმაციის რაიონის ფარგლებში.

3. მეტეოროლოგიური სამსახური უზრუნველყოფილი უნდა იყოს ისეთი ელექტროკავშირის საშუალებებით, რომლითაც შეეძლება ზონალური პროგნოზების მსოფლიო ცენტრებიდან აუცილებელი მონაცემების მიღება/გავრცელება.

4. ელექტროკავშირის საშუალებები აეროდრომის მეტეოროლოგიურ სამსახურებს შორის და, აუცილებლობის შემთხვევაში, აეროდრომის მეტეოროლოგიურ სადგურებსა და აეროდრომის სამეთვალყურეო პუნქტს ან დაფრენის-სამეთვალყურეო პუნქტს შორის უნდა ითვალისწინებდეს მჭეჭი კავშირგაბმულობის არსებობას, ამასთან ერთად, კავშირის დამყარება უნდა ხდებოდეს 15 წამში.

5. აეროდრომის მეტეოროლოგიური სამსახურები ან მეტეოროლოგიური თვალთვალის ორგანოები უზრუნველყოფილი უნდა იყვნენ ისეთი ელექტროკავშირის საშუალებებით, რომლებითაც შესაძლებელი იქნება ოპერატიული მეტეოროლოგიური ინფორმაციის ურთიერთგაცვლა.

6. ელექტროკავშირის საშუალებებს, რომელთა ფლობა განსაზღვრულია ამ მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტებით, შესაძლებელია, დაემატოს აუცილებლობის შემთხვევაში სხვა სახის ვიზუალური ან ხმოვანი კავშირი, მაგალითად, სატელევიზიო გადაცემები ჩაკეტილი არხებით ან მონაცემთა დამუშავების ცალკეული სისტემებით.

7. აეროდრომის მეტეოროლოგიურ სამსახურსა და ექსპლუატანტებს შორის ხელშეკრულებით უნდა გატარდეს ქმედებები, რათა დამყარდეს შესაბამისი კავშირი ექსპლუატანტთან მეტეოროლოგიური ინფორმაციის მისაღებად აეროდრომის მეტეოროლოგიური სამსახურებიდან და სხვა წყაროებიდან.

8. მეტეოროლოგიური სამსახური უნდა იქნეს უზრუნველყოფილი აუცილებელი ელექტროკავშირის საშუალებებით, რათა ჰქონდეს ინფორმაციის გაცვლის საშუალება სხვა მეტეოროლოგიურ სამსახურებთან.

*საქართველოს მთავრობის 2016 წლის 11 თებერვლის დადგენილება №60 – ვებგვერდი, 15.02.2016წ.*

## **მუხლი 59. ფიქსირებული საავიაციო კავშირის საშუალებების გამოყენება და საჯარო ინტერნეტის გამოყენება**

ელექტროკავშირის საშუალებად ოპერატიული მეტეოროლოგიური ინფორმაციის გაცვლისათვის უნდა გამოიყენებოდეს სააერნოსნო ფიქსირებული მომსახურება ან ოპერატიულობის თვალსაზრისით არაკრიტიკული მეტეოროლოგიური ინფორმაციის გაცვლისათვის საჯარო ინტერნეტი, მისი გამართულად მუშაობის შემთხვევაში, რეგიონალური ორმხრივი/მრავალმხრივი სააერნოსნო შეთანხმების საფუძველზე.

*საქართველოს მთავრობის 2016 წლის 11 თებერვლის დადგენილება №60 – ვებგვერდი, 15.02.2016წ.*

*საქართველოს მთავრობის 2018 წლის 21 თებერვლის დადგენილება №97 – ვებგვერდი, 23.02.2018წ.*

## **მუხლი 60. საავიაციო მოძრავი კავშირის საშუალებების გამოყენება**

მეტეოროლოგიური ინფორმაციის შინაარსი და ფორმატი, რომლებიც გადაიცემა საჰაერო ხომალდის ბორტზე და ბორტიდან, უნდა შეესაბამებოდეს მოცემული წესის დებულებებს.

## **მუხლი 61. საავიაციო მოძრავი კავშირის საშუალებების გამოყენება. ზონალური პროგნოზების მსოფლიო სისტემის გამოყენება**

ზონალური პროგნოზების მსოფლიო სისტემის მონაცემები ციფრულ ფორმატში უნდა ვრცელდებოდეს მონაცემების გადაცემის ორმაგ კოდებში საშუალებების გამოყენებით. მონაცემების გასავრცელებელი მეთოდები და არხები უნდა განისაზღვროს რეგიონული სააერნოსნო ხელშეკრულების საფუძველზე.



**მუხლი 62. საავიაციო მონაცემების გადაცემის ხაზის სისტემის გამოყენება. D-VOLMET შეტყობინების შინაარსი**

შეტყობინება D-VOLMET შეიცავს მიმდინარე ცნობებს METAR და SPECI, აგრეთვე „ტრენდის“ ტიპის პროგნოზებს, პროგნოზებს TAF, ინფორმაციას SIGMET, სპეციალურ შეტყობინებას საჰაერო ხომალდიდან, რომლებიც არ არის ჩართული SIGMET-ში და არსებობის შემთხვევაში AIRMET-ს.

**მუხლი 63. რადიოსამაუწყებლო საშუალებებით მეტეოროლოგიური ინფორმაციის გადაცემა. VOLMET-ის შეტყობინების შინაარსი**

1. უწყვეტი რადიოსამაუწყებლო გადაცემის VOLMET-ის დროს, რომელიც, როგორც წესი, ხორციელდება ძალიან მაღალი სიხშირის არხებით, ხდება მიმდინარე ცნობების METAR და SPECI , „ტრენდის“ ტიპის პროგნოზების ჩართვით ტრანსლაცია.

2. რეგულარული რადიოსამაუწყებლო გადაცემის VOLMET-ის დროს, რომელიც, როგორც წესი, ხორციელდება მაღალი სიხშირის (მს) არხებით, ხდება მიმდინარე ცნობების METAR და SPECI , („ტრენდის“ ტიპის პროგნოზების ჩართვით და როდესაც ეს განსაზღვრულია რეგიონალური სააერნაოსნო შეთანხმების საფუძველზე პროგნოზების TAF და ინფორმაციას SIGMET-ის ტრანსლაცია.

**კარი II**

**ტექნიკური მოთხოვნები**

**თავი XII**

**ტექნიკური მოთხოვნები, რომლებიც ეხება გლობალურ სისტემებს, დამხმარე ცენტრებს და მეტეოროლოგიურ ორგანოებს**

*საქართველოს მთავრობის 2020 წლის 19 ოქტომბრის დადგენილება №633 – ვებგვერდი, 20.10.2020წ.*

**მუხლი 64. ფორმატი და კოდები**

ზონალური პროგნოზების მსოფლიო სისტემა იყენებს ერთგვაროვან ფორმატებს და კოდებს პროგნოზების და მათი კორექტივების უზრუნველსაყოფად.

**მუხლი 65. ინფორმაცია სიმაღლეებზე ქარის, ჰაერის ტემპერატურის და ტენიანობის შესახებ**

1. სიმაღლეებზე ქარის, ჰაერის ტემპერატურის და ჰაერის ტენიანობის, მაქსიმალური ქარის მიმართულების, სიჩქარის და სიმაღლის, ტროპოპაუზის სიმაღლის და ტემპერატურის, გროვა-საწვიმარი ღრუბლების რაიონების, შემოყინულობის, ტურბულენტობის და ფრენის ეშელონების გეოპოტენციური სიმაღლეების ზჰმს-ის მიერ დღე-ღამეში 4-ჯერ მომზადებული პროგნოზები, მოქმედებენ 6,9,12,15,18,21,24,27,30,33 და 36 საათის განმავლობაში (00.00, 00.06, 12.00 და 18.00 UTC ) სინოპტიკური მონაცემების შეგროვების შემდეგ, რომლის საფუძველზეც შემუშავებულია ეს პროგნოზები. თითოეული პროგნოზი უნდა გადაიცეს ზემოთ აღნიშნული რიგითობის მიხედვით ტექნიკურად შეძლებისდაგვარად უმოკლეს ვადებში მაგრამ არაუგვიანეს 5 საათისა დაკვირვების სტანდარტული დროის შემდეგ.

2. მეტეოროლოგიურმა სამსახურმა უნდა მიიღოს ზჰმს-ის მიერ მომზადებული რეგულარული ბადის კვანძებში პროგნოზები, რომლებიც მოიცავს:

ა) ქარისა და ტემპერატურის მონაცემებს ფრენის ეშელონისათვის 50 (850 ჰჰა), 80 (750 ჰჰა), 100 (700 ჰჰა), 140 (600 ჰჰა), 180 (500 ჰჰა), 210 (450 ჰჰა), 240 (400 ჰჰა), 300 (300 ჰჰა), 340 (240 ჰჰა), 390 (200 ჰჰა), 410 (175 ჰჰა), 450 (150 ჰჰა), 480 (125 ჰჰა) და 530 (100 ჰჰა);

ბ) მაქსიმალური ქარის მიმართულების, სიჩქარისა და სიმაღლის, ტროპოპაუზის სიმაღლისა და ტემპერატურის შესახებ ინფორმაციას;



გ) ტენიანობის მონაცემებს ფრენის ეშელონისათვის 50 (850 ჰპა), 80 (750 ჰპა), 100 (700 ჰპა), 140 (600 ჰპა), 180 (500 ჰპა);

დ) ქარისა და ტემპერატურის მონაცემებს, აუცილებლობის შემთხვევაში და შესაბამის წერტილებში ფრენის ეშელონისათვის 530 (100 ჰპა) და 600 (70 ჰპა);

ე) გროვა-საწვიმარი ღრუბლების ქვედა და ზედა საზღვრის ინფორმაციასა და მონაცემებს მათი ჰორიზონტალური გადაჭიმულობის შესახებ ფრენის ეშელონის ერთეულში;

ვ) მონაცემებს შემოყინულობის შესახებ ფენებისათვის, ფრენის ეშელონებისათვის 60 (800 ჰპა), 100 (700 ჰპა), 140 (600 ჰპა), 180 (500 ჰპა), 240 (400 ჰპა), 300 (300 ჰპა);

ზ) მონაცემებს ტურბულენტობის შესახებ ფენებისათვის, ფრენის ეშელონებისათვის 100 (700 ჰპა), 140 (600 ჰპა), 180 (500 ჰპა), 240 (400 ჰპა), 270 (350 ჰპა), 300 (300 ჰპა), 340 (240 ჰპა), 390 (200 ჰპა) და 450 (150 ჰპა);

**შენიშვნა:** „ზ“ ქვეპუნქტში მოხსენიებული ტურბულენტობა მოიცავს ყველა ტიპის ტურბულენტობას, მათ შორის ტურბულენტობას ღრუბლებში და მოწმენდილ ცაზეც;

თ) მონაცემებს გეოპოტენციალური აბსოლუტური სიმაღლის შესახებ ფრენის ეშელონებისათვის 50 (850 ჰპა), 50 (850 ჰპა), 80 (750 ჰპა), 100 (700 ჰპა), 140 (600 ჰპა), 180 (500 ჰპა), 210 (450 ჰპა), 240 (400 ჰპა), 300 (300 ჰპა), 340 (240 ჰპა), 390 (200 ჰპა), 410 (175 ჰპა) და 450 (150 ჰპა); 480 (125 ჰპა) და 530 (100 ჰპა);

**შენიშვნა:** ამ პუნქტის ქვეპუნქტებში განსაზღვრული ფენების ზუსტი სისქის შესახებ ინფორმაცია მოცემულია იკაო-ს დოკუმენტში (8896)-ში „საერთაშორისო აერნავსნობის მეტეოროლოგიური უზრუნველყოფის სახელმძღვანელო“.

ი) მონაცემებს გეოპოტენციალური აბსოლუტური სიმაღლის შესახებ ფრენის ეშელონებისათვის 50 (850 ჰპა), 50 (850 ჰპა), 80 (750 ჰპა), 100 (700 ჰპა), 140 (600 ჰპა), 180 (500 ჰპა), 210 (450 ჰპა), 240 (400 ჰპა), 300 (300 ჰპა), 340 (240 ჰპა), 390 (200 ჰპა), 410 (175 ჰპა) და 450 (150 ჰპა); 480 (125 ჰპა) და 530 (100 ჰპა).

**შენიშვნა 1.** ამ პუნქტის „ე“ და „თ“ ქვეპუნქტებში განსაზღვრული ფენების სისქე, ცენტრირებული ფრენის ეშელონიდან შეადგენს 100 ჰპა-ის ეკვივალენტს.

**შენიშვნა 2.** ფენის სისქე ცენტრირებული ფრენის ეშელონიდან, რომელიც მითითებულია ამავე პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტში, შეადგენს 50 ჰპა-ის ეკვივალენტს.

3. ზემოაღნიშნული პროგნოზები რეგულარული ბადის კვანძებში დგება ზჰმს-ის მიერ ორმაგ კოდურ ფორმაში. კოდური ფორმის GRIB-ის გამოყენებით დაწესებული მმო-ს მიერ.

**შენიშვნა:** კოდური ფორმა GRIB მოცემულია №306 მმო-ს გამოცემაში „სახელმძღვანელო კოდების შესახებ“ ტომი I, მე-2 ნაწილი „ორმაგი კოდები“.

4. ზემოაღნიშნული პროგნოზები რეგულარული ბადის კვანძებში დგება ზჰმს-ის მიერ 1,25<sup>0</sup> განედის და გრძედის ჰორიზონტალური ნებადართული შესაძლებლობებით.

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 11 თებერვლის დადგენილება №60 – ვებგვერდი, 15.02.2016წ.  
საქართველოს მთავრობის 2018 წლის 21 თებერვლის დადგენილება №97 – ვებგვერდი, 23.02.2018წ.  
საქართველოს მთავრობის 2020 წლის 19 ოქტომბრის დადგენილება №633 – ვებგვერდი, 20.10.2020წ.

## **მუხლი 66. ინფორმაცია ამინდის განსაკუთრებულ მოვლენებზე (SIGWX)**

1. ზჰმს-ის მიერ მომზადებული პროგნოზები ამინდის განსაკუთრებულ მოვლენებზე SIGWX, რომელსაც იყენებს მეტეოროლოგიური სამსახური, გამოიცემა დღეში 4-ჯერ მოქმედების დადგენილი პერიოდებისათვის 00.00, 06.00, 12.00 და 18.00 UTC 00.00, 06.00, 12.00 და 18.00 UTC. ყოველი პროგნოზის გადაცემა უნდა განხორციელდეს შემდგომისდაგვარად მოკლე ვადებში, როგორც კი ეს ტექნიკურად შესაძლებელია, მაგრამ არაუგვიანეს 7 საათით ადრე დაკვირვების სტანდარტული დროის შემდეგ და





არაუგვიანეს 9 საათისა დაკვირვების სტანდარტული დროის შემდეგ სარეზერვო ოპერირებისას.

2. პროგნოზები ამინდის განსაკუთრებულ მოვლენებზე გამოიცემა ორმაგ კოდურ ფორმაში BURF კოდების გამოყენებით დაწესებული მმო-ს მიერ.

**შენიშვნა:** კოდური ფორმა BURF მოცემულია №306 მმო-ს გამოცემაში “სახელმძღვანელო კოდების შესახებ” ტომი I, მე-2 ნაწილი “ორმაგი კოდები”.

3. პროგნოზები ამინდის განსაკუთრებულ მოვლენებზე (SIGWX) შეიცავს შემდეგ ინფორმაციას:

ა) ტროპიკული ციკლონი (როდესაც მოსალოდნელია, რომ მიწისპირა ქარის საშუალო სიჩქარე 10 წუთში მიაღწევს აეროდრომზე 17 მ/წმ-ს(34კვანძი) ან მეტს);

ბ) ძლიერი ქარტეხილის ხაზი;

გ) ზომიერი ან ძლიერი ტურბულენტობა (ღრუბლებში ან მოწმენდილ ცაზე);

დ) ზომიერი ან ძლიერი შემოყინულობა;

ე) ქვიშიანი ქარიშხალი/ მტვრიანი ქარიშხალი;

ვ) გროვა-საწვიმარი ღრუბლები ჭექა-ქუხილთან ერთად;

ზ) ტროპოპაუზის სიმაღლე ფრენის ეშელონის ერთეულებში;

თ) ჭავლური დინებები;

ი) ინფორმაცია ვულკანის ამოფრქვევის ადგილთან დაკავშირებით, რის შედეგადაც წარმოიქმნება ვულკანური ფერფლის ღრუბელი;

კ) ინფორმაცია ატმოსფეროში შემთხვევით გატყორცნილი რადიოაქტიური ნივთიერებების შესახებ.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტში ჩამოთვლილი ინფორმაცია ვრცელდება ფრენის შემდეგი ეშელონებისთვის:

ა) ფრენის 250 და 630 ეშელონებს შორის და

ბ) ფრენის 100 და 250 ეშელონებს შორის შეზღუდული გეოგრაფიული რაიონებისთვის, რომლებიც განსაზღვრულია რეგიონალური სააერნაოსნო შეთანხმებით. თუ ადგილის რელიეფის საშუალო შემადღებას შეუძლია მნიშვნელოვანი ტოპოგრაფიული ზემოქმედების მოხდენა ფრენის ეშელონ 100-ის გამოყენებაზე, ბაზისის რუკის მაგივრად გათვალისწინებული უნდა იყოს უფრო მაღალი ეშელონი ზჰმს-სთან შესაბამისი რეგიონალური სააერნაოსნო შეთანხმებით.

„[5. ზჰმც-ს მიერ გამოცემული SIGWX პროგნოზები, გარდა მმო-ს მიერ დადგენილ BURF კოდებისა, დამატებით გამოიცემა IWXXM GML ფორმითაც.]

**შენიშვნა 1:** სახელმძღვანელო მასალა IWXXM დანერგვის შესახებ მოცემულია იკაოს დოკ. (10003) „იკაო-ს მეტეოროლოგიური ინფორმაციის გაცვლის ( IWXXM ) მოდელის შესახებ სახელმძღვანელოში;

**შენიშვნა 2:** გეოგრაფიული მარკირების ენა (GML) წარმოადგენს ღია გეოსივრცეთაშორისი კონსორციუმის კოდირების სტანდარტს (OGC).“. (ამოქმედდეს 2021 წლის 4 ნოემბრიდან)]

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 19 ოქტომბრის დადგენილება №633 – ვებგვერდი, 20.10.2020წ.

**მუხლი 67. (ამოღებულია)**

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 11 თებერვლის დადგენილება №60 – ვებგვერდი, 15.02.2016წ.



## მუხლი 68. ზპმს-ის მონაცემების გამოყენება

1. მეტეოროლოგიური სამსახურის პროგნოსტიკური შესაძლებლობები და/ან მათ მიერ ზპმც-ის მონაცემების გამოყენების ხარისხი განისაზღვრება მეტეოროლოგიური სამსახურის მიერ.
2. საფრენოსნო დოკუმენტაციის ერთგვაროვნების და სტანდარტიზაციის უზრუნველსაყოფად ზპმს-ის ფარგლებში მიღებული GRIB და BUFR მონაცემები დეკოდირდება ზპმც-ის სტანდარტულ რუკებში აღნიშნული „წესის“ შესაბამისი მუხლებით, ხოლო ზპმს-ის პროგნოზების შინაარსი და შემდგენის აღნიშვნა არ იცვლება.

[2. საფრენოსნო დოკუმენტაციის ერთგვაროვნების და სტანდარტიზაციის უზრუნველსაყოფად ზპმს-ის ფარგლებში მიღებული GRIB და BUFR მონაცემები და 2021 წლის 4 ნოემბრიდან მიღებული IWXXM მონაცემებიც, დეკოდირდება ზპმც-ის სტანდარტულ რუკებში, ხოლო ზპმს-ის პროგნოზების შინაარსი და შემდგენის აღნიშვნა არ იცვლება. (ამოქმედდეს 2021 წლის 4 ნოემბრიდან)]

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 11 თებერვლის დადგენილება №60 – ვებგვერდი, 15.02.2016წ.  
საქართველოს მთავრობის 2020 წლის 19 ოქტომბრის დადგენილება №633 – ვებგვერდი, 20.10.2020წ.

## მუხლი 69. ზპმც-ის ინფორმირება მნიშვნელოვან სხვადასხვაობაზე

1. აეროდრომის მეტეოროლოგიური სამსახური, რომელიც იყენებს ზპმც-ის მონაცემებს კოდური ფორმით BUFR, დაუყოვნებლივ აცნობებს შესაბამის ზპმც-ს იმ შემთხვევებში, როდესაც ზპმც-ის მასალაზე დაყრდნობით მომზადებულ SIGWX პროგნოზებში გამოვლინდება ან გადაიცემა მნიშვნელოვანი სხვადასხვაობები, რომლებიც ეხება:

ა) შემოყინულობას, ტურბულენტობას, დაფარულ, ხშირ, მასკირებულ გროვა-საწვიმარ-ღრუბლებს, მტვრის ან ქვიშის ქარიშხალს;

ბ) ვულკანის ამოფრქვევას ან რადიოაქტიური ნივთიერების ატმოსფეროში ავარიულად გაშვებას/გაფრქვევას, რაც ზეგავლენას ახდენს ფრენების შესრულებაზე.

[1. აეროდრომის მეტეოროლოგიური სამსახური, რომელიც იყენებს ზპმც-ის მონაცემებს კოდური ფორმით BUFR, ან 2021 წლის 4 ნოემბრიდან გამოიყენებს IWXXM მონაცემებსაც, დაუყოვნებლივ აცნობებს შესაბამის ზპმც-ს იმ შემთხვევებში, როდესაც ზპმც-ის მასალაზე დაყრდნობით მომზადებულ SIGWX პროგნოზებში გამოვლინდება ან გადაიცემა მნიშვნელოვანი სხვადასხვაობები, რომლებიც ეხება:

ა) შემოყინულობას, ტურბულენტობას, დაფარულ, ხშირ, შენიღბულ გროვა-საწვიმარ-ღრუბლებს, მტვრის ან ქვიშის ქარიშხალს;

ბ) ვულკანის ამოფრქვევას ან რადიოაქტიური ნივთიერების ატმოსფეროში ავარიულად გაშვებას/გაფრქვევას, რაც ზეგავლენას ახდენს ფრენების შესრულებაზე. (ამოქმედდეს 2021 წლის 4 ნოემბრიდან)]

2. ზპმც, მიიღებს რა შეტყობინებას, უგზავნის შემდგენს დადასტურებას მის მიღებაზე მოკლე შენიშვნით, რომელიც უშუალოდ ეხება შეტყობინებას და ნებისმიერ ქმედებას, იყენებს ანალოგიურ კავშირის საშუალებას, რასაც შემდგენი.

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 11 თებერვლის დადგენილება №60 – ვებგვერდი, 15.02.2016წ.  
საქართველოს მთავრობის 2020 წლის 19 ოქტომბრის დადგენილება №633 – ვებგვერდი, 20.10.2020წ.

## მუხლი 70. (ამოღებულია)

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 11 თებერვლის დადგენილება №60 – ვებგვერდი, 15.02.2016წ.

## მუხლი 71. (ამოღებულია)

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 11 თებერვლის დადგენილება №60 – ვებგვერდი, 15.02.2016წ.



**მუხლი 72. ზოგადი დებულებები, რომლებიც ეხება მეტეოროლოგიურ დაკვირვებას**

1. აეროდრომზე გამოყენებული მეტეოროლოგიური ხელსაწყოები უნდა განლაგდეს ისე, რომ უზრუნველყოფილ იქნეს მონაცემების მიღება, რომლებიც დამახასიათებელია იმ რაიონისათვის, სადაც საჭიროა გაზომვების ჩატარება.
2. მეტეოროლოგიური ხელსაწყოები საავიაციო მეტეოროლოგიურ სადგურებზე უნდა განლაგდეს, ექსპლუატირებულ და მომსახურებურებულ იქნეს მსოფლიო მეტეოროლოგიური ორგანიზაციის მოთხოვნების, პრაქტიკის და პროცედურების შესაბამისად.
3. დამკვირვებლები შეძლებისდაგვარად უნდა განთავსდნენ აეროდრომზე იმ გათვლით, რომ მათ მიერ მიწოდებული მონაცემები დამახასიათებელი უნდა იყოს იმ რაიონისათვის, სადაც აუცილებელია ჩატარდეს დაკვირვება.
4. იმ შემთხვევაში, როდესაც ავტომატური აღჭურვილობა შედის დაკვირვების კომპლექსური ნახევრადავტომატური სისტემის შემადგენლობაში, მონაცემები რომელთა გამოსახულება გადაეცემა სმმ-ის ადგილობრივ ორგანოებს, უნდა შეადგენდეს იმ მონაცემთა შემადგენელ ნაწილს, რომელიც გააჩნია ადგილობრივი მეტეოროლოგიურ სამსახურს და უნდა აისახებოდეს მასთან პარალელურად. ყოველ მეტეოროლოგიურ ელემენტს ასახვისას თან უნდა უნდა სდევდეს იმ პუნქტის აღნიშვნა, რომლისთვისაც ეს ელემენტი დამახასიათებელია.

**მუხლი 73. მეტეოროლოგიური ცნობების ფორმატი**

1. ადგილობრივი რეგულარული და სპეციალური ცნობები გამოიცემა ღია ტექსტით, შემოკლებებით იმ ნიმუშის შესაბამისად, რომელიც ნაჩვენებია ჩიკაგოს 1944 წლის კონვენციის მე-3 დანართის „საერთაშორისო აერნაოსნობის მეტეოროლოგიური უზრუნველყოფა“ დამატება 3-ის ცხრილ A3-1-ში.
2. ცნობები METAR და SPECI გამოიცემა ჩიკაგოს 1944 წლის კონვენციის მე-3 დანართის („საერთაშორისო აერნაოსნობის მეტეოროლოგიური უზრუნველყოფა“) დამატება 3-ის A3-2 ცხრილში ნაჩვენები ნიმუშით, და ვრცელდება კოდურ ფორმატში METAR და SPECI გაწერილი მმო-ს მიერ.

სახელმძღვანელო კოდების შესახებ“ ტომი I,1 ნაწილი A “ციფრულ-ანბანური კოდები“

3. METAR და SPECI ამ მუხლის მე-2 პუნქტში მითითებული კოდური ფორმატის გარდა, უნდა გავრცელდეს დამატებით IWXXM GML ფორმითაც.

**შენიშვნა 1:** სახელმძღვანელო მასალა IWXXM-ის შესახებ მოცემულია მმო-ს დოკუმენტ 306-ში „სახელმძღვანელო კოდების შესახებ“ ტომი I, ნაწილი A “ციფრულ-ანბანური კოდები „სახელმძღვანელო მასალა IWXXM დანერგვის შესახებ მოცემულია იკაოს დოკუმენტში (10003) „იკაო-ს მეტეოროლოგიური ინფორმაციის გაცვლის (IWXXM) მოდელის შესახებ სახელმძღვანელოში“.

**შენიშვნა 2:** METAR-ის გავრცელების პროცედურები გაწერილია იკაო-ს EUR Doc 018, „ევროპის რეგიონის ოპერატიული მეტეოროლოგიური მონაცემების მართვის სახელმძღვანელო“-ში.

**შენიშვნა 3:** სახელმძღვანელო მასალა ევროპის რეგიონში IWXXM დანერგვის და გაცვლის შესახებ მოცემულია იკაო-ს EUR Doc 33 „ევროპის რეგიონში IWXXM გამოყენებით ოპერატიული მეტეოროლოგიური მონაცემების გაცვლის სახელმძღვანელოში“.

4. (ამოღებულია - 19.10.2020, №633).
5. (ამოღებულია - 19.10.2020, №633).

ციფრული ფორმით გამოცემული შეტყობინებები METAR და SPECI უნდა გადაიცეს შესაბამისი მეტამონაცემების თანხლებით.



**მნიშვნა:** ინსტრუქციული მასალა ინფორმაციის გაცვლის XML/GML მოდელისა და პროფილის შესახებ გაწერილია საავიაციო მეტეოროლოგიური ინფორმაციის გაცვლის სახელმძღვანელოში DOC10003.

*საქართველოს მთავრობის 2016 წლის 11 თებერვლის დადგენილება №60 – ვებგვერდი, 15.02.2016წ.  
საქართველოს მთავრობის 2018 წლის 21 თებერვლის დადგენილება №97 – ვებგვერდი, 23.02.2018წ.  
საქართველოს მთავრობის 2020 წლის 19 ოქტომბრის დადგენილება №633 – ვებგვერდი, 20.10.2020წ.*

#### **მუხლი 74. CAVOK-ის გამოყენება**

ხილვადობაზე, ხილვადობის მანძილზე ადზ-ზე, მიმდინარე ამინდზე და ღრუბლის ქვედა საზღვრის სიმაღლეზე ინფორმაცია ყველა მეტეოროლოგიურ ცნობაში იცვლება ტერმინით - „CAVOK“, როდესაც დაკვირვების დროს ერთდროულად ადგილი აქვს შემდეგ პირობებს:

ა) ხილვადობა 10 კმ-ია და მეტი;

ბ) ფრენებისათვის მნიშვნელოვანი ღრუბლის არარსებობის შემთხვევაში, ღრუბლების არარსებობა;

გ) ავიაციისთვის მნიშვნელოვანი ამინდის მოვლენების არარსებობა, რომლებიც მითითებულია 81-ე მუხლის მე-4, მე-5 და მე-6 პუნქტებში.

*საქართველოს მთავრობის 2016 წლის 11 თებერვლის დადგენილება №60 – ვებგვერდი, 15.02.2016წ.*

#### **მუხლი 75. ადგილობრივი სპეციალური ცნობების და ცნობების – SPECI გამოცემის კრიტერიუმები**

1. ადგილობრივი სპეციალური ცნობების გამოცემისათვის კრიტერიუმები შეიცავს შემდეგს:

ა) სიდიდეებს, რომლებიც ყველაზე მეტად შეესაბამებიან იმ ექსპლუატანტების საექსპლუატაციო მინიმუმებს, რომლებიც სარგებლობენ მოცემული აეროდრომით;

ბ) სიდიდეებს, რომლებიც აკმაყოფილებენ სმმ-ის ორგანოებისა და საჰაერო ხომალდის ექსპლუატანტების სხვა ადგილობრივ მოთხოვნებს;

გ) ჰაერის ტემპერატურის მომატებას 2<sup>0</sup>C-ით და მეტით ბოლო შეტყობინებაში მითითებულთან შედარებით ან ალტერნატიულ ზღვრულ მნიშვნელობას, რომელიც შეთანხმებულია აეროდრომის სრულუფლებიანი მეტეოროლოგიური ორგანოს მიერ სმმ-ის შესაბამის ორგანოსთან და დაინტერესებულ საჰაერო ხომალდის ექსპლუატანტებთან;

დ) დამატებით ინფორმაციას, რომელიც ეხება დასაფრენად შემოსვლისა და სიმაღლის აკრეფის ზონებში განსაკუთრებული მეტეოროლოგიური პირობების წარმოქმნას, რომლებიც აღნიშნულია ჩიკაგოს 1944 წლის კონვენციის მე-3 დანართის (“საერთაშორისო აერნაოსნობის მეტეოროლოგიური უზრუნველყოფა”) დამატება 3-ის A3-1 ცხრილში;

ე) სიდიდეებს, რომლებიც წარმოადგენს კრიტერიუმებს შეტყობინებების SPECI შედგენისათვის;

ვ) თუ გამოიყენება ხმაურის შემცირების პროცედურები PANS-ATM (DOC4444) 3.7.2.7-ის შესაბამისად და მიწისპირა ქარის (დაქროლვა) საშუალო სიჩქარიდან გადახრა შეიცვალა 2,5 მ/წ (15კვ)-ით ან მეტით, ბოლო შეტყობინებაში მითითებულ მონაცემთან შედარებით, ამასთან ერთად, საშუალო სიჩქარე ცვლილებამდე და მის შემდეგ შეადგენს 7,5 მ/წმ-ს (15 კვანძი) ან მეტს.

2. ამ წესის მე-16 მუხლის მეორე პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში, შეტყობინება SPECI უნდა გამოიცეს მაშინ, როდესაც ადგილი აქვს შემდეგ ცვლილებებს:

ა) ქარის ცვლილება აჭარბებს მნიშვნელოვან საექსპლუატაციო მნიშვნელობებს (ზღვრული სიდიდეები უნდა დგინდებოდეს სააგენტოსა და სმმ-ის შესაბამის ორგანოებთან და დაინტერესებულ ექსპლუატანტებთან კონსულტაციით), ქარის ცვლილების გათვალისწინებით, რომლებიც:

ა.ა) მოითხოვს სამუშაო ადზ-ის შეცვლას;



ა.ბ) მოწმობს იმას, რომ გვერდითი და ზურგქარის მდგენელების ცვლილება ადზ-ზე გადააჭარბებს მნიშვნელობას, რომლებიც წარმოადგენს ძირითად საექსპლოატაციო ზღვარს ტიპური საჰაერო ხომალდებისათვის, რომლებიც ახორციელებენ ფრენებს ამ აეროდრომზე;

ბ) პროგნოზის მიხედვით, ხილვადობა გაუმჯობესდება და მიაღწევს და/ან გადააჭარბებს ერთ ან რამდენიმე შემდეგ მნიშვნელობას, ან ხილვადობა გაუარესდება და გახდება ერთ ან რამდენიმე შემდეგ მნიშვნელობაზე ნაკლები:

ბ.ა) 800, 1500 ან 3000 მ;

ბ.ბ) 5000, იმ შემთხვევაში, როდესაც ფრენების მნიშვნელოვანი რაოდენობა სრულდება ვიზუალური ფრენების წესებით;

გ) ხილვადობის მანძილი ადზ-ზე უმჯობესდება და მიაღწევს ან აჭარბებს ერთ-ერთ შემდეგ მნიშვნელობას – 50 მ-ს, 175 მ-ს, 300 მ-ს ან 800 მ-ს ან ხილვადობის მანძილი ადზ-ზე უარესდება და მიაღწევს ერთ-ერთ შემდეგ მნიშვნელობას: 50 მ-ს, 175 მ-ს, 300 მ-ს ან 800 მ-ს;

დ) ნებისმიერი შემდეგი ამინდის მოვლენების ან მათი ერთობლიობის დაწყების ან ინტენსივობის ცვლილების შემთხვევაში:

დ.ა) ცინულოვანი ნალექები;

დ.ბ) ცინულოვანი ნისლი;

დ.გ) ზომიერი ან ძლიერი ნალექები (თქემის ჩათვლით);

დ.დ) მტვრის, ქვიშის ან თოვლის ქარახვეტი;

დ.ე) მტვრის მიწისპირა ქარბუქი, ქვიშის მიწისპირა ქარბუქი ან საერთო ქარბუქი;

დ.ვ) მტვრიანი ქარიშხალი;

დ.ზ) ჭექა-ქუხილი (ნალექით ან უნალექოდ);

დ.თ) ქარტეხილი;

დ.ი) ძაბრისმაგვარი ღრუბელი;

ე) BKN ან OVC ღრუბლების ქვედა ფენის საზღვრის სიმაღლე იზრდება და აღწევს ან აჭარბებს ერთ ან რამდენიმე შემდეგ მნიშვნელობებს, ან BKN, ან OVC ღრუბლების ქვედა ფენის ქვედა საზღვრის სიმაღლე მცირდება და ხდება ნაკლები ერთ ან რამდენიმე შემდეგ მნიშვნელობაზე:

ე.ა) 30 მ, 60 მ, 150 მ ან 300 მ (100, 200, 500 ან 1000 ფუტი);

ე.ბ) 450 მ (1500 ფუტი) – იმ შემთხვევაში, როდესაც ფრენების მნიშვნელოვანი რაოდენობა სრულდება ვიზუალური ფრენების წესით;

ე.გ) 450 მეტრზე (1500 ფუტი) დაბალ ფენაში ღრუბლების რაოდენობა იცვლება:

ე.ა) SKC, FEW ან SCT-დან BKN ან OVC-მდე ან

ე.ბ) BKN ან OVC-დან SKC, FEW ან SCT-მდე;

ზ) ცა იბინდება და ვერტიკალური ხილვადობა უმჯობესდება, აღწევს ან აჭარბებს ერთ ან რამდენიმე შემდეგ მნიშვნელობას, ან ვერტიკალური ხილვადობა უარესდება და ხდება ნაკლები ერთ ან რამდენიმე შემდეგ მნიშვნელობაზე: 30 მ, 60 მ, 150 მ ან 300 მ (100, 200, 500 ან 1000 ფუტი).



3. იმ შემთხვევებში, როდესაც ამინდის ერთი ელემენტის გაუარესებისას ერთდროულად დაიკვირვება მეორეს გაუმჯობესება, მაშინ გამოიშვება ერთიანი სპეციალური შეტყობინება SPECI, რომელიც ითვლება შეტყობინებად ამინდის გაუარესების შესახებ.

*საქართველოს მთავრობის 2016 წლის 11 თებერვლის დადგენილება №60 – ვებგვერდი, 15.02.2016წ.*

## **მუხლი 76. მეტეოროლოგიური შეტყობინებების გავრცელება METAR და SPECI**

1. შეტყობინება METAR და SPECI ეგზავნებათ მონაცემთა საერთაშორისო ბანკებსა (OPMET) და ცენტრებს, რომლებიც რეგიონალური სააერნაოსნო შეთანხმებით დანიშნულნი არიან ინტერნეტზე დამყარებული სააერნაოსნო ფიქსირებული მომსახურების ოპერირებისათვის რეგიონალური სააერნაოსნო შეთანხმების საფუძველზე.

2. შეტყობინება METAR და SPECI ვრცელდება აეროდრომის ფარგლებს გარეთ სხვა აეროდრომებზე რეგიონალური სააერნაოსნო შეთანხმების შესაბამისად.

3. შეტყობინება SPECI ამინდის პირობების გაუარესების შემთხვევაში ვრცელდება დაკვირვების შემდეგ დაუყოვნებლივ. შეტყობინება SPECI, ერთი ელემენტის გაუარესების და ერთდროულად მეორის გაუმჯობესების შესახებ, ვრცელდება დაკვირვების შემდეგ დაუყოვნებლივ.

4. შეტყობინება SPECI ამინდის პირობების გაუმჯობესების შემდეგ, ვრცელდება მხოლოდ გაუმჯობესების 10 წუთის შენარჩუნების შემთხვევაში. ასეთი შეტყობინების აუცილებლობის შემთხვევაში, მის გავრცელებამდე შეტანილი უნდა იქნეს კორექტივები იმისათვის, რომ აისახოს ამინდის პირობები, რომლებიც ჭარბობდნენ 10-წუთიანი პერიოდის დასასრულს.

*საქართველოს მთავრობის 2018 წლის 21 თებერვლის დადგენილება №97 – ვებგვერდი, 23.02.2018წ.*

## **მუხლი 77. მეტეოროლოგიური შეტყობინებების გავრცელება, ადგილობრივი რეგულარული და სპეციალური შეტყობინებები**

1. ადგილობრივი რეგულარული შეტყობინებები გადაეცემათ სმმ-ის ადგილობრივ ორგანოებს, ექსპლუატანტებს და აეროდრომზე სხვა მომხმარებლებს.

2. ადგილობრივი სპეციალური შეტყობინებები გადაეცემათ ადგილობრივ სმმ-ის ორგანოებს განსაზღვრული პირობების წარმოქმნისთანავე.

3. ადგილობრივი სპეციალური შეტყობინებები, აგრეთვე, გადაეცემათ ექსპლუატანტებს და აეროდრომის სხვა მომხმარებლებს.

## **მუხლი 78. დაკვირვებები მეტეოროლოგიურ ელემენტებზე და მონაცემების გადაცემა შეტყობინებებში – მიწისპირა ქარი**

1. დაკვირვება მიწისპირა ქარზე უნდა განხორციელდეს 10-11 მ სიმაღლეზე (30ფტ-3ფტ) მიწის ზედაპირიდან.

2. მიწისპირა ქარზე დაკვირვების სიზუსტე უზრუნველყოფილი უნდა იქნეს იმ ხელსაწყოების გამოყენებით, რომლებიც განლაგებულია შესაბამისი წესით. მიწისპირა ქარის ხელსაწყოები, ადგილობრივი რეგულარული და სპეციალური შეტყობინებებისათვის, უნდა განლაგდეს ისე, რომ მიღებულ იქნეს შედარებით ზუსტი მონაცემები ადზ-ის გასწვრივ, მაგალითად, მოფრენის ზონაში. იმ აეროდრომებზე, სადაც ტოპოგრაფიული და გაბატონებული ამინდის პირობები იწვევს მიწისპირა ქარის მნიშვნელოვან სხვაობას ადზ-ის სხვადასხვა უბანზე, უნდა განლაგდეს დამატებითი ხელსაწყოები.

3. მიწისპირა ქარის მონიტორები, დაკავშირებული შესაბამის ხელსაწყოსთან, განლაგდება მეტეოროლოგიურ სადგურზე, სმმ-ის ორგანოებში განლაგებული მონიტორების ანალოგიურად. მეტეოროლოგიურ და სმმ-ის ორგანოებში განლაგებული მონიტორები მიერთებული უნდა იყოს ერთსა და იმავე ხელსაწყოსთან.



4. ავტომატური დაკვირვების სისტემების მეშვეობით განისაზღვრება და აისახება მიწისპირა ქარის გასაშუალოებული მნიშვნელობები და მნიშვნელოვანი ცვლილებები თითოეული სენსორიდან. ქარზე დაკვირვების გასაშუალოების პერიოდი შეადგენს:

ა) 2 წუთს – ადგილობრივ და სპეციალურ შეტყობინებებში, აგრეთვე იმ მონიტორებზე, რომლებიც განლაგებულია სმმ-ის ორგანოებში;

ბ) 10 წუთს – შეტყობინება METAR-სა და SPECI-ში, თუკი ამ 10-წუთიან პერიოდში ადგილი აქვს ქარის მიმართულებისა და/ან სიჩქარის შესამჩნევ არასტაბილურობას, საშუალო მნიშვნელობის განსაზღვრისას, გამოიყენება მხოლოდ ამ არასტაბილური პერიოდის მონაცემები და ამ შემთხვევაში, მითითებული დროის 10-წუთიანი ინტერვალი მცირდება. შესამჩნევ არასტაბილურობას ადგილი აქვს, როდესაც 2 წუთის განმავლობაში დაიკვირვება ქარის მიმართულების მკვეთრი და მდგრადი ცვლილება 30 გრადუსით ან მეტით ქარის 5 მ/წმ (10 კვანძი) სიჩქარისას;

გ) ადგილობრივი რეგულარული და სპეციალური შეტყობინებებისათვის, METAR-ისა და SPECI-სათვის, აგრეთვე სმმ-ის ორგანოებში განთავსებული მონიტორებისათვის, რომლებიც გამოიყენება ქარის საშუალო სიჩქარისა და გადახრის (დაქროლვა) ასახვისათვის, გასაშუალოების პერიოდი ქარის საშუალო სიჩქარის გადახრის გასაზომად უნდა შეადგენდეს 3 წმ-ს.

5. ადგილობრივ რეგულარულ და სპეციალურ, აგრეთვე შეტყობინება METAR-ში და SPECI მონაცემები ქარის სიჩქარისა და მიმართულების შესახებ გადაიცემა სიდიდით, დამრგვალებული 10 გრადუსამდე და 1მ/წმ (1კვ). ნებისმიერი დაკვირვებადი მნიშვნელობა, რომელიც არ ჯდება გადაცემისათვის გამოყენებულ მონაცემთა სკალაში, მრგვალდება ამ სკალის უახლოეს წილადამდე.

6. ადგილობრივ რეგულარულ და სპეციალურ, აგრეთვე შეტყობინება METAR-ში და SPECI-ში

ა) მიეთითება ქარის სიჩქარის განმსაზღვრელი საზომი ერთეული;

ბ) ქარის საშუალო მიმართულებიდან გადახრა ბოლო 10 წუთის განმავლობაში, თუ საერთო ცვლილება შეადგენს 60 გრადუსს და მეტს, მიეთითება შემდეგნაირად:

ბ.ა) იმ შემთხვევებში, როდესაც ცვლილებების სრული დიაპაზონი შეადგენს 60 გრადუსს და მეტს, მაგრამ 180 გრადუსზე ნაკლებს, ხოლო ქარის სიჩქარე შეადგენს 1,5 მ/წმ (3 კვანძი) ან მეტი, მიმართულების ასეთი ცვლილება გადაიცემა მიმართულების ორი ექსტრემალური მნიშვნელობით, რომელთა შორის დაიკვირვებოდა მიწისპირა ქარის მიმართულების ცვლილება;

ბ.ბ) იმ შემთხვევებში, როდესაც ცვლილებების სრული დიაპაზონი შეადგენს 60 გრადუსს და მეტს, მაგრამ 180 გრადუსზე ნაკლებს, ხოლო ქარის სიჩქარე შეადგენს 1,5 მ/წმ-ზე (3 კვანძი) ნაკლებს, მიმართულების ასეთი ცვლილება გადაიცემა, როგორც არამდგრადი, ქარის საშუალო მიმართულების გარეშე;

გ) ქარის საშუალო სიჩქარიდან გადახრა (დაქროლვა), რომელიც დაიკვირვება ბოლო 10 წუთის განმავლობაში, გადაიცემა მაშინ, როცა ქარის მაქსიმალური სიჩქარე აჭარბებს საშუალო სიჩქარეს:

გ.ა) 2.5მ/წმ-ით (5კვ) და მეტით ადგილობრივ რეგულარულ და სპეციალურ შეტყობინებებში, როცა გამოიყენება ხმაურის შესამცირებელი პროცედურები PnsS-ATM (Doc 4444) კ. 7.2.6-ის შესაბამისად; ან

გ.ბ) 5მ/წმ-ით (10კვ) და მეტით სხვა დანარჩენ შემთხვევებში

დ) იმ შემთხვევებში, როდესაც ქარის საშუალო სიჩქარეა 0,5 მ/წმ (1 კვ), ის გადაიცემა როგორც უქარო;

ე) იმ შემთხვევებში, როდესაც ქარის საშუალო სიჩქარე გადაიცემა 50 მ/წმ (100კვ) ან მეტი, ის მიეთითება, როგორც 49მ/წმ (99 კვ);

ვ) იმ შემთხვევებში, როდესაც ამ 10-წუთიან პერიოდში ადგილი აქვს ქარის მიმართულების ან სიჩქარის შესამჩნევ არასტაბილურობას, მიეთითება მხოლოდ ქარის საშუალო სიჩქარის და მიმართულების ის





გადახრა, რომლებსაც ადგილი ჰქონდა ამ არასტაბილური პერიოდის შემდეგ.

7. ადგილობრივ რეგულარულ და სპეციალურ შეტყობინებებში:

ა) თუ ქარზე დაკვირვება წარმოებს ადზ-ის გასწვრივ რამდენიმე ადგილიდან, მიეთითება დაკვირვების ადგილის ადგილმდებარეობა, რომელთათვის ეს სიდიდეები მისაღებია;

ბ) თუ გამოიყენება რამდენიმე ადზ და დაკვირვებები მიწისპირა ქარზე წარმოებს უშუალოდ ამ ადზ-ებზე, გადაიცემა ყველა ადზ-ისათვის ქარის სიდიდე და მიეთითება ადზ-ები, რომელთაც ეკუთვნით ეს მნიშვნელობები.

8. შეტყობინება **METAR**-ში და **SPECI**-ში, როდესაც ქარის საშუალო სიჩქარიდან გადახრა (დაქროლვა) მიეთითება ამ მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, გადაიცემა ქარის სიჩქარის მაქსიმალური მნიშვნელობა.

9. ავტომატური დაკვირვების ავტომატური სისტემების მეშვეობით უნდა განისაზღვროდეს და აისახებოდეს მიწისპირა ქარის გასაშუალოებული მნიშვნელობები და მნიშვნელოვანი ცვლილებები თითოეული სენსორიდან.

10. ქარის სიჩქარის საშუალო მნიშვნელობიდან გადახრის (დაქროლვა) გასაშუალოების პერიოდი უნდა შეადგენდეს სამ წამს ადგილობრივი რეგულარული შეტყობინებებისათვის, ადგილობრივი სპეციალური შეტყობინებებისათვის, METAR-ისათვის, SPECI-ისა და სმმ-ის ორგანოებში განლაგებული ქარის მონიტორებისათვის, რომლებიც ასახავენ ქარის სიჩქარის საშუალო მნიშვნელობიდან გადახრას.

11. გადაცემული ქარის საშუალო მიმართულება და სიჩქარე, აგრეთვე ქარის სიჩქარის საშუალო მნიშვნელობიდან გადახრა (დაქროლვა) უნდა აღწევდეს იმ სასურველ საექსპლუატაციო პარამეტრებს, რომელიც მოცემულია ჩიკაგოს კონვენციის მე-3 დანართის „A“ დამატებაში.

*საქართველოს მთავრობის 2016 წლის 11 თებერვლის დადგენილება №60 – ვებგვერდი, 15.02.2016წ.*

*საქართველოს მთავრობის 2018 წლის 21 თებერვლის დადგენილება №97 – ვებგვერდი, 23.02.2018წ.*

## **მუხლი 79. ხილვადობა**

1. იმ შემთხვევებში, როდესაც ხილვადობის საზომად გამოიყენება ინსტრუმენტული სისტემები, ხილვადობა უნდა გაიზომოს ადზ-დან დაახლოებით 2.5 მეტრ (7,5 ფუტ) სიმაღლეზე. იმ შემთხვევებში, როდესაც ხილვადობის საზომად გამოიყენება ინსტრუმენტული სისტემები, ხილვადობაზე დაკვირვების სიზუსტეს უნდა უზრუნველყოფდეს იმ ხელსაწყოების გამოყენება, რომლებიც განლაგებულია შესაბამისი წესით. ხილვადობის ხელსაწყოები ადგილობრივი რეგულარული და სპეციალური შეტყობინებებისათვის უნდა განლაგდეს ისე, რომ მიღებულ იქნეს შედარებით ზუსტი მონაცემები ადზ-ის გასწვრივ და მოფრენის ზონაში.

2. იმ შემთხვევებში, როდესაც ხილვადობის საზომად გამოიყენება ინსტრუმენტული სისტემები, მონიტორები, რომლებზეც აისახება ხილვადობის მონაცემები და რომლებიც დაკავშირებულია შესაბამის ხელსაწყოთან, განლაგდება მეტეოროლოგიურ სადგურზე, სმმ-ის ორგანოებში განლაგებული მონიტორების ანალოგიურად. მეტეოროლოგიურ და სმმ-ის ორგანოებში განლაგებული მონიტორები მიერთებული უნდა იყოს ერთსა და იმავე ხელსაწყოთან.

3. იმ შემთხვევებში, როდესაც ხილვადობის საზომად გამოიყენება ინსტრუმენტული სისტემები, მათი მონაცემები უნდა განახლდეს ყოველ 60 წამში ერთხელ მაინც, იმისათვის, რომ მიწოდებულ იქნეს მიმდინარე არსებული მნიშვნელობები. გასაშუალოების პერიოდი უნდა შეადგენდეს:

ა) 1 წუთს ადგილობრივი რეგულარული და სპეციალური შეტყობინებებისა და იმ მონიტორებისათვის, რომლებზეც აისახება ხილვადობის მონაცემები სმმ-ის ორგანოებში; და

ბ) 10 წუთს შეტყობინება **METAR**-ისა და **SPECI**-სათვის, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა 10-წუთიანი პერიოდის განმავლობაში, რომელიც უშუალოდ წინ უსწრებს დაკვირვებას, ადგილი აქვს ხილვადობის შესამჩნევ არასტაბილურობას; ამ შემთხვევაში საშუალო მნიშვნელობის მისაღებად გამოიყენება





მხოლოდ ის მნიშვნელობები, რომლებიც დაფიქსირდა ამ არასტაბილურობის პერიოდის შემდეგ.

4. ადგილობრივ რეგულარულ და სპეციალურ შეტყობინებებში და შეტყობინება **METAR**-სა და **SPECI**-ში ხილვადობა გადაიციმა 50მ სიზუსტით, თუ ხილვადობა 800 მეტრზე ნაკლებია. როდესაც ხილვადობა 800 მეტრი ან მეტია, მაგრამ 5 კმ-ზე ნაკლები, ის გადაიციმა 100 მეტრის სიზუსტით; ხილვადობისას 5კმ და მეტი, მაგრამ ნაკლები 10 კმ-ისა, ის გადაიციმა 1კმ სიზუსტით; ხილვადობისას 10კმ და მეტი, ის გადაიციმა, როგორც 10კმ, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მეტეოროლოგიური პირობები იძლევა **CAVOK**-ის გამოყენების საშუალებას. ნებისმიერი დაკვირვებადი მნიშვნელობა, რომელიც არ ჯდება გადაცემისათვის გამოყენებულ მონაცემთა სკალაში, მრგვალდება სიმცირისკენ ამ სკალის უახლოეს წილადამდე.

5. ადგილობრივ რეგულარულ და სპეციალურ შეტყობინებებში ადზ-ის გასწვრის ხილვადობის სიდიდე მიეთითება მის საზომ ერთეულთან ერთად.

6. ადგილობრივ რეგულარულ და სპეციალურ შეტყობინებებში, როდესაც ხილვადობის გასაზომად გამოიყენება ინსტრუმენტული სისტემები:

ა) თუ ხილვადობაზე დაკვირვება წარმოებს ადზ-ის გასწვრივ რამდენიმე ადგილიდან, როგორც ეს მითითებულია მე-19 მუხლის მე-2 პუნქტში, თავიდან მიეთითება შეხების ზონის მნიშვნელობა, ხოლო შემდეგ, რამდენადაც ეს აუცილებელია – მნიშვნელობები ადზ-ის შუა წერტილისა და ბოლოსათვის. ამასთან, უნდა მიეთითოს ის ადგილები, რომელთათვის აღნიშნული მნიშვნელობებია მისაღები;

ბ) თუ გამოიყენება რამდენიმე ადზ და ხილვადობაზე დაკვირვება წარმოებს უშუალოდ ამ ადზ-ებიდან, გადაიციმა ყველა ადზ-ისათვის ხილვადობის სიდიდე და მიეთითება ადზ-ები, რომელთაც ეკუთვნით ეს მნიშვნელობები;

7. შეტყობინებებში METAR და SPECI უნდა მიეთითოს უმეტესი ხილვადობა, როგორც ეს განსაზღვრულია პირველ მუხლში, თუკი ხილვადობა სხვადასხვა მიმართულებებით სხვადასხვაა და

ა) თუ მინიმალური ხილვადობა განსხვავდება უმეტესი ხილვადობისაგან და შეადგენს:

ა.ა) 1500 მეტრზე ნაკლებს ან

ა.ბ) უმეტესი ხილვადობის 50% და 5000 მეტრზე ნაკლებს, შეტყობინებებში, აგრეთვე, შეძლებისდაგვარად, უნდა მიეთითოს დარეგისტრირებული მინიმალური ხილვადობა და მისი ზოგადი მიმართულება აეროპორტის საკონტროლო წერტილთან მიმართებაში კომპასის რვა მიმართულებიდან ერთ-ერთის მითითებით. თუ მინიმალური ხილვადობა ფიქსირდება რამდენიმე მიმართულებით, მაშინ მითითებულ უნდა იქნეს საექსპლუატაციო თვალსაზრისით ყველაზე მნიშვნელოვანი მიმართულება.

ბ) თუ ხილვადობა სწრაფად იცვლება და უმეტესი ხილვადობის განსაზღვრა შეუძლებელია, უნდა მიეთითოს მხოლოდ ხილვადობის მინიმალური მნიშვნელობა მიმართულების მითითების გარეშე.

## **მუხლი 80. ხილვადობის მანძილი ადზ-ზე (RVR)**

1. ხილვადობის მანძილი ადზ-ზე უნდა შეფასდეს ადზ-დან დაახლოებით 2,5 მეტრ (7,5 ფუტ) სიმაღლეზე ინსტრუმენტალური სისტემების გამოყენებისას და 5 მეტრის (15 ფუტის) სიმაღლეზე ადზ-დან ვიზუალური დაკვირვებისას.

2. ხილვადობის მანძილი ადზ-ზე უნდა შეფასდეს ადზ-ის ღერძიდან, გვერდითი დაშორებით, არაუმეტეს 120 მეტრისა. იმისათვის, რომ დაკვირვების ადგილი მისაღები იყოს დაფრენის ზონისათვის, ის უნდა განლაგდეს დაახლოებით 300 მეტრში ადზ-ის ზღურბლიდან. იმისათვის, რომ დაკვირვების ადგილი მისაღები იყოს ადზ-ის შუა წერტილებისა და ბოლოსათვის, ისინი უნდა განლაგდნენ ადზ-ის ზღურბლიდან 1000-1500 მეტრზე და 300 მეტრზე ადზ-ის მეორე ბოლოდან. ზუსტი ადგილმდებარეობა, ასევე საჭიროების შემთხვევაში დამატებითი ადგილები დაკვირვებისათვის, უნდა განისაზღვროს ისეთი საავიაციო, მეტეოროლოგიური და კლიმატოლოგიური ფაქტორების გათვალისწინებით, როგორცაა ადზ-ის სიგრძე, აგრეთვე, ჭაობების არსებობა, სადაც მოსალოდნელია ნისლი.



3. ადზ-ზე ხილვადობის მანძილის შესაფასებლად, რომლებიც განკუთვნილია ხელსაწყოებით დასაფრენად შემოსვლისა და დაფრენისათვის II და III კატეგორიებით, გამოიყენება ინსტრუმენტული სისტემები, დაფუძნებული ტრანსმისომეტრებზე და პირდაპირი გაფანტვის საზომებზე.

4. ადზ-ზე ხილვადობის მანძილის შესაფასებლად, რომლებიც განკუთვნილია ხელსაწყოებით დასაფრენად შემოსვლისა და დაფრენისათვის I კატეგორიით, გამოიყენება ინსტრუმენტული სისტემები, დაფუძნებული ტრანსმისომეტრებზე და პირდაპირი გაფანტვის საზომებზე.

5. იმ შემთხვევებში, როდესაც ხილვადობის მანძილი ადზ-ზე განისაზღვრება ინსტრუმენტული სისტემებით, ერთი მონიტორი (თუ აუცილებელია, რამდენიმე) განთავსდება მეტეოროლოგიურ სადგურზე, ხოლო დანარჩენი მონიტორები – სმმ-ის შესაბამისი ორგანოების განლაგების ადგილებში. მეტეოროლოგიურ სადგურსა და სმმ-ის ორგანოებში დაყენებული მონიტორები მიერთებული უნდა იყოს ერთსა და იმავე საზომ ხელსაწყოებთან.

6. იმ შემთხვევებში, როდესაც ადზ-ზე ხილვადობის მანძილის შეფასებისთვის გამოიყენება ინსტრუმენტული სისტემები, მათი მონაცემები უნდა განახლდეს ყოველ 60 წამში ერთხელ მაინც, იმისათვის, რომ მიწოდებულ იქნეს მიმდინარე მისაღები მნიშვნელობები. გასაშუალოების პერიოდი უნდა შეადგენდეს:

ა) 1-წუთიან პერიოდის ადგილობრივ და სპეციალურ შეტყობინებებში, აგრეთვე იმ მონიტორებზე, რომლებიც განლაგებულია სმმ-ის ორგანოებში;

ბ) METAR-სა და SPECI-ში 10-წუთიანი პერიოდის შეტყობინების შემთხვევაში, თუკი ამ 10-წუთიან პერიოდში ადგილი აქვს ადზ-ზე ხილვადობის მანძილის მნიშვნელობის შესამჩნევ არასტაბილურობას, საშუალო მნიშვნელობის განსაზღვრისას გამოიყენება მხოლოდ ამ არასტაბილური პერიოდის მონაცემები. შესამჩნევ არასტაბილურობას ადგილი აქვს, როდესაც 2 წუთის განმავლობაში დაიკვირვება ადზ-ზე ხილვადობის მანძილის ცვლილება, რომელიც აღწევს ან აჭარბებს შემდეგ მნიშვნელობებს: 800 მ-ს, 550 მ-ს, 300 მ-სა და 175მ-ს.

7. ადგილობრივ რეგულარულ და სპეციალურ შეტყობინებებში და შეტყობინება METAR-სა და SPECI-ში ხილვადობის მანძილი ადზ-ზე გადაიკემა 25მ სიზუსტით, თუ ხილვადობა 400 მეტრზე ნაკლებია, როდესაც ხილვადობა 400 დან 800 მ-მდეა – 50 მ სიზუსტით და როდესაც ხილვადობის მანძილი ადზ-ზე 800 მეტრზე მეტია – 100მ სიზუსტით. ნებისმიერი დაკვირვებადი მნიშვნელობა, რომელიც არ ჯდება გადაცემისათვის გამოყენებულ მონაცემთა სკალაში, მრგვალდება სიმცირისკენ ამ სკალის უახლოეს წილადამდე.

8. ადზ-ზე ხილვადობის მანძილის ქვედა ზღვრად ითვლება 50 მეტრი, ხოლო ზედა ზღვრად – 2000 მ. როდესაც ხილვადობა მეტია ან ნაკლებია აღნიშნულ ზღვრულ მნიშვნელობებზე, ადგილობრივ რეგულარულ და სპეციალურ შეტყობინებებში და შეტყობინება METAR-სა და SPECI-ში მიეთითება მხოლოდ ის, რომ ხილვადობის მანძილი ადზ-ზე ნაკლებია 50მ-ზე ან მეტია 2000 მეტრზე.

9. ადგილობრივ რეგულარულ და სპეციალურ შეტყობინებებში და შეტყობინება METAR-სა და SPECI-ში:

ა) იმ შემთხვევებში, როდესაც ხილვადობის მანძილი ადზ-ზე მეტია გამოყენებადი სისტემის გაზომილ ზედა ზღვრულ მნიშვნელობაზე, ის მიეთითება შემოკლება “ABV“-ის მეშვეობით ადგილობრივ რეგულარულ და სპეციალურ შეტყობინებებში და შემოკლება “P“-ს მეშვეობით შეტყობინება METAR-სა და SPECI-ში, რომელსაც მოსდევს ის მაქსიმალური მნიშვნელობა, რომელიც განისაზღვრება აღნიშნული სისტემით;

ბ) იმ შემთხვევებში, როდესაც ხილვადობის მანძილი ადზ-ზე ნაკლებია გამოყენებადი სისტემის გაზომილ ქვედა ზღვრულ მნიშვნელობაზე, ის მიეთითება შემოკლება “BLW“-ის მეშვეობით ადგილობრივ რეგულარულ და სპეციალურ შეტყობინებებში და შემოკლება “M“-ს მეშვეობით შეტყობინება METAR-სა და SPECI-ში, რომელსაც მოსდევს ის მინიმალური მნიშვნელობა, რომელიც განისაზღვრება აღნიშნული სისტემით.



## 10. ადგილობრივ რეგულარულ და სპეციალურ შეტყობინებებში:

ა) მიეთითება მისი საზომი ერთეული

ბ) თუ ადზ-ზე ხილვადობის მანძილზე დაკვირვება წარმოებს ადზ-ის ერთი მონაკვეთიდან ანუ მხოლოდ დაფრენის ზონისათვის, დაკვირვების მონაცემები გადაიცემა დაკვირვების ადგილის მიუთითებლად;

გ) თუ ადზ-ზე ხილვადობის მანძილზე დაკვირვება წარმოებს ადზ-ის გასწვრივ რამდენიმე ადგილიდან, თავიდან მიეთითება შეხების ზონისათვის მისაღები მნიშვნელობა, ხოლო შემდეგ, მისაღები მნიშვნელობები ადზ-ის შუა წერტილისა და ბოლოსათვის, ამასთან უნდა მიეთითოს ის ადგილები, რომელთათვის აღნიშნული მნიშვნელობებია დამახასიათებელი;

დ) თუ გამოიყენება რამდენიმე ადზ და ადზე ხილვადობის მანძილზე დაკვირვება წარმოებს უშუალოდ ამ ადზ-ებიდან, გადაიცემა ყველა ადზ-ისათვის ხილვადობის სიდიდე და მიეთითება ის ადზ-ები, რომელთაც ეკუთვნით ეს მნიშვნელობები.

11. იმ შემთხვევებში, როდესაც ადზ-ზე ხილვადობის მანძილის შეფასებისთვის გამოიყენება ინსტრუმენტული სისტემები, შეტყობინება **METAR**-სა და **SPECI**-ში ჩართული უნდა იქნეს ინფორმაცია ადზ-ზე ხილვადობის მანძილის ცვლილებების შესახებ 10-წუთიანი პერიოდის განმავლობაში, რომელიც უშუალოდ წინ უსწრებს დაკვირვებას, შემდეგ შემთხვევებში:

ა) თუ 10-წუთიანი პერიოდის განმავლობაში დაიკვირვება მკაფიო ტენდენცია ადზ-ზე ხილვადობის მანძილის მნიშვნელობის ცვლილებისა იმგვარად, რომ პირველი 5 წუთის განმავლობაში საშუალო მნიშვნელობა განსხვავდება 100 მ-ით და მეტით საშუალო მნიშვნელობისაგან მეორე 5 წუთის განმავლობაში, მაშინ ასეთი ცვლილება უნდა მიეთითოს. ისეთ შემთხვევებში, როდესაც ადზ-ზე დაიკვირვება ხილვადობის მანძილის ცვლილებების ტენდენცია ზრდისკენ ან დაკლებისკენ, მაშინ გამოყენებული უნდა იქნეს შემოკლება "U" და "D" შესაბამისად. იმ შემთხვევაში, როდესაც 10-წუთიანი პერიოდის განმავლობაში ფაქტობრივი რყევები არ ადასტურებენ მკაფიოდ გამოხატული ტენდენციის არსებობას, შეტყობინებებში გამოყენებულ უნდა იქნეს შემოკლება "N". როდესაც არ არის ინფორმაცია ტენდენციის არსებობის შესახებ, მაშინ არც ერთი ზემოხსენებული შემოკლება შეტყობინებაში ჩართულ არ უნდა იქნეს;

ბ) თუ ადზ-ზე ხილვადობის მანძილის მნიშვნელობა 1 წუთში, 10-წუთიანი პერიოდის მონაკვეთში, საშუალო მნიშვნელობისაგან განსხვავდება 50 მ-ზე მეტით ან 20%-ზე მეტით საშუალო მნიშვნელობისაგან, იმისდა მიხედვით, თუ რომელი სიდიდეა მეტი, მაშინ საშუალო მნიშვნელობის მაგივრად, 10-წუთიანი პერიოდის განმავლობაში, უნდა მიეთითოს საშუალო მინიმალური და საშუალო მაქსიმალური მნიშვნელობა 1 წუთის განმავლობაში. თუ 10-წუთიანი პერიოდის განმავლობაში, რომელიც უშუალოდ წინ უსწრებს დაკვირვებას, აღინიშნება შესამჩნევი არასტაბილურობა ხილვადობის მანძილის მნიშვნელობისა, ადზ-ზე ცვლილების განსაზღვრისათვის გამოყენებულ უნდა იქნეს მხოლოდ ის მნიშვნელობები, რომლებიც მიღებულია არასტაბილური პერიოდის შემდეგ.

12. როდესაც ხილვადობის მანძილის ადზ-ზე შესაფასებლად გამოიყენება ინსტრუმენტალური სისტემები, გამოთვლა უნდა წარმოებდეს ყველა არსებული ადზ-ისათვის. ხილვადობის მანძილი ადზ-ზე არ უნდა გამოითვლებოდეს თუ ადზ-ზე არსებული განათების მაქსიმალური ინტენსივობა 3% ან ნაკლებია.

13. თუ ხილვადობის მანძილის ადზ-ზე განსაზღვრა ხდება დამკვირვებლის მიერ, ადზ-ზე ხილვადობის მანძილის შესახებ მონაცემები უნდა გადაეცეს ადგილობრივ სმმ-ის ორგანოებს იმ შემთხვევებში, თუ ადგილი აქვს ცვლილებებს, რომლებიც ექვემდებარება გადაცემას ათვლის შკალასთან შესაბამისად. ასეთი შეტყობინებები უნდა გადაეცეს, როგორც წესი, დაკვირვების დასრულებისთანავე, 15 წამში.

**შენიშვნა:** შესამჩნევ არასტაბილურობას ადგილი აქვს იმ შემთხვევაში, როდესაც არანაკლებ 2 წუთის განმავლობაში დაიკვირვება მკვეთრი და მდგრადი ცვლილება ადზე ხილვადობის მანძილისა, რომლის დროსაც იგი აღწევს ან აჭარბებს 75-ე მუხლის მე-2 პუნქტში მითითებულ კრიტერიუმებს სპეციალური



## შეტყობინება SPECI-ს გამოცემისათვის.

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 11 თებერვლის დადგენილება №60 – ვებგვერდი, 15.02.2016წ.

### მუხლი 81. მიმდინარე ამინდი

1. თუ მიმდინარე ამინდის მოვლენებზე (რომლებიც ჩამოთვლილია ამ მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტებში) დაკვირვებისათვის გამოიყენება ინსტრუმენტული სისტემები, დაკვირვების სიზუსტეს უნდა უზრუნველყოფდეს იმ ხელსაწყოების გამოყენება, რომლებიც განლაგებულია შესაბამისი წესით.
2. ადგილობრივ რეგულარულ და სპეციალურ შეტყობინებებში მიეთითება მიმდინარე ამინდის მოვლენის ტიპი, დახასიათება და მისი ინტენსივობის შეფასება.
3. შეტყობინება METAR-სა და SPECI-ში მიეთითება მიმდინარე ამინდის მოვლენის ტიპი, დახასიათება, მისი ინტენსივობა და სიახლოვე აეროდრომთან.
4. ადგილობრივ რეგულარულ და სპეციალურ შეტყობინებებში და შეტყობინება METAR-სა და SPECI-ში გადაიცემა ქვემოთ ჩამოთვლილი მიმდინარე ამინდის მოვლენები და შესაბამისი კრიტერიუმების შემოკლებული აღნიშვნები (დახასიათება, ინტენსივობა, სიახლოვე აეროდრომთან):

ა) ნალექები:

ჟინჟღლი	DZ
წვიმა	RA
თოვლი	SN
თოვლის ხორხოშელა	SG
ყინულის წვიმა	PL
სეტყვა	GR

**შენიშვნა:** სეტყვა GR გადაიცემა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ყველაზე მსხვილი სეტყვის მარცვლების დიამეტრი შეადგენს 5მმ-ს და მეტს. მცირე სეტყვა ან ყინულის ხორხოშელა GS გადაიცემა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ყველაზე მსხვილი სეტყვის მარცვლების დიამეტრი შეადგენს 5მმ-ს და მეტს. ნალექების გაურკვეველი ტიპი – UP გადაიცემა მხოლოდ არაიდენტიფიცირებული ნალექების შემთხვევაში, როდესაც გამოიყენება დაკვირვების ავტომატიზებული სისტემები.

ბ) დაბინდების სახეობები (ჰიდრომეტეორები)

ნისლი FG გადაიცემა, როდესაც ხილვადობა ნაკლებია 1000 მეტრზე, გარდა იმ

შემთხვევებისა, როდესაც თან ახლავს შემოკლებები MI, BC, PR ან VC

ჯანლი BR გადაიცემა არანაკლებ 1000 მეტრისა და არა უმეტეს 5000 მეტრი ხილვადობის დროს

გ) დაბინდების სახეობები (ლიტომეტეორები)

ქვიმა SA ქვემოაღნიშნული შემოკლებები გადაიცემა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაბინდება ძირითადად დაკავშირებულია ლიტომეტეორების არსებობასთან და ხილვადობა შეადგენს 5000 მ-ს ან ნაკლებს, გარდა “SA“, როდესაც გამოიყენება “DR“ და ვულკანური ფერფლი

მტვერი (გარემომცველი) DU



ბური	HZ
ბოლი	FU
ვულკანური ფერფლი	VA
დ) სხვა მოვლენები	
მტვრის/ქვიშის	
კორიანტელი	PO
ქარტხილი	SQ

მაბრისმაგვარი ღრუბელი

(ტორნადო ან ქარბორბალა)FC

მტვრიანი ქარიშხალი DS

ქვიშიანი ქარიშხალი SS

5. ადგილობრივ რეგულარულ და სპეციალურ შეტყობინებებში, ასევე შეტყობინება METAR-სა და SPECI-ში, აუცილებლობის შემთხვევაში, გადაიცემა მიმდინარე ამინდის მოვლენების დახასიათება და შესაბამისი კრიტერიუმების შემოკლებული აღნიშვნები:

ჭექა-ქუხილი TS გამოიყენება ჭექა-ქუხილის გადასაცემად სხვა მოვლენებთან ერთად:

წვიმასთან “TSRA“, თოვლთან “TSSN“, ციხულის წვიმასთან “TSPL“, სეტყვასთან “TSGR“, ციხულის და/ან თოვლის მარცვლებთან “TSGS“ ან ამ ელემენტების ერთობლიობასთან, მაგ. “TSRASN“.იმ შემთხვევაში, თუ 10 წუთიანი პერიოდის განმავლობაში, რომელიც წინ უსწრებს დაკვირვების ვადას, წინ უსწრებს ქუხილი, მაგრამ ნალექი აეროდრომზე არ დაიკვირვება, შემოკლება “TS“ გამოიყენება დამატებითი აღნიშვნების გარეშე.

თქეში (თავსხმა) SH გამოიყენება თავსხმა წვიმის “SHRA“, თოვლის “SHSN“, ციხულის

წვიმის “SHPL“, სეტყვის “SHGR“, ციხულის და/ან თოვლის მარცვლების “SHGS“, და/ან ამ ელემენტების ერთობლიობის გადასაცემად მაგ. “SHRASN“. შეტყობინება METAR-ში თქეშის გადასაცემად, რომელიც დაიკვირვება აეროდრომის შემოგარენში, გამოიყენება “VC SH“ შემოკლება, ნალექების ტიპის და ინტენსივობის აღნიშვნის გარეშე.

გადაციებული ნალექები FZ გადაციებული წყლის წვეთები და ნალექები: გამოიყენება მხოლოდ შემოკლებებთან FG, DZ და RA მიწისპირა ქარბუქი BL გამოიყენება DU, SA ან SN (ქარბუქის ჩათვლით) გადასაცემად, რომლებიც ქარის მიერ აიტანება მიწისპირიდან 2 მეტრ (6 ფუტი) ან მეტ სიმაღლეზე

მიწისპირა ქარახვეტი DR გამოიყენება DU, SA ან SN (ქარბუქის ჩათვლით) გადასაცემად,

რომლებიც ქარის მიერ აიტანება მიწისპირიდან 2 მეტრზე (6 ფუტი)

ნაკლებ სიმაღლეზე

დაბალი MI 2 მეტრზე დაბლა მიწისპირიდან

კვლები BC ნისლის კვლები, ნაფლეთები, რომლებიც ფარავენ აეროდრომის

ცალკეულ ადგილებს



ნაწილობრივი PR აეროდრომის მნიშვნელოვანი ნაწილი დაფარულია ნისლით, ხოლო

დანარჩენ ნაწილზე ნისლი არ არის.

6. ადგილობრივ რეგულარულ და სპეციალურ შეტყობინებებში და შეტყობინება METAR-სა SPECI-ში მიმდინარე ამინდის მოვლენების შესაბამისი ინტენსივობა ან საჭიროების შემთხვევაში, სიახლოვე აეროდრომთან მითითებულია შემდეგნაირად:

ინტენსივობა/სიახლოვეადგილობრივი შეტყობინებები METAR

სუსტი FBL “-“

ზომიერი MOD (ნიშნის გარეშე)

ძლიერი HVY “+“

გამოიყენება მხოლოდ DZ, GR, GS, PL,SG

და SN-თან (ან აღნიშნული ამინდის

მოვლენების ერთობლიობასთან;ამ შემთხვევაში

მიეთითება მხოლოდ ზომიერი და ძლიერი

ხარისხის ინტენსივობა)

შემოგარენი არ გამოიყენება VC

დაახლოებით 8-დან-16 კმ-მდე აეროდრომის

საკონტროლო წერტილიდან; გამოიყენება

მხოლოდ შეტყობინება METAR-სა და SPECI-ში შემდეგ

მოვლენებთან: DS, SS, FG, FC,SH, PO, BLDU, BLSN,

აგრეთვე TS და VA-სთან, თუკი ისინი არ გადაიცემა

მიმდინარე ამინდის მოვლენის ფორმატში.

7. ადგილობრივ რეგულარულ და სპეციალურ შეტყობინებებში, ასევე შეტყობინება METAR-სა და SPECI-ში:

ა) გამოყენებულ უნდა იქნეს, აუცილებლობის მიხედვით, ერთი ან რამდენიმე, მაგრამ მაქსიმუმ სამი შემოკლებული აღნიშვნა მიმდინარე ამინდის მოვლენების იმ ჩამონათვალიდან, რომელიც მოცემულია ამ მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტებში, შესაბამის შემთხვევებში ინტენსივობისა და მახასიათებლების ან მოვლენის აეროდრომთან სიახლოვის მითითებით, იმისათვის, რომ მოხდეს სრული აღწერა მიმდინარე ამინდისა აეროდრომზე და მის შემოგარენშიც, რაც ზეგავლენას ახდენს ფრენების წარმოებაზე;

ბ)პირველ ყოვლისა, შესაბამის შემთხვევაში, უნდა მიეთითოს ინტენსივობა ან მოვლენის აეროდრომთან სიახლოვე, რის შემდეგ მიეთითება ამინდის მოვლენის მახასიათებლები და ტიპი შესაბამისად;

გ) იმ შემთხვევაში, როდესაც დაიკვირვება ორი სხვადასხვა ტიპის მოვლენა, ეს მოვლენები უნდა გადაიცეს ორი ცალკეული ჯგუფით, რომლებშიც ინტენსივობის ან აეროდრომთან სიახლოვის ინდექსი ეხება იმ მოვლენას, რომლის წინაც მიეთითება მოცემული ინდექსი. მაგრამ ნალექების სხვადასხვა ტიპები, რომლებსაც ადგილი აქვს დაკვირვების დროს, გადაცემული უნდა იქნეს ერთი ჯგუფით,



ამასთან, პირველად მიეთითება ნალექების ტიპი, რომელიც ჭარბობს, მას კი წინ უსწრებს მხოლოდ ინტენსივობის ინდექსი, რომელიც აღნიშნავს ნალექების ჯამურ ინტენსივობას.

8. თუ მიმდინარე ამინდი ვერ დაიკვირვება ავტომატური დაკვირვების სისტემით, მისი დროებითი მწყობრიდან გამოსვლის შემთხვევაში, ავტომატურ ადგილობრივ რეგულარულ და სპეციალურ შეტყობინებებში, აგრეთვე METAR-სა და SPECI-ში მიმდინარე ამინდის მოვლენები უნდა შეიცვალოს „/“-ით.

9. თუ ამ მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტებით გათვალისწინებული თქეში ნალექების განსაზღვრა შეუძლებელია იმ მეთოდის გამოყენებით, რომელიც ითვალისწინებს კონვექციური ღრუბლების არსებობას, ავტომატიზებულ ადგილობრივ რეგულარულ შეტყობინებებში, ადგილობრივ სპეციალურ შეტყობინებებსა და შეტყობინებებში METAR და SPECI ნალექები არ უნდა მიეთითოს თქემის სახით.

*საქართველოს მთავრობის 2016 წლის 11 თებერვლის დადგენილება №60 – ვებგვერდი, 15.02.2016წ.  
საქართველოს მთავრობის 2018 წლის 21 თებერვლის დადგენილება №97 – ვებგვერდი, 23.02.2018წ.*

## **მუხლი 82. ღრუბლიანობა**

1. თუ ღრუბლიანობის რაოდენობისა და ღრუბლის ქვედა საზღვრის სიმაღლის საზომად გამოიყენება ინსტრუმენტული სისტემები, დაკვირვების სიზუსტეს უნდა უზრუნველყოფდეს იმ ხელსაწყოების გამოყენება, რომლებიც განლაგებულია იკაოს 8896 დოკ-ის შესაბამისად. აეროდრომებისათვის, რომლებიც აღჭურვილია დასაფრენად ზუსტი შემოსვლისათვის, ხელსაწყოები ღრუბლიანობის რაოდენობასა და ღრუბლის ქვედა საზღვრის სიმაღლეზე დასაკვირვებლად, რომელთა მონაცემებიც გამოიყენება ადგილობრივი რეგულარული და სპეციალური შეტყობინებებისათვის, უნდა განლაგდეს ისე, რომ მიღებულ იქნეს ყველაზე ზუსტი მონაცემები ღრუბლიანობის რაოდენობისა და ღრუბლის ქვედა საზღვრის სიმაღლის შესახებ გამოყენებული ადზ-ის ზღურბლის მიმართ. ამ მიზნით, ხელსაწყო უნდა განთავსდეს 1200 მეტრზე (4000 ფუტი) ნაკლებ მანძილზე დასაფრენი ზღურბლის წინ.

2. იმ შემთხვევებში, როდესაც ღრუბლიანობის რაოდენობის და ღრუბლის ქვედა საზღვრის სიმაღლის საზომად გამოიყენება ინსტრუმენტული სისტემები, მონიტორები, რომლებზეც აისახება მონაცემები ღრუბლის ქვედა საზღვრის სიმაღლის შესახებ, განთავსდება მეტეოროლოგიურ სადგურზე, ხოლო დანარჩენი მონიტორები - სმმ-ის შესაბამისი ორგანოების განლაგების ადგილებში. მეტეოროლოგიურ სადგურსა და მმ-ს ორგანოებში დაყენებული მონიტორები მიერთებული უნდა იყოს ერთსა და იმავე საზომ ხელსაწყოებთან.

3. ღრუბლის ქვედა საზღვრის სიმაღლე, როგორც წესი მითითებულ უნდა იქნეს აეროდრომის შემადგენლის მიმართ. ასაფრენად ზუსტი შემოსავლისათვის აღჭურვილი ადზ-ის გამოყენებისას, რომლის ზღურბლის შემადგენლობა 15 მეტრით, (50 ფუტი) ან მეტით დაბალია აეროდრომის შემადგენლობაზე, მუშავდება ლოკალური შეთანხმება იმისათვის, რომ მომფრენი სხ-ებისათვის ღრუბელთა სიმაღლე მიეთითოს ადზ-ის ზღურბლის შემადგენლის მიმართ. ღია ზღვაში განლაგებული ნაგებობებიდან წამოდგენილ შეტყობინებებში ღრუბლების ქვედა საზღვრის სიმაღლე გადაიცემა ზღვის საშუალო დონესთან მიმართებით.

4. ადგილობრივ რეგულარულ და სპეციალურ შეტყობინებებში, ასევე შეტყობინება METAR-სა და SPECI-ში ღრუბლის ქვედა საზღვრის სიმაღლე მიეთითება 30 მეტრის სიდიდის სიზუსტით (100 ფუტი) 3000 მეტრამდე.

5. აეროდრომებზე, რომლებზეც გამოიყენება დასაფრენად შესვლის და დაფრენის სქემები, დაბალი ხილვადობის პირობებში ადგილობრივ რეგულარულ და სპეციალურ შეტყობინებებში ღრუბლის ქვედა საზღვრის სიმაღლის შესახებ მონაცემები გადაიცემა 15 მეტრი (50 ფუტი) სიდიდით 90მ-მდე (300 ფტ) ამ სიდიდის ჩათვლით 30 მეტრის (100 ფტ) სიდიდით 90 მეტრიდან (300 ფტ) 3000 მეტრამდე (10000 ფტ), ხოლო ვერტიკალური ხილვადობის პირობებში - 15 მეტრი (50 ფუტი) სიდიდით 90მ-მდე (300 ფტ) ამ სიდიდის ჩათვლით 30 მეტრის (100 ფტ) სიდიდით 90 მეტრიდან (300 ფტ) 600 მეტრამდე (2000 ფტ). ნებისმიერი სხვა სიდიდე, რომელიც ზუსტად ვერ ჯდება გამოყენებად ათვლის სკალაში, მრგვალდება სიმცირისკენ.

6. ადგილობრივ რეგულარულ და სპეციალურ შეტყობინებებში, ასევე შეტყობინება METAR-სა და SPECI-ში:



ა) ღრუბლების რაოდენობა მითითებულ უნდა იქნეს შემოკლებით “FEW” (1-2 ოქტანტი), „SCT“ (3-4 ოქტანტი), “BKN” (5-6 ოქტანტი) ან “OVC” (8 ოქტანტი);

ბ) გროვა-საწვიმარი და კომპისმაგვარი გროვა ღრუბლები მითითებულ უნდა იქნეს შემოკლებებით “CB” და “TCU”;

გ) ვერტიკალური ხილვადობა მითითებულ უნდა იქნეს 30 მეტრის (100 ფუტი) სიდიდის სიზუსტით 600 მეტრამდე (2000 ფუტი);

დ) თუ ფრენებისთვის მნიშვნელოვანი ღრუბლები არ არის და ვერტიკალური ხილვადობა შეუზღუდავია, ხოლო შემოკლება “CAVOK” ამინდის პირობების აღწერისათვის მიუღებელია, მაშინ მითითებულ უნდა იქნეს შემოკლება “NSC”;

ე) იმ შემთხვევებში როდესაც დაიკვირვება ღრუბელთა რამდენიმე ფენა ან ღრუბლები ცალკეული მასივების სახით, ღრუბელთა რაოდენობა და ქვედა საზღვრის სიმაღლე მითითებულია შემდეგი თანმიმდევრობით: 1) ყველაზე დაბალი ფენა ან მასივი, რაოდენობის მიუხედავად, მიეთითება შესაბამისად FEW, SCT, BKN, ან OVC; 2) შემდეგი ფენა ან მასივი, რომელიც ფარავს ცის თაღის 2/8-ზე მეტს, მიეთითება შესაბამისად SCT, BKN, ან OVC; 3) შემდეგი უფრო მაღალი ფენა ან მასივი, რომელიც ფარავს ცის თაღის 4/8-ზე მეტს, მიეთითება, როგორც, BKN ან OVC და 4) გროვა-საწვიმარი (CB) და/ან კომპისმაგვარი გროვა ღრუბლები (TCU), როდესაც ისინი დაიკვირვებიან, მაგრამ ასახული არ არიან ინფორმაციაში, რომელიც გათვალისწინებულია ზემოთ მოყვანილ 1)-3) ქვეპუნქტებში.

ვ) იმ შემთხვევაში, როდესაც ღრუბელთა ცალკეული ფენა (მასივი) შედგება გროვა-საწვიმარი და კომპისმაგვარი გროვა ღრუბლებისაგან საერთო ქვედა საზღვრით, შეტყობინებაში ღრუბლის ფორმა მიეთითება მხოლოდ როგორც გროვა-საწვიმარი;

ზ) როდესაც ღრუბლის ქვედა საზღვრის სიმაღლე ერთგვაროვანია ან დაფლეთილი ან მკვეთრად იცვლება, მიეთითება ღრუბლის ქვედა საზღვრის მინიმალური სიმაღლე.

#### 7. ადგილობრივ რეგულარულ და სპეციალურ შეტყობინებებში:

ა) მიეთითება საზომი ერთეულები, რომლებიც გამოიყენება ღრუბლების ქვედა საზღვრის სიმაღლის და ვერტიკალური ხილვადობის შესახებ მინაცემების წარსადგენად;

ბ) იმ შემთხვევებში, როდესაც გამოიყენება რამდენიმე ადზ და ღრუბლების ქვედა საზღვარზე დაკვირვებები წარმოებს ხელსაწყოების მეშვეობით, შეტყობინებებში მიეთითება ღრუბლების ქვედა საზღვრის სიმაღლე თითოეული ადზ-ისათვის და მიეთითება ის ადზ, რომელსაც ეკუთვნის ეს მონაცემები.

#### 8. ავტომატიზებულ ადგილობრივ რეგულარულ და სპეციალურ შეტყობინებებსა და METAR-სა და SPECI-ში:

ა) თუ ღრუბლის ტიპის დადგენა შეუძლებელია ავტომატური დაკვირვების სისტემის მეშვეობით, ღრუბლის ტიპი ყველა ღრუბლის ჯგუფში უნდა შეიცვალოს „///“-ით;

ბ) თუ დაკვირვების ავტომატური სისტემა არ აფიქსირებს ღრუბლებს, გამოიყენება შემოკლება „NCD“;

გ) თუ დაკვირვების ავტომატური სისტემის მიერ ხდება გროვა-საწვიმარი ან მაღალი გროვა ღრუბლის (კომპისმაგვარი) დაფიქსირება, ხოლო ღრუბლის რაოდენობა და ქვედა საზღვრის სიმაღლის დადგენა შეუძლებელია, ღრუბლის რაოდენობა და ქვედა საზღვრის სიმაღლე უნდა გადაიცეს „///“-ით;

დ) თუ ცის თაღი დაფარულია და დაკვირვების ავტომატური სისტემის მეშვეობით ვერტიკალური ხილვადობის დადგენა შეუძლებელია სისტემის/ხელსაწყოს დროებითი მწყობრიდან გამოსვლის გამო, ვერტიკალური ხილვადობის სიდიდე შეიცვლება „///“-ით.





### მუხლი 83. ჰაერის ტემპერატურა და ნამის წერტილის ტემპერატურა

1. იმ შემთხვევებში, როდესაც ჰაერის ტემპერატურის და ნამის წერტილის ტემპერატურის საზომად გამოიყენება ავტომატური სისტემები, მონიტორები, რომლებზეც აისახება მონაცემები ჰაერის ტემპერატურისა და ნამის წერტილის ტემპერატურის შესახებ, უნდა განთავსდეს მეტეოროლოგიურ სადგურზე, ხოლო დანარჩენი მონიტორები -სმმ-ის შესაბამისი ორგანოების განლაგების ადგილებში. მეტეოროლოგიურ სადგურსა და სმმ-ის ორგანოებში დაყენებული მონიტორები მიერთებული უნდა იყოს ერთსა და იმავე საზომ ხელსაწყოებთან.

2. ადგილობრივ რეგულარულ და სპეციალურ შეტყობინებებში, ასევე შეტყობინება METAR-სა და SPECI-ში მონაცემები ჰაერის ტემპერატურისა და ნამის წერტილის ტემპერატურის შესახებ გადაიცემა ცელსიუსის გრადუსის უახლოესი მთელი მნიშვნელობის სიზუსტით, ამასთან დაკავშირებული მნიშვნელობა  $0.5^{\circ}\text{C}$ -ის ჩათვლით მრგვალდება მატების მხარეს ცელსიუსის გრადუსის მთელ მნიშვნელობამდე.

3. ადგილობრივ რეგულარულ და სპეციალურ შეტყობინებებში, ასევე შეტყობინება METAR-სა და SPECI-ში მიეთითება ტემპერატურა  $0^{\circ}\text{C}$  ცელსიუსს ქვემოთ.

### მუხლი 84. ატმოსფერული წნევა

1. იმ შემთხვევებში, როდესაც ატმოსფერული წნევის საზომად გამოყენებულია ავტომატური ხელსაწყოები, QNH-ს და აუცილებლობის შემთხვევაში QFE-ს მონიტორები, რომლებიც დაკავშირებულია ბარომეტრებთან, უნდა განთავსდეს მეტეოროლოგიურ სადგურზე, ხოლო დანარჩენი მონიტორები -სმმ-ის შესაბამისი ორგანოების განლაგების ადგილებში. თუ QFE-ს გამოსახულება ეკუთვნის რამდენიმე ადზ-ის, მონიტორები მკაფიოდ მოინიშნება იმ ადზ-ის მითითებით, რომელსაც ეკუთვნის ამ QFE-ს გამოსახულება.

2. QFE-ს გამოთვლის დროს საწყის დონედ მიღებული უნდა იქნეს აეროდრომის შემადგენელი. ადზ-ზე, რომლებიც აღჭურვილნი არიან დასაფრენად არაზუსტი შემოსვლისათვის, რომელთა ზღურბლები მდებარეობენ 2მ-ით, (7ფტ) ან მეტით აეროდრომის შემადგენელზე, აგრეთვე ადზ-ები, რომლებიც აღჭურვილნი არიან დასაფრენად ზუსტი შემოსვლისათვის, QFE-ს სიდიდეების დროს, გამოთვლილი უნდა იქნეს შესაბამისი ზღურბლის შემადგენლის მიმართ.

3. ადგილობრივ რეგულარულ და სპეციალურ შეტყობინებებში, ასევე შეტყობინება METAR-სა და SPECI-ში მონაცემები QNH-ს შესახებ გამოითვლება ჰექტოპასკალის მეათედ ნაწილებში და გადაიცემა ჰექტოპასკალებში, დამრგვალებული უახლოესი ჰექტოპასკალის მცირე რიცხვამდე და მითითებულია ოთხი ციფრით. ნებისმიერი დაკვირვებადი მნიშვნელობა, რომელიც არ ჯდება გადაცემისათვის გამოყენებულ მონაცემთა სკალაში, მრგვალდება უახლოესი დაბალი მნიშვნელობის ჰექტოპასკალამდე.

4. ადგილობრივ რეგულარულ და სპეციალურ შეტყობინებებში:

ა) გადაიცემა ინფორმაცია QNH-ს შესახებ;

ბ) ინფორმაცია QFE-ს შესახებ გადაიცემა მომხმარებლის მოთხოვნის ან აეროდრომის მეტეოროლოგიურ ორგანოსა და სმმ-ის ორგანოებს და ექსპლუატანტებს შორის ლოკალური შეთანხმებით რეგულარულ საფუძველზე;

გ) გადაიცემა ინფორმაცია QNH-ს და QFE-ს მნიშვნელობებისათვის გამოყენებული საზომი ერთეულების შესახებ;

დ) თუ QFE-ს მნიშვნელობა აუცილებელია რამდენიმე ადზ-ისათვის, ჩართულ უნდა იქნეს მოთხოვნილი QFE-ს მნიშვნელობა და მითითებულ იქნეს ადზ-ები, რომლებსაც ეკუთვნის ეს მნიშვნელობა.

5. შეტყობინება METAR-სა და SPECI-ში გადაიცემა მხოლოდ QNH-ს მნიშვნელობა.



## მუხლი 85. დამატებითი ინფორმაცია

1. ადგილობრივ რეგულარულ და სპეციალურ შეტყობინებებში, ასევე შეტყობინება METAR-სა და SPECI-ში ჩართული უნდა იქნეს დამატებითი ინფორმაცია ქვემოთ ჩამოთვლილი მიმდინარე ამინდის მოვლენების შესახებ, რომელიც დაიკვირვებოდა აეროდრომზე უკანასკნელი რეგულარული შეტყობინების გამოცემის მომენტიდან, მაგრამ არა, დაკვირვების მომენტში. ამ შეტყობინებში შესაძლებელია გადაიცეს ინფორმაცია ახლახან დაკვირვებული ამინდის მოვლენების შესახებ, მაქსიმუმ სამი ჯგუფის გამოყენებით.

გროვა საწვიმარი ღრუბლებისა და ჭექა-ქუხილის, ზომიერი ან ძლიერი ტურბულენტობის ქარის წანაცვლების, სეტყვის, ძლიერი ქარტეხილის ხაზის, ზომიერი ან ძლიერი შემოყინვის, გადაციებული ნალექების, ძლიერი მთის ტალღების, ქვიშიანი ქარიშხლის, საერთო ქარბუქისა და ძაბრისმაგვარი ღრუბლების შესახებ ჩიკაგოს კონვენციის მე-3 დანართის “საერთაშორისო აერნაოსნობის მეტეოროლოგიური მომსახურება“ მე-2 ნაწილის (დამატებები და დანართები) A3-1 და A3-2 ცხრილების ნიმუშის შესაბამისად. იქ, სადაც პრაქტიკულად შესაძლებელია, ასეთი ინფორმაცია მოიცავს ცნობებს მოცემული მოვლენის ვერტიკალური გავრცელების, აგრეთვე გადაადგილების მიმართულების და სიჩქარის შესახებ.

**შენიშვნა:** იმ შემთხვევაში, თუ გამოცემულია SPECI, მეტეოროლოგიურ სამსახურს ექსპლუატანტებთან კონსულტაციის შედეგად შეუძლია, არ მიაწოდოს ინფორმაცია ბოლო შეტყობინებაში დაფიქსირებულ ამინდის მოვლენებთან დაკავშირებით.

2. METAR-სა და SPECI-ში დამატებითი ინფორმაციის სახით ჩართული უნდა იქნეს შემდეგი ინფორმაცია:

ა) ინფორმაცია ზღვის ზედაპირის ტემპერატურისა და ზღვის მდგომარეობის ან მნიშვნელოვანი ტალღების სიმაღლის შესახებ ღია ზღვის ნაგებობებზე არსებული საავიაციო მეტეოროლოგიური სადგურებიდან შვეულმფრენების ფრენების განხორციელების უზრუნველსაყოფად;

ბ) ადზ-ის მდგომარეობის შესახებ ცნობები, მიწოდებული აეროპორტის ოპერატორის მიერ.

**შენიშვნა:** ადზ-ის მდგომარეობის შესახებ სახელმძღვანელო მასალა მოცემულია მმო-ს დოკუმენტში 306-ში „სახელმძღვანელო კოდების შესახებ“ ტომი I, ნაწილი A „ციფრულ-ანბანური კოდები, ცხრილები N0366, N0519, N0919 და N1079“. („ბ“ ქვეპუნქტი ძალაშია 2021 წლის 4 ნოემბრამდე)

3. შეტყობინება METAR-სა და SPECI-ში, როდესაც ეს გამართლებულია ადგილობრივი პირობებით, გადაიცემა ინფორმაცია ქარის წანაცვლების შესახებ.

4. ავტომატურ ადგილობრივ რეგულარულ შეტყობინებებში, ადგილობრივ სპეციალურ შეტყობინებებში, METAR და SPECI შეტყობინებებში ამ წესის 81-ე მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ნალექების სახეობებთან ერთად უნდა გადაიცეს ნალექების გაურკვეველი სახეობები შემოკლებით – „UP“, თუ ავტომატიზებული დაკვირვების სისტემის მიერ ვერ ხერხდება ნალექების იდენტიფიცირება.

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 11 თებერვლის დადგენილება №60 – ვებგვერდი, 15.02.2016წ.  
საქართველოს მთავრობის 2018 წლის 21 თებერვლის დადგენილება №97 – ვებგვერდი, 23.02.2018წ.  
საქართველოს მთავრობის 2020 წლის 19 ოქტომბრის დადგენილება №633 – ვებგვერდი, 20.10.2020წ.

### თავი XIV

## ტექნიკური მოთხოვნები საჰაერო ხომალდის ბორტზე დაკვირვებისა და შეტყობინებების შესახებ

**მუხლი 86. რეგულარული შეტყობინება ბორტიდან, მონაცემთა გადამცემი ხაზის – „ჰაერი-მიწის“ მეშვეობით**

1. ავტომატური დამოკიდებული დაკვირვების სისტემის (ADS) ან “SSR mode S” -ის გამოყენებისას მონაცემთა გადამცემი ხაზის “ჰაერი-მიწის“ მეშვეობით, რეგულარული შეტყობინებები ბორტიდან უნდა შეიცავდეს შემდეგ ელემენტებს:



შეტყობინების ტიპის მაჩვენებელი;

საჰაერო ხომალდის ამომცნობი ინდექსი.

ა) მონაცემთა ბლოკი 1

გრძედი

განედი

დონე

დრო

ბ) მონაცემთა ბლოკი 2

ქარის მიმართულება

ქარის სიჩქარე

ქარზე მონაცემთა ხარისხის მაჩვენებელი

ჰაერის ტემპერატურა

ტურბულენტობა (მონაცემთა არსებობის შემთხვევაში)

ტენიანობა (მონაცემთა არსებობის შემთხვევაში).

2. როდესაც გამოიყენება გადამცემი ხაზი “ჰაერი-მიწა“, მანამ, სანამ “ADS“ და “SSR Mode S“ არ გამოიყენება, ბორტიდან რეგულარული შეტყობინებები უნდა შეიცავდეს შემდეგ ელემენტებს:

შეტყობინების ტიპის მაჩვენებელი

ა) ნაწილი 1 (ინფორმაცია ადგილმდებარეობის შესახებ)

საჰაერო ხომალდის ამომცნობი ინდექსი

ადგილმდებარეობა ან გრძედი და განედი

დრო

ეშელონი ან ფრენის აბსოლუტური სიმაღლე

შემდეგი ადგილმდებარეობა და გადაფრენის დრო

შემდეგი ძირითადი წერტილი

ბ) ნაწილი 2 (ოპერატიული ინფორმაცია)

გამოთვლილი მოფრენის დრო

გადაფრენის მაქსიმალური დრო

გ) ნაწილი 3 (მეტეოროლოგიური ინფორმაცია)

ჰაერის ტემპერატურა



ქარის მიმართულება

ქარის სიჩქარე

ტურბულენტობა

საჰარო ხომალდის შემოყინულობა

ტენიანობა (მონაცემთა არსებობის შემთხვევაში)

**მუხლი 87. სპეციალური შეტყობინება ბორტიდან, მონაცემთა გადამცემი ხაზის “ჰაერი-მიწის“ მეშვეობით**

მონაცემთა გადამცემი ხაზის “ჰაერი-მიწის“ გამოყენებისას, რეგულარული შეტყობინებები ბორტიდან უნდა შეიცავდეს შემდეგ ელემენტებს:

საჰარო ხომალდის ამომცნობი ინდექსი

ა) მონაცემთა ბლოკი 1

გრძედი

განედი

დონე

დრო

ბ) მონაცემთა ბლოკი 2

ქარის მიმართულება

ქარის სიჩქარე

ქარზე მონაცემთა ხარისხის მაჩვენებელი

ჰაერის ტემპერატურა

ტურბულენტობა (მონაცემთა არსებობის შემთხვევაში)

ტენიანობა (მონაცემთა არსებობის შემთხვევაში)

გ) მონაცემთა ბლოკი 3

პირობები, რომელთა შემთხვევაში აუღილებელია გადაიცეს სპეციალური შეტყობინება სხ-ის ბორტიდან (ერთ-ერთი პირობა ამოირჩევა იმ ჩამონათვალიდან, რომელიც მოცემულია ჩიკაგოს კონვენციის მე-3 დანართის “საერთაშორისო აერნაოსნობის მეტეოროლოგიური მომსახურება“ მე-2 ნაწილის (დამატებები და დანართები) A4-1 ცხრილის ნიმუშის მიხედვით)

**მუხლი 88. სპეციალური შეტყობინება სხ-ის ბორტიდან გადაცემული სამეტყველო კავშირის გამოყენებით**

სამეტყველო კავშირის გამოყენებისას სხ-ის ბორტიდან გადაცემული სპეციალური შეტყობინებები უნდა შეიცავდეს შემდეგ ელემენტებს:

შეტყობინების ტიპის მაჩვენებელი



ა) ნაწილი 1

საჰაერო ხომალდის ამომცნობი ინდექსი

ადგილმდებარეობა ან გრძედი და განედი

დრო

ეშელონი ან ფრენის აბსოლუტური სიმაღლე

ბ) ნაწილი 3 (მეტეოროლოგიური ინფორმაცია)

პირობები, რომელთა შემთხვევაში აუცილებელია გადაიცეს სპეციალური შეტყობინება სხ-ის ბორტიდან (ერთ-ერთი პირობა ამოიჩევა იმ ჩამონათვალიდან, რომელიც მოცემულია ჩიკაგოს კონვენციის მე-3 დანართის “საერთაშორისო აერნაოსნობის მეტეოროლოგიური მომსახურება“ მე-2 ნაწილის (დამატებები და დანართები) A4-1 ცხრილის ნიმუშის მიხედვით.

**მუხლი 89. შეტყობინებების გადაცემის კრიტერიუმები**

მონაცემთა გადამცემი ხაზის “ჰაერი-მიწა“ გამოყენებისას ინფორმაცია ქარის მიმართულების, სიჩქარის, ხარისხის მაჩვენებლის, ჰაერის ტემპერატურის, ტურბულენტობის და ტენიანობის შესახებ, რომელიც ჩართულია სხ-ის ბორტიდან შეტყობინებებში, გადაიცემა შემდეგი კრიტერიუმების შესაბამისად:

1. ქარის მიმართულება გადაიცემა ნამდვილ გრადუსებში, დამრგვალებული უახლოესი მთელის მნიშვნელობამდე.
2. ქარის სიჩქარე გადაიცემა მეტრ/წამებში ან კვანძებში, დამრგვალებული უახლოეს მ/წმ-მდე ან კვანძამდე. ქარის სიჩქარის საზომი ერთეული მიეთითება.
3. ქარის მონაცემთა შესახებ ხარისხის მაჩვენებელი გადაიცემა როგორც 0. როდესაც ფრენის კუთხე შეადგენს 5 გრადუსზე ნაკლებს და როგორც 1, როდესაც ფრენის კუთხე შეადგენს 5 გრადუსს ან მეტს.
4. ჰაერის ტემპერატურა გადაიცემა ცელსიუსის გრადუსის მეათედის სიზუსტით.
5. ინფორმაცია ტურბულენტობის შესახებ გადაიცემა ჭავლის ჩაქრობის სიჩქარის ერთეულში (EDR):

ა) რეგულარული შეტყობინებისას სხ-ის ბორტიდან ინფორმაცია ტურბულენტობის შესახებ გადაიცემა მარშრუტზე ფრენისას და ეხება 15-წუთიან პერიოდს, რომელიც უშუალოდ წინ უსწრებს დაკვირვებას. დაიკვირვება ტურბულენტობის საშუალო და მაქსიმალური მნიშვნელობები და აგრეთვე მაქსიმალური მნიშვნელობის მიღწევის დრო შემდეგი წუთის სიზუსტით. საშუალო და მაქსიმალური მნიშვნელობები გადაიცემა EDR-ის ერთეულში. მაქსიმალური მნიშვნელობის მიღწევის დრო გადაიცემა როგორც ეს ნაჩვენებია ჩიკაგოს კონვენციის მე-3 დანართის “საერთაშორისო აერნაოსნობის მეტეოროლოგიური მომსახურება“ მე-2 ნაწილის (დამატებები და დანართები) A4-2ცხრილის ნიმუშის მიხედვით. ინფორმაცია ტურბულენტობის შესახებ გადაიცემა სიმაღლის აკრეფის ეტაპზე ფრენის პირველ 10 წუთიან პერიოდში და ეხება 30-წამიან პერიოდს, რომელიც უშუალოდ წინ უსწრებს დაკვირვებას;

ბ) ტურბულენტობა ითვლება:

- ბ.ა) ძლიერად, როდესაც EDR-ის მაქსიმალური მნიშვნელობა უდრის ან აჭარბებს 0.45-ს;
- ბ.ბ) ზომიერად, როდესაც მაქსიმალური EDR-ის მნიშვნელობა უდრის ან აჭარბებს 0.20-ს და ნაკლებია ან ტოლია 0.45-ს;
- ბ.გ) სუსტად, როდესაც EDR-ის მაქსიმალური მნიშვნელობა აჭარბებს 0.10-ს და ნაკლებია ან ტოლია 0.20-ის;



ბ.დ) ნულოვანად, როდესაც EDR-ის მაქსიმალური მნიშვნელობა ნაკლებია ან უდრის 0.10-ს;

გ) სპეციალური შეტყობინება სხ-ის ბორტიდან ტურბულენტობის შესახებ გადაიცემა ფრენის ნებისმიერ ეტაპზე, როდესაც მაქსიმალური EDR-ის მნიშვნელობა აჭარბებს 0,20-ს. სპეციალური შეტყობინება სხ-დან ეხება ერთწუთიან პერიოდს, რომელიც უშუალოდ წინ უსწრებს დაკვირვებას. საშუალო და მაქსიმალური მნიშვნელობები გადაიცემა EDR-ის ერთეულში. სპეციალური შეტყობინება სხ-ის ბორტიდან გადაიცემა ყოველ 1 წუთში, მანამადე, სანამ EDR-ის მაქსიმალური მნიშვნელობა არ გახდება 0.20- ზე ნაკლები.

**შენიშვნა:** EDR წარმოადგენს საჰაერო ხომალდისაგან დამოუკიდებლად ტურბულენტობის საზომს. მიუხედავად ამისა, EDR-ის მნიშვნელობასა და ტურბულენტობის აღქმას შორის ურთიერთობა წარმოადგენს საჰაერო ხომალდის ტიპის, მასის, სიმაღლის, კონფიგურაციის და სიჩქარის ფუნქციას. ქვემოთ მოცემული EDR -ის მნიშვნელობა აღწერს სიმძიმეების დონეებს საშუალო მასის საჰაერო ტრანსპორტისა ფრენის ტიპიური პირობების დროს მარშრუტზე.

6. ინფორმაცია ჰაერის ტენიანობის შესახებ გადაიცემა შეფარდებითი ტენიანობის სახით და მრგვალდება უახლოეს მთელ პროცენტამდე.

*საქართველოს მთავრობის 2020 წლის 19 ოქტომბრის დადგენილება №633 – ვებგვერდი, 20.10.2020წ.*

### **მუხლი 90. სხ-იდან მიღებული შეტყობინებების გაცვლა**

1. მეტეოროლოგიური თვალთვალის ორგანო საჰაერო ხომალდიდან სამეტყველო კავშირის მეშვეობით მიღებულ სპეციალურ შეტყობინებას დაუყოვნებლივ გადასცემს ზმპც-სა და ცენტრებს, რომლებიც რეგიონალური სააერნაოსნო შეთანხმებით დანიშნულნი არიან ინტერნეტზე დამყარებული სააერნაოსნო ფიქსირებული მომსახურების ოპერირებისათვის.

2. მეტეოროლოგიური თვალთვალის ორგანო ბორტიდან მიღებულ შეტყობინებას ვულკანური მოქმედების შესახებ, რომელიც წინ უსწრებდა ამოფრქვევას, ვულკანური ამოფრქვევის ან ვულკანური ფერფლის ღრუბლის შესახებ დაუყოვნებლივ გადასცემს შესაბამის VAAC-ს.

3. იმ შემთხვევაში, როდესაც მეტეოროლოგიური თვალთვალის ორგანო ღებულობს სპეციალურ შეტყობინებას ბორტიდან, თუმცა სინოპტიკოსის აზრით, მოვლენა, რომლის მიზეზითაც გადმოიცა ეს შეტყობინება, არ იქნება მდგრადი და არ ითხოვს SIGMET-ის გამოცემას, მოცემული სპეციალური შეტყობინება ბორტიდან ეგზავნებათ SIGMET-ის დაგზავნის შესაბამისი წესით მეტეოროლოგიური თვალთვალის ორგანოებს, ზმპც-ებს და სხვა მეტეოროლოგიურ ორგანოებს რეგიონალური სააერნაოსნო შეთანხმების შესაბამისად.

4. ზმპც-ის მიერ მიღებული შეტყობინებები სხ-ის ბორტიდან შემდგომ ვრცელდება საწყისი მეტეოროლოგიური მონაცემების სახით.

5. ბორტიდან მიღებული შეტყობინებების გაცვლა წარმოებს იმ ფორმატით, რომელშიც ისინია მიღებული.

**შენიშვნა:** სხ-დან სპეციალური შეტყობინების ნიმუში, რომელიც გადაეცემა კავშირის ხაზით „მალა“ ჰაერში მყოფ საჰაერო ხომალდებს, მოცემულია ჩიკაგოს კონვენციის მე-3 დანართის „საერთაშორისო აერნაოსნობის მეტეოროლოგიური მომსახურების“ მე-2 ნაწილის (დამატებები და დანართები) მე-6 დამატების A6-1B ცხრილით.

*საქართველოს მთავრობის 2018 წლის 21 თებერვლის დადგენილება №97 – ვებგვერდი, 23.02.2018წ.*

### **მუხლი 91. მნიშვნელოვანი დებულებები ქარის წანაცვლების და ვულკანური ფერფლის ღრუბლის შესახებ გადაცემულ შეტყობინებებზე.**

1. სხ-ის ბორტიდან შეტყობინებებში ქარის წანაცვლების შესახებ, სიმაღლის აკრეფისა და დასაფრენად შესვლის ეტაპზე, უნდა მიეთითოს სხ-ის ტიპი.



2. იმ შემთხვევებში, როდესაც ფაქტობრივ ამინდში ან პროგნოზში მითითებულია ქარის წანაცვლების პირობების შესახებ სიმაღლის აკრეფისა და დასაფრენად შესვლის ეტაპზე, მაგრამ ფაქტობრივად მას ადგილი არ აქვს, სხ-ის მეთაურმა უნდა აცნობოს ამის შესახებ სმმ-ის შესაბამის ორგანოს უმოკლეს ვადებში, გარდა იმ შემთხვევისა, თუ სხ-ის მეთაურმა იცის, რომ ამის შესახებ სმმ ინფორმირებულია სხვა სხ-ის მიერ.

3. აეროდრომზე სხ-ის დაფრენის შემდეგ ვულკანური მოქმედების შესახებ შევსებული მეტეოინების ფორმა დაუყოვნებლივ გადაეცემათ ექსპლუატანტებს ან სფრენოსნო ეკიპაჟის წევრებს და აეროდრომის მეტეოროლოგიურ ორგანოს. თუ აეროდრომზე არ არის მეტეოროლოგიური ორგანო ან ის წარმოადგენს ძნელად მისაღწევს მომდრენი საფრენოსნო ეკიპაჟების წევრებისათვის, იქცევიან შევსებული ფორმის მიხედვით, როგორც ეს გათვალისწინებულია სრულუფლებიან მეტეოროლოგიურ ორგანოსა და ექსპლუატანტებს შორის ლოკალური შეთანხმებით.

4. აეროდრომის მეტეოროლოგიური სამსახურის მიერ ვულკანური მოქმედების შესახებ მიღებული მეტეოინების შევსებული ფორმა დაუყოვნებლივ გადაეცემა მეტეოროლოგიური თვალთვალის ორგანოს, რომელიც პასუხისმგებელია საფრენოსნო ინფორმაციის რაიონში მეტეოროლოგიურ მომსახურებაზე, რომელშიც დაფიქსირდა ვულკანური მოქმედება.

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 11 თებერვლის დადგენილება №60 – ვებგვერდი, 15.02.2016წ.

## თავი XV

### ტექნიკური მოთხოვნები, რომლებიც ეხება პროგნოზებს

#### მუხლი 92. TAF-ის ფორმატი

1. პროგნოზები TAF გამოიცემა ჩიკაგოს კონვენციის მე-3 დანართის – „საერთაშორისო აერნაოსნობის მეტეოროლოგიური მომსახურების“ მე-2 ნაწილის (დამატებები და დანართები) A5-1 ცხრილის ნიმუშის მიხედვით, ვრცელდება მსოფლიო მეტეოროლოგიური ორგანიზაციის მიერ გაწერილი კოდური ფორმით TAF.

**შენიშვნა:** კოდური ფორმა TAF მოცემულია მმო-ის 306-ე გამოცემაში „სახელმძღვანელო კოდების შესახებ“, პირველი ტომი, ნაწილი A – „ანბანურ-ციფრული კოდები“.

2. პროგნოზი TAF მეტეოსამსახურმა ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული კოდური ფორმატის გარდა უნდა გამოსცეს დამატებით ციფრული ფორმითაც.

[2. პროგნოზი TAF ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული კოდური ფორმატის გარდა, უნდა გავრცელდეს დამატებით IWXXM GML ფორმითაც“.

**შენიშვნა 1:** სახელმძღვანელო მასალა IWXXM -ის შესახებ მოცემულია მმო-ს დოკუმენტ 306-ში „სახელმძღვანელო კოდების შესახებ“ ტომი I,1 ნაწილი A „ციფრულ-ანბანური კოდები „სახელმძღვანელო მასალა IWXXM დანერგვის შესახებ მოცემულია იკაოს დოკ (10003) „იკაო-ს მეტეოროლოგიური ინფორმაციის გაცვლის (IWXXM ) მოდელის შესახებ სახელმძღვანელოში“.

**შენიშვნა 2:** TAF-ის გავრცელების პროცედურები გაწერილია იკაო-ს EUR Doc 018, „ევროპის რეგიონის ოპერატიული მეტეოროლოგიური მონაცემების მართვის სახელმძღვანელოში“.

**შენიშვნა 3:** სახელმძღვანელო მასალა ევროპის რეგიონში IWXXM დანერგვის და გაცვლის შესახებ მოცემულია იკაო-ს EUR Doc 33 „ევროპის რეგიონში IWXXM გამოყენებით ოპერატიული მეტეოროლოგიური მონაცემების გაცვლის სახელმძღვანელოში“. (ამოქმედდეს 2021 წლის 4 ნოემბრიდან)

3. (ამოღებულია - 19.10.2020, №633).

4. (ამოღებულია - 19.10.2020, №633).



### მუხლი 93. მეტეოროლოგიური ელემენტების შესახებ ინფორმაციის ჩართვა პროგნოზებში „TAF“

1. მიწისპირა ქარის პროგნოზებში ძირითადად მიეთითება ქარის უმეტესი მიმართულება. იმ შემთხვევებში, როდესაც არ არის საშუალება, ზუსტად განისაზღვროს მიწისპირა ქარის უმეტესი მიმართულება მის მოსალოდნელ ცვალებადობასთან დაკავშირებით, მაგალითად სუსტი ქარის პირობებში (1,5 მ/წმ-ზე 3 კვანძი ნაკლები) ან ჭექა-ქუხილის დროს, პროგნოზირებული ქარის სიჩქარე მიეთითება როგორც არამდგრადი მიმართულება შემოკლება “VRB“-ს საშუალებით. თუ პროგნოზირებული ქარის სიჩქარე 0,5 მ/წმ-ზე(1 კვანძი) ნაკლებია, მაშინ პროგნოზში მიეთითება “უქარო“. თუ პროგნოზირებული მაქსიმალური ქარის სიჩქარე (დაქროლვა) აჭარბებს პროგნოზირებულ ქარის საშუალო სიჩქარეს 5მ/წმ-ით (10 კვანძი) ან მეტით, პროგნოზში მიეთითება ქარის მაქსიმალურ სიჩქარე. თუ პროგნოზირებული ქარის სიჩქარე შეადგენს 100 კვანძს ან მეტს, ის მიეთითება, როგორც 49 მ/წმ-ზე(99კვანძზე) მეტი.

2. იმ შემთხვევებში, როდესაც პროგნოზის შესაბამისად ხილვადობა შეადგენს 800 მეტრზე ნაკლებს, ის მიეთითება 50 მეტრი სიდიდის სიზუსტით; თუ ხილვადობა შეადგენს 800 მეტრს ან მეტს, მაგრამ 5 კილომეტრზე ნაკლებს – მიეთითება 100 მეტრი სიდიდის სიზუსტით; ხილვადობისას 5 კილომეტრზე მეტს, მაგრამ 10 კილომეტრზე ნაკლებს–1 კილომეტრის სიდიდის სიზუსტით; ხილვადობისას 10 კილომეტრი ან მეტი მიეთითება, როგორც 10 კმ, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც პროგნოზირდება CAVOK-ის პირობები. პროგნოზირდება “უმეტესი“ ხილვადობა. იმ შემთხვევებში, როდესაც მოსალოდნელია ხილვადობის ცვალებადობა სხვადასხვა მიმართულებებით და “უმეტესი“ ხილვადობის პროგნოზირება შეუძლებელია, მიეთითება მინიმალური პროგნოზირებული ხილვადობა.

3. პროგნოზში მიეთითება ერთი ან რამდენიმე, მაგრამ არა უმეტეს სამი ქვემოთ ჩამოთვლილი ამინდის მოვლენა ან ამ მოვლენების ერთობლიობა, აგრეთვე მათი მახასიათებლები, საჭიროების შემთხვევაში ინტენსივობა:

ა) ყინულოვანი ნალექები;

ბ) ყინულოვანი ნისლი;

გ) ზომიერი ან ძლიერი ნალექები (თქემის ჩათვლით);

დ) მტვრის, ქვიშის ან თოვლის ქარახვეტი;

ე) მტვრის მიწისპირა ქარბუქი, ქვიშის მიწისპირა ქარბუქი ან საერთო ქარბუქი;

ვ) მტვრიანი ქარიშხალი;

ზ) ჭექა-ქუხილი(ნალექით ან უნალექოდ);

თ) ქარტეხილი;

ი) ძაბრისმაგვარი ღრუბელი;

კ) სხვა ამინდის მოვლენები, რომლებიც მითითებულია 81-ე მუხლის მე-6 პუნქტში, მეტეოროლოგიურ სამსახურს, სმმ-ის ორგანოსა და შესაბამის ექსპლუატანტებს შორის შეთანხმების საფუძველზე.

ამ მოვლენების მოსალოდნელი შეწყვეტა მიეთითება შემოკლება NSW-ს მეშვეობით.

4. პროგნოზში ღრუბლების რაოდენობა უნდა მიეთითოს შემოკლებების FEW, SCT, BKN ან OVC-ს შესაბამისი გამოყენებით. თუ პროგნოზში მითითებულია ღრუბლიანობის არარსებობა და შემოკლება CAVOK არ არის მისაღები, მიეთითება შემოკლება SKC. იმ შემთხვევებში, როდესაც მოსალოდნელია, რომ ცა დარჩება ან გახდება დახურული და ღრუბლიანობის პროგნოზირება შეუძლებელია, აგრეთვე არსებობს აეროდრომზე ვერტიკალური ხილვადობის შესახებ მონაცემები, პროგნოზში მიეთითება ვერტიკალური ხილვადობა VV-ს სახით, რომელსაც მოსდევს მისი პროგნოზირებული მნიშვნელობა. იმ





შემთხვევებში, როდესაც პროგნოზირებულია ღრუბელთა რამდენიმე ფენა ან მასივები, ღრუბლიანობის ქვედა საზღვრის სიმაღლე და რაოდენობა მიეთითება შემდეგი თანმიმდევრობით:

ა) ყველაზე დაბალი ფენა ან მასივი, რაოდენობის მიუხედავად, პროგნოზირებული, შესაბამისად როგორც FEW, SCT, BKN ან OVC;

ბ) შემდეგი ფენა ან მასივი, რომელიც ფარავს ცის თაღის 2/8-ზე მეტს და პროგნოზირებული, შესაბამისად როგორც SCT, BKN ან OVC;

გ) შემდეგი შედარებით მაღალი ფენა ან მასივი, რომელიც ფარავს ცის თაღის 4/8-ზე მეტს და პროგნოზირებული, შესაბამისად როგორც BKN ან OVC; და

დ) გროვა-საწვიმარი ღრუბლები, როდესაც ისინი პროგნოზირდება.

ინფორმაცია ღრუბლიანობის შესახებ შეზღუდულია ავიაციისათვის მნიშვნელოვანი მონაცემებით; პროგნოზირდება ავიაციისათვის მნიშვნელოვანი ღრუბლიანობა და როდესაც შემოკლება CAVOK არ არის მისაღები, მიეთითება შემოკლება NSC.

5. იმ შემთხვევაში, როდესაც რეგიონალური სააერონავიგაციო შეთანხმების საფუძველზე პროგნოზში ჩართულია პროგნოზირებული ტემპერატურა, მიეთითება TAF-ის მოქმედების პერიოდში მოსალოდნელი მაქსიმალური და მინიმალური ტემპერატურა, აგრეთვე მათი მიღწევის შესაბამისი დრო.

6. პროგნოზებში TAF-ი ცვლილებების ჯგუფის ჩასართავად ან მასში კორექტივების შეტანის კრიტერიუმები, დაფუძნებულია ნებისმიერი ქვემოთ ჩამოთვლილი ამინდის მოვლენების ან მათი ერთობლიობის პროგნოზირებად საწყისებზე ან დასასრულზე ან ინტენსივობის ცვლილებებზე:

ა) გადაციებული ნისლი;

ბ) გადაციებული ნალექები, ზომიერი ან ძლიერი;

გ) ელჭექი (ნალექებთან ერთად);

დ) მტვრის ქარიშხალი;

ე) ქვიშის ქარიშხალი;

ვ) ნალექები (მათ შორის, თქეში).

**შენიშვნა:** რეკომენდაციები ცვლილებების და დროის ჯგუფების გამოყენებასთან დაკავშირებით მოცემულია ჩიკაგოს კონვენციის მე-3 დანართის “საერთაშორისო აერონავიგაციის მეტეოროლოგიური მომსახურება” მე-2 ნაწილის (დამატებები და დანართები) A5-2 ცხრილში.

7. აეროდრომის პროგნოზში ცვლილების ჯგუფის ჩართვის ან კორექტივების შეტანის დროს გამოიყენება შემდეგი კრიტერიუმები:

ა) პროგნოზის შესაბამისად მიწისპირა ქარის საშუალო მიმართულება შეიცვლება 60 გრადუსით ან მეტით ქარის საშუალო სიჩქარისას D5 მ/წმ (10 კვანძი) ან მეტი ცვლილებამდე და/ან მის შემდეგ;

ბ) პროგნოზის შესაბამისად მიწისპირა ქარის საშუალო სიჩქარე შეიცვლება 5მ/წმ-ით (10 კვანძი) ან მეტით;

გ) პროგნოზის შესაბამისად, მიწისპირა ქარის საშუალო სიჩქარიდან გადახრა (დაქროლვა) შეიცვლება 5 მ/წმ-ით (10 კვანძი) ან მეტით საშუალო სიჩქარისას 7,5 მ/წმ (15 კვანძი) ან მეტ ცვლილებამდე და/ან მის შემდეგ;



დ) პროგნოზის მიხედვით ქარის ცვლილებები საექსპლუატაციო თვალსაზრისით გადააჭარბებს საყურადღებო მნიშვნელობებს; ზღვრული სიდიდეები დგინდება სრულუფლებიან მეტეოროლოგიურ ორგანოს მიერ სმმ-ის ორგანოსთან და დაინტერესებულ ექსპლუატანტებთან კონსულტაციით ქარის ცვლილების გათვალისწინებით, რომელიც:

დ.ა) მოითხოვს გამოყენებული ადზ-ის შეცვლას;

დ.ბ) მოწმობს იმას, რომ გვერდითი და ზურგქარის მდგენელების ცვლილება ადზ-ზე გადააჭარბებს მნიშვნელობას, რომლებიც წარმოადგენს ძირითად საექსპლუატაციო ზღვარს ტიპური საჰაერო ხომალდებისათვის, რომლებიც ახორციელებენ ფრენებს ამ აეროდრომზე;

ე) პროგნოზის მიხედვით ხილვადობა გაუმჯობესდება და მიაღწევს და/ან გადააჭარბებს ერთ ან რამდენიმე შემდეგ მნიშვნელობებს ან ხილვადობა გაუარესდება და გახდება ერთ ან რამდენიმე შემდეგ მნიშვნელობაზე ნაკლები:

ე.ა) 800, 1500 ან 3000მ;

ე.ბ) 5000 იმ შემთხვევაში, როდესაც ფრენების მნიშვნელოვანი რაოდენობა სრულდება ვიზუალური ფრენების წესებით

ვ) პროგნოზებით გათვალისწინებულია ნებისმიერი შემდეგი ამინდის მოვლენების ან მათი ერთობლიობის დაწყების ან ინტენსივობის ცვლილება:

ვ.ა) (ამოღებულია - 11.02.2016, №60);

ვ.ბ) (ამოღებულია - 11.02.2016, №60);

ვ.გ) ზომიერი ან ძლიერი ნალექები (თქეშის ჩათვლით);

ვ.დ) მტვრის, ქვიშის ან თოვლის ქარახვეტი;

ვ.ე) მტვრის მიწისპირა ქარბუქი, ქვიშის მიწისპირა ქარბუქი ან საერთო ქარბუქი;

ვ.ვ) მტვრიანი ქარიშხალი;

ვ.ზ) (ამოღებულია - 11.02.2016, №60);

ვ.თ) ქარტეხილი;

ვ.ი) ძაბრისმაგვარი ღრუბელი

ზ) პროგნოზების შესაბამისად BKN ან OVC ღრუბლების ქვედა ფენის საზღვრის სიმაღლე გაიზრდება და მიაღწევს ან გადააჭარბებს ერთ ან რამდენიმე შემდეგ მნიშვნელობებს ან BKN ან OVC ღრუბლების ქვედა ფენის ქვედა საზღვრის სიმაღლე შემცირდება და გახდება ნაკლები ერთ ან რამდენიმე შემდეგ მნიშვნელობებზე:

ზ.ა) 30,60,150 ან 300მ (100,200,500 ან 1000 ფუტი);

ზ.ბ) 450მ (1500 ფუტი)– იმ შემთხვევაში, როდესაც ფრენების მნიშვნელოვანი რაოდენობა სრულდება ვიზუალური ფრენების წესით;

თ) 450 მეტრზე (1500 ფუტი) დაბალ ფენაში ღრუბლების რაოდენობა შეიცვლება:

თ.ა) SKC, FEW ან SCT-დან BKN ან OVC-მდე; ან

თ.ბ) BKN ან OVC-დან SKC, FEW ან SCT-მდე;



ი) პროგნოზით მოსალოდნელია გროვა-საწვიმარი ღრუბლების განვითარება და/ან გაფანტვა;

კ) პროგნოზის მიხედვით ვერტიკალური ხილვადობა გაუმჯობესდება და მიაღწევს ან გადააჭარბებს ერთ ან რამდენიმე შემდეგ მნიშვნელობას ან ვერტიკალური ხილვადობა გაუარესდება და გახდება ნაკლები ერთ ან რამდენიმე შემდეგ მნიშვნელობებზე: 30,60,150 ან 300მ (100,200,500 ან 1000 ფუტი);

ლ) ნებისმიერი სხვა კრიტერიუმები, რომლებიც ემყარება მოცემული აეროდრომის საექსპლუატაციო მინიმუმებს და შეთანხმებულია აეროდრომის მეტეოროლოგიურ ორგანოსა და დაინტერესებულ ექსპლუატანტებს შორის.

**შენიშვნა:**, მოცემული აეროდრომის საექსპლუატაციო მინიმუმებზე დაფუძნებული, სხვა კრიტერიუმები, განხილულ უნდა იქნეს სპეციალური შეტყობინება SPECI-ს გამოცემისათვის 75-ე მუხლის მე-2 პუნქტში მითითებულ კრიტერიუმების ანალოგიურად.

8. იმ შემთხვევებში, როდესაც აუცილებელია ზემოთ ჩამოთვლილი ელემენტების ცვლილების მითითება, რომლებიც ჩამოთვლილია 38-ე მუხლის მე-3 პუნქტში, იმ კრიტერიუმებთან შესაბამისობაში, რომელიც მითითებულია ამ მუხლის მე-7 პუნქტში, გამოიყენება ცვლილებების ინდექსები "BECMG" და "TEMPO", რომელთა შემდეგ მოდის დროის პერიოდი, რომლის განმავლობაშიც მოსალოდნელია ცვლილება. პერიოდის დაწყება და დამთავრება მიეთითება სკდ-ის (UTC) მთელ საათებში. ცვლილების ინდექსის შემდეგ ჩართულია მხოლოდ ის ელემენტები, რომელთა მნიშვნელოვანი ცვლილებაც არის მოსალოდნელი, მაგრამ ღრუბლების მოსალოდნელი ცვლილების შემთხვევაში მითითებულია ღრუბლების ყველა ჯგუფი, ღრუბლების იმ ფენებისა და მასივების ჩათვლით, რომელთა ცვლილება მოსალოდნელი არა არის.

9. ცვლილების ინდექსი BECMG (შემოკლება becoming-სგან) და დროის პერიოდის შესაბამისი ჯგუფი გამოიყენება იმ ცვლილებების აღწერისათვის, რომელთა შედეგად მოსალოდნელია, რომ მეტეოროლოგიური პირობები მიაღწევს ან გადააჭარბებს დადგენილ ზღვრულ მნიშვნელობებს მუდმივი ან ცვალებადი სიჩქარით და გაურკვეველ მომენტში მოცემული პერიოდის განმავლობაში. დროის პერიოდი, როგორც წესი, არ უნდა აღემატებოდეს 2 საათს, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში, არ უნდა აჭარბებდეს 4 საათს.

10. ცვლილების ინდექსი TEMPO (შემოკლება temporary-სგან) და დროის პერიოდის შესაბამისი ჯგუფი გამოიყენება მეტეოროლოგიური პირობების დროში ხშირი ან არახშირი ცვლილებების დროს, რომლებიც მიაღწევს ან გადააჭარბებს დადგენილ ზღვრულ მნიშვნელობებს და ყოველ ცალკეულ შემთხვევაში გრძელდება 1 საათზე ნაკლები, მთლიანობაში კი – პროგნოზის პერიოდის ნახევარზე ნაკლები დროსა, რომლის განმავლობაშიც მოსალოდნელია ცვლილებები. იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ დროში ცვლილებების ხანგრძლივობა იქნება 1 საათი ან მეტი, მაშინ ამ მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად გამოიყენება ცვლილებების ჯგუფი BECMG ან დაიყოფა დროის შესაბამის პერიოდებად.

11. აუცილებლობის შემთხვევაში გადაიცემა პროგნოზირებული ელემენტების ალტერნატიული მნიშვნელობების ალბათობა, რისთვისაც გამოიყენება შემოკლება "PROB" ალბათობის ათეულ პროცენტებში და დროის პერიოდის მითითებით, რომლის განმავლობაშიც მოსალოდნელია ალტერნატიული მნიშვნელობები. ინფორმაცია ალბათობაზე ჩართულია პროგნოზირებული ელემენტის შემდეგ, რასაც მოსდევს ელემენტის ალტერნატიული მნიშვნელობა. აუცილებლობის შემთხვევაში გადაიცემა მეტეოროლოგიური პირობების დროითი ცვლილებების პროგნოზის ალბათობა, რისთვისაც გამოიყენება შემოკლება "PROB", რის შემდეგ მოდის ალბათობა ათეულ პროცენტებში, რომელიც ჩართულია ცვლილების ინდექსის "TEMPO"-ს წინ შესაბამისი დროის ჯგუფით. ალტერნატიული მნიშვნელობის ან ცვლილების ალბათობა 30%-ზე ნაკლები ითვლება უმნიშვნელოდ და იგი არ მიეთითება. ავიაციის შემთხვევაში ალტერნატიული მნიშვნელობის ალბათობა 50% და მეტი არ შეიძლება ჩაითვალოს ალბათობად და მის მაგიერ, აუცილებლობის შემთხვევაში, მიეთითება ცვლილების ინდექსი "BECMG" და "TEMPO"-ს გამოყენებით ან მოქმედების პერიოდის დაყოფით შემოკლება "FM"-ის ჩართვით. ალბათობის ჯგუფი არ გამოიყენება განმსაზღვრელი ელემენტის სახით ცვლილების ინდექსისათვის "BECMG" ან დროის ინდექსისათვის "FM".

12. იმ შემთხვევაში, როდესაც მოსალოდნელია მნიშვნელოვანი და მეტნაკლებად მთლიანი ცვლილება



ამინდის ერთი ან პრევალირებული ჯგუფისა მეორეთი, მოქმედების პერიოდი იყოფა დამოუკიდებელ პერიოდებად, შემოკლება "FM"-ის გამოყენებით, რის შემდეგ მოდის დროის ოთხციფრიანი ჯგუფი მთელ საათებსა და წუთებში (სკდ), რომელიც მიუთითებს მოსალოდნელი ცვლილების ვადას. შემოკლება "FM"-ის შემდეგ გამოყოფილი პერიოდი წარმოადგენს დამოუკიდებელ ელემენტს და ამ შემოკლების შემდეგ მითითებული პირობები ცვლიან ყველა პროგნოზირებულ პირობებს, რომლებიც წინ უსწრებენ ამ შემოკლებას.

13. ცვლილებების და ალბათობის ჯგუფის რაოდენობა მინიმუმამდე უნდა იქნეს დაყვანილი და, როგორც წესი, ისინი არ უნდა აჭარბებდნენ ხუთს.

*საქართველოს მთავრობის 2016 წლის 11 თებერვლის დადგენილება №60 – ვებგვერდი, 15.02.2016წ.*

### **მუხლი 94. პროგნოზები TAF-ის გავრცელება**

პროგნოზები TAF და მათი კორექტივები ეგზავნება მონაცემთა საერთაშორისო ბანკებს (OPMET ) და ცენტრებს, რომლებიც რეგიონალური სააერნაოსნო შეთანხმებით დანიშნულნი არიან ინტერნეტზე დამყარებული სააერნაოსნო ფიქსირებული მომსახურების ოპერირებისათვის რეგიონალური სააერნაოსნო შეთანხმების საფუძველზე.

*საქართველოს მთავრობის 2018 წლის 21 თებერვლის დადგენილება №97 – ვებგვერდი, 23.02.2018წ.*

### **მუხლი 95. „TREND“-ის ტიპის პროგნოზის კრიტერიუმები**

1. „TREND“-ის ტიპის პროგნოზები გამოიცემა ჩიკაგოს კონვენციის მე-3 დანართის „საერთაშორისო აერნაოსნობის მეტეოროლოგიური მომსახურება“ მე-2 ნაწილის (დამატებები და დანართები) A3-1 და A3-2 ცხრილების ნიმუშების მიხედვით. „TREND“-ის ტიპის პროგნოზებში გამოიყენება ის ერთეულები და შკალები ანალოგიური რაც იმ შეტყობინებაში, რომელსაც ის თან ერთვის.

2. “TREND“-ის ტიპის პროგნოზში მიეთითება მნიშვნელოვანი ცვლილებები ერთი ან რამდენიმე შემდეგი ელემენტისა: მიწისპირა ქარის, ხილვადობის, ამინდისა და ღრუბლების. ჩართულია მხოლოდ ის ელემენტები, რომლებიც, როგორც მოსალოდნელია, მნიშვნელოვნად შეიცვლება. მაგრამ ღრუბლების მოსალოდნელი ცვლილების შემთხვევაში მითითებულია ღრუბლების ყველა ჯგუფი, ღრუბლების იმ ფენებისა და მასივების ჩათვლით, რომელთა ცვლილება მოსალოდნელი არ არის. ხილვადობის მნიშვნელოვანი ცვლილების დროს, აგრეთვე, მიეთითება მოვლენა, რომელმაც გამოიწვია ხილვადობის შემცირება. თუ არავითარი ცვლილება მოსალოდნელი არ არის, ამის შესახებ მიეთითება ტერმინით “NOSIG“.

3. „TREND“-ის ტიპის პროგნოზში დაფრენისათვის მიეთითება მიწისპირა ქარის ცვლილება, რომლებსაც თან ახლავს:

ა) მიწისპირა ქარის საშუალო მიმართულების ცვლილება 60 გრადუსით ან მეტით, როდესაც ქარის საშუალო სიჩქარე ცვლილებამდე და/ან მის შემდეგ შეადგენს 5მ/წმ-ს (10 კვანძი) ან მეტს;

ბ) მიწისპირა ქარის საშუალო სიჩქარის ცვლილება 5 მ/წმ-ით(10 კვანძი) ან მეტით;

გ) ქარის ცვლილებები, რომლებიც აჭარბებენ საექსპლუატაციო თვალსაზრისით საყურადღებო მნიშვნელობებს; ზღვრული სიდიდეები დგინდება სრულუფლებიან მეტეოროლოგიურ ორგანოს მიერ სმმ-ის ორგანოსა და დაინტერესებულ ექსპლუატანტებთან კონსულტაციით ქარის ცვლილების გათვალისწინებით, რომლებიც:

გ.ა) მოითხოვენ მოქმედი ადზ-ის (კურსის) შეცვლას;

გ.ბ) მოწმობენ იმას, რომ გვერდითი და ზურგქარის მდგენელების ცვლილებებმა ადზ-ზე გადააჭარბეს მნიშვნელობას, რომელიც წარმოადგენენ ძირითად საექსპლუატაციო ზღვარს ტიპური საჰაერო ხომალდებისათვის, რომლებიც ახორციელებენ ფრენებს ამ აეროდრომზე.

4. იმ შემთხვევებში, როდესაც მოსალოდნელია, რომ ხილვადობა გაუმჯობესდება და მიაღწევს და/ან



გადააჭარბებს ერთ ან რამდენიმე შემდეგ მნიშვნელობებს ან ხილვადობა გაუარესდება და გახდება ნაკლები ერთ ან რამდენიმე შემდეგ მნიშვნელობაზე:

150,350,600,800,1500 ან 3000მ, მაშინ დაფრენისათვის პროგნოზის ტრენდულ ნაწილში მიეთითება ასეთი ცვლილება.

იმ შემთხვევაში, როდესაც ფრენების მნიშვნელოვანი რაოდენობა სრულდება ვიზუალური ფრენების წესებით, პროგნოზში დამატებით მიეთითება ცვლილება მაშინ, როდესაც ხილვადობა აღწევს ან აჭარბებს 5000მ-ს.

**შენიშვნა:** „TREND“-ის ტიპის პროგნოზში, რომელიც თან ერთვის ადგილობრივ რეგულარულ და სპეციალურ შეტყობინებებს ხილვადობა შეესაბამება ადზ-ის გასწვრივ პროგნოზირებულ ხილვადობას; „TREND“-ის ტიპის პროგნოზში რომელიც თან ერთვის METAR და SPECI-ს, ხილვადობა შეესაბამება პროგნოზირებულ უმეტეს ხილვადობას.

5. „TREND“-ის ტიპის პროგნოზში მიეთითება მოსალოდნელი დაწყება, დამთავრება ან ინტენსივობის ცვლილება ერთი ან რამდენიმე (მაქსიმუმ სამი) შემდეგი ამინდის მოვლენისა ან მათი ერთობლიობის:

ა) ყინულოვანი ნალექები;

ბ) ყინულოვანი ნისლი;

გ) ზომიერი ან ძლიერი ნალექები (თქემის ჩათვლით);

დ) მტვრის, ქვიშის ან თოვლის ქარაბუქი;

ე) მტვრის მიწისპირა ქარბუქი, ქვიშის მიწისპირა ქარბუქი ან საერთო ქარბუქი;

ვ) მტვრიანი ქარიშხალი;

ზ) ჭექა-ქუხილი(ნალექით ან უნალექოდ);

თ) ქარტყილი;

ი) ძაბრისმაგვარი ღრუბელი (ტორნადო ან ქარბორბალა);

კ) სხვა ამინდის მოვლენები, რომლებიც მითითებულია 81-ე მუხლის მე-4 პუნქტში, აეროდრომის მეტეოროლოგიურ ორგანოსა და სმმ-ის ორგანოსა და შესაბამის ექსპლუატანტებს შორის შთანხმების საფუძველზე ამ მოვლენების მოსალოდნელი შეწყვეტა მიეთითება შემოკლება „NSW“-ს გამოყენებით.

6. იმ შემთხვევებში, როდესაც მოსალოდნელია, რომ BKN ან OVC რაოდენობის ღრუბლების ქვედა საზღვრის სიმაღლე მოიმატებს და მიაღწევს ან გადააჭარბებს ერთ ან რამდენიმე შემდეგ მნიშვნელობას ან როდესაც მოსალოდნელია BKN ან OVC რაოდენობის ღრუბლების ქვედა საზღვრის სიმაღლე შემცირდება და გახდება ნაკლები ერთ ან რამდენიმე შემდეგ მნიშვნელობებზე: 30,60,150,300, და 450 მ (100, 200, 500, 1000, და 1500 ფუტი), „TREND“-ის ტიპის პროგნოზში ასეთი ცვლილება მიეთითება. ამ შემთხვევაში, როდესაც ღრუბლის ქვედა საზღვრის სიმაღლე 450 მეტრზე (1500 ფუტი) ნაკლებია, აგრეთვე, მოსალოდნელია, რომ იგი კიდევ შემცირდება ან მოიმატებს, „TREND“-ის ტიპის პროგნოზში დაფრენისათვის მიეთითება ღრუბლების რაოდენობის ცვლილება მატების მხარეს „SKC“, „FEW“ ან SCT-დან „BKN“ ან „OVC“-მდე ან ცვლილება შემცირების მხარეს „BKN“ ან „OVC“-დან „SKC“, „FEW“ ან SCT-მდე. თუ პროგნოზირდება ღრუბლების არყოფნა 1500 მეტრზე ან სექტორში უმაღლეს მინიმალურ აბსოლუტურ სიმაღლეზე დაბლა, იმის და მიხედვით, თუ რომელია მეტი, ხოლო შემოკლება „CAVOK“ და „SKC“ ამინდის პირობების აღწერისათვის არ გამოდგებიან, მაშინ გამოიყენება შემოკლება „NSC“.

7. იმ შემთხვევაში, როდესაც მოსალოდნელია, რომ ცის თალი დარჩება დაბინდული; ან დაიბინდება და აეროდრომზე არის ვერტიკალურ ხილვადობაზე დაკვირვების მონაცემები და როდესაც პროგნოზის მიხედვით ვერტიკალური ხილვადობა გაუმჯობესდება და მიაღწევს ან გადააჭარბებს ერთ ან რამდენიმე შემდეგ მნიშვნელობას; ან როდესაც პროგნოზის მიხედვით ვერტიკალური ხილვადობა



გაუარესდება და მიაღწევს ან გადააჭარბებს რამდენიმე შემდეგ მნიშვნელობას; ან როდესაც პროგნოზის მიხედვით ვერტიკალური ხილვადობა გაუარესდება და გახდება ნაკლები ერთ ან რამდენიმე შემდეგ მნიშვნელობაზე: 30, 60,150 ან 300მ (100,200 500 ან 1000 ფუტი), „TREND“-ის ტიპის პროგნოზში დაფრენისათვის მიეთითება ასეთი ცვლილება.

8. აეროდრომის ადგილობრივი საექსპლუატაციო მინიმუმების გათვალისწინებით, გარდა ამ მუხლის მე-3, მე-8 პუნქტებში ჩამოთვლილი კრიტერიუმებისა, გამოიყენება აეროდრომის მეტეოროლოგიურ ორგანოსა და შესაბამის ექსპლუატანტს შორის დადებული შეთანხმებით მიღებული კრიტერიუმები.

9. იმ შემთხვევებში, როდესაც მოსალოდნელია ელემენტების ცვლილება, შეტყობინების ტრენდული ნაწილი იწყება ერთი ან რომელიმე ცვლილების ინდექსით: „BECMG“ ან „TEMPO“.

10. ცვლილებების ინდექსი “BECMG” გამოიყენება პროგნოზირებული ცვლილებების აღწერისათვის, როდესაც, როგორც მოსალოდნელია, მეტეოროლოგიური პირობები მიაღწევენ ან გადააჭარბებენ დადგენილ მნიშვნელობებს მუდმივი ან ცვალებადი სიჩქარით. პერიოდი, რომლის განმავლობაშიც ან ვადა, როდესაც მოსალოდნელია ცვლილება, მიეთითება შესაბამისად შემოკლებების გამოყენებით “FM”, “TL” ან “AT”, შემდგომ კი მოდის დროის ჯგუფი საათებში. იმ შემთხვევებში, როდესაც პროგნოზირდება, რომ ცვლილება დაიწყება და მთლიანად დასრულდება „TREND“-ის ტიპის პროგნოზის მოქმედების განმავლობაში, ცვლილების დაწყება და დამთავრება მიეთითება შესაბამისად “FM” და “TL” შემოკლებების გამოყენებით, შესაბამისი დროის ჯგუფებით. იმ შემთხვევაში, როდესაც პროგნოზირდება, რომ ცვლილება დაიწყება “TREND“-ის ტიპის პროგნოზის პერიოდის დასაწყისში, მაგრამ დასრულდება ამ პერიოდის დამთავრებამდე, შემოკლება “FM” შესაბამისი დროის ჯგუფით გამოიტოვება და გამოიყენება მხოლოდ შემოკლება “TL” შესაბამისი დროის ჯგუფით. იმ შემთხვევებში, როდესაც პროგნოზირდება, რომ ცვლილება დაიწყება “TREND“-ის ტიპის პროგნოზის პერიოდის განმავლობაში დასრულდება ამ პერიოდის ბოლოს, შესაბამისი დროის ჯგუფით გამოიტოვება და გამოიყენება მხოლოდ შემოკლება “FM” შესაბამისი დროის ჯგუფით. თუ პროგნოზირდება, რომ ცვლილება მოხდება “TREND“-ის ტიპის პროგნოზის პერიოდის განმავლობაში გარკვეულ დროს, მაშინ გამოიყენება შემოკლება “TL” დროის შესაბამისი ჯგუფით. იმ შემთხვევებში, როდესაც პროგნოზირდება, რომ ცვლილება დაიწყება „TREND“-ის ტიპის პროგნოზის პერიოდის დასაწყისში და დამთავრდება ამ პერიოდის ბოლოს ან როდესაც პროგნოზირდება, რომ ცვლილება მოხდება “TREND“-ის ტიპის პროგნოზის პერიოდში, ხოლო ცვლილების დრო უცნობია, მაშინ შემოკლებები “FM”, “TL” ან “AT” შესაბამისი დროის ჯგუფებით გამოიტოვება და გამოიყენება მხოლოდ ცვლილების ინდექსი “BECMG”.

11. ცვლილებების ინდექსი “TEMPO” გამოიყენება პროგნოზირებული მეტეოროლოგიური პირობების დროში ცვლილებების აღწერისათვის, რომლებიც აღწევენ ან აჭარბებენ დადგენილ მნიშვნელობებს და ყოველ ცალკეულ შემთხვევაში შენარჩუნებული იქნებიან 1 საათის განმავლობაში, მთლიანობაში კი – პერიოდის ნახევარზე ნაკლები, რომლის განმავლობაშიც პროგნოზირდება ცვლილება. პერიოდი, რომლის განმავლობაშიც პროგნოზირდება დროებითი ცვლილებები, მიეთითება შემოკლებების და წუთებში “FM” და/ან “TL” გამოყენებით, რომელთა შემდეგ მოდის დროის ჯგუფი საათებში და წუთებში. იმ შემთხვევებში, როდესაც პროგნოზირდება, რომ მეტეოროლოგიური პირობების დროითი ცვლილებები დაიწყება და მთლიანად დასრულდება “TREND“-ის ტიპის პროგნოზის პერიოდის განმავლობაში, მაშინ მიეთითება დაწყება და დასრულება დროითი ცვლილებების პერიოდის შემოკლებების გამოყენებით “FM” და “TL” შესაბამისი დროის ჯგუფებით. იმ შემთხვევებში, როდესაც, პროგნოზირდება, რომ დროითი ცვლილებების პერიოდი დაიწყება “TREND“-ის ტიპის პროგნოზის პერიოდის დასაწყისში, მაგრამ დამთავრდება ამ პერიოდის დასრულებამდე, შემოკლება “FM” დროის შესაბამისი ჯგუფით გამოიტოვება და გამოიყენება შემოკლება “TL” შესაბამისი დროის ჯგუფით. იმ შემთხვევებში, როდესაც მოსალოდნელია, რომ დროითი ცვლილებების პერიოდი დაიწყება “TREND“-ის ტიპის პროგნოზის პერიოდის ბოლოს, შემოკლება “TL” შესაბამისი დროის ჯგუფით გამოიტოვება და გამოიყენება მხოლოდ შემოკლება “FM” შესაბამისი დროის ჯგუფით. თუ მოსალოდნელია, რომ დროითი ცვლილებების პერიოდი დაიწყება “TREND“-ის ტიპის პროგნოზის დასაწყისში და დასრულდება ამ პერიოდის ბოლოს, ორივე შემოკლება “FM” და “TL” შესაბამისი დროითი ჯგუფებით გამოიტოვება და გამოიყენება მხოლოდ ცვლილების ინდექსი “TEMPO”.

12. ნიშანი “PROB” “TREND“-ის ტიპის პროგნოზში არ გამოიყენება.

## მუხლი 96. პროგნოზები აფრენისათვის



1. პროგნოზის ფორმატი უნდა განისაზღვროს აეროდრომის მეტეოროლოგიურ ორგანოსა და შესაბამის ექსპლუატანტებს შორის შეთანხმების საფუძველზე. ელემენტების თანმიმდევრობა, ტერმინოლოგია, ერთეულები და შკალა, რომლებიც გამოიყენება აფრენისათვის პროგნოზებში, უნდა იყოს ამ აეროდრომისათვის გამოცემული შეტყობინებების კომპონენტების ანალოგიური.

2. აფრენის პროგნოზის კორექტივების გამოცემის კრიტერიუმები მიწისპირა ქარის სიჩქარესა და მიმართულებაზე, ტემპერატურაზე, წნევაზე და სხვა ნებისმიერ ელემენტზე შეთანხმებულს ადგილობრივ დონეზე, უნდა განისაზღვროს აეროდრომის მეტეოროლოგიურ ორგანოსა და შესაბამის ექსპლუატანტს შორის შეთანხმების საფუძველზე. ეს კრიტერიუმები უნდა შეესაბამებოდეს აეროდრომისათვის დადგენილ სპეციალური შეტყობინებების გამოცემის კრიტერიუმებს ამ წესის 75-ე მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად.

## **მუხლი 97. დაბალ სიმაღლეებზე ფრენის ზონალური პროგნოზები GAMET**

1. ზონალური პროგნოზების GAMET-ის მომზადებისას ისინი შეიცავს ორ ნაწილს: 1 ნაწილი, რომელიც შეიცავს მონაცემებს მარშრუტზე იმ ამინდის მოვლენების შესახებ, რომლებიც წარმოადგენს საშიშროებას დაბალ სიმაღლეებზე ფრენებისას, რომელიც გამოიყენება ინფორმაცია AIRMET-ის გამოსაცემად, და მე-2 ნაწილი, რომელიც შეიცავს დამატებით აუცილებელ ინფორმაციას დაბალ სიმაღლეებზე ფრენებისას. ზონალური პროგნოზების, ფორმატში GAMET-ი შინაარსი, ელემენტების თანმიმდევრობა შეესაბამება ნიმუშს, რომელიც მოცემულია ჩიკაგოს კონვენციის მე-3 დანართის “საერთაშორისო აერნაოსნობის მეტეოროლოგიური მომსახურება“ მე-2 ნაწილის (დამატებები და დანართები) A5-3 ცხრილის მიხედვით. მეორე ნაწილში დამატებითი ელემენტები უნდა ჩაერთოს რეგიონალური სააერნაოსნო შეთანხმების საფუძველზე. ელემენტები, რომლებიც უკვე ჩართულია შეტყობინება SIGMET-ში, აღარ ჩაერთვება ზონალურ პროგნოზ GAMET-ში.

2. იმ შემთხვევებში, როდესაც ზონალურ პროგნოზ GAMET-ში ჩართული ამინდის მოვლენა, რომელიც წარმოადგენდა საშიშროებას დაბალ სიმაღლეზე ფრენებისას და პროგნოზირებული მოვლენა არ წარმოიშვა ან აღარ პროგნოზირდება, გამოიცემა GAMET-ის AMD ცვლილება, რომელშიც იცვლება, მხოლოდ შესაბამისი მეტეოროლოგიური ელემენტი.

**შენიშვნა:** ინფორმაცია AIRMET-ის გამოცემის მოთხოვნები მოცემულია ამ წესის XVI თავში.

3. ზონალური პროგნოზების მომზადებისას დაბალ სიმაღლეებზე ფრენებისათვის რუკების სახით ქარის და ტემპერატურის პროგნოზის გამოიცემა პუნქტებისათვის, რომლებიც ერთმანეთისგან დაშორებული არიან არა უმეტეს 500 კმ-ის (300 მილი), და შემდეგი აბსოლუტური სიმაღლეებისათვის: 600, 1500 და 3000 მეტრი (2000, 5000, და 10000 ფუტი) და 4500 მეტრი (15000 ფუტი) მთიანი რაიონებისათვის.

4. ზონალური პროგნოზების მომზადებისას დაბალ სიმაღლეებზე ფრენებისათვის რუკების სახით მოვლენების SIGWX პროგნოზის შესახებ გამოიცემა SIGWX პროგნოზის სახით დაბალ სიმაღლეებზე ფრენის ეშელონისათვის ეშელონ 100-მდე (ან ფრენის ეშელონ 150-მდე მთიან რაიონებში ან უფრო მაღლი ეშელონებისათვის აუცილებლობის შემთხვევაში). SIGWX პროგნოზებში დაბალ სიმაღლეებზე ჩართულია შემდეგი პუნქტები:

ა) მოვლენა, რომელიც მოითხოვს ინფორმაცია SIGWX-ს გამოცემას XVI თავის მიხედვით, რომელიც სავარაუდოდ მოახდენს გავლენას დაბალ სიმაღლეზე ფრენებზე;

ბ) ზონალური პროგნოზების ელემენტები დაბალ სიმაღლეზე ფრენებისათვის, რომლებიც მითითებულია ჩიკაგოს კონვენციის მე-3 დანართის “საერთაშორისო აერნაოსნობის მეტეოროლოგიური მომსახურება“ მე-2 ნაწილის (დამატებები და დანართები) A5-3 ცხრილში, გარდა ამ ელემენტებისა;

ბ.ა) სიმაღლეებზე ქარის და ტემპერატურის და;

ბ.ბ) QNH-ის პროგნოზირებულ მნიშვნელობას.

5. თუ დაბალ სიმაღლეებზე ფრენის პროგნოზებისათვის გამოიყენება რუკები, პროგნოზები SIGWX



მოვლენების შესახებ გამოიცემა დაბალ სიმაღლეებზე ფრენის ეშელონებისათვის 100 (ან 150 მითან რეგიონში, ან, აუცილებლობის შემთხვევაში, უფრო მაღალი ეშელონებისთვისაც) SIGWX პროგნოზის სახით.

6. დაბალ სიმაღლეებზე ფრენებისათვის ზონალური პროგნოზების გაცვლა, AIRMET-ის გამოსაცემად უნდა ხორციელდებოდეს აეროდრომის მეტეოროლოგიურ სამსახურს და/ან მეტეოროლოგიური თვალთვალის ორგანოებს შორის, რომლებიც პასუხისმგებლები არიან დაბალ სიმაღლეებზე ფრენებისათვის საფრენოსნო დოკუმენტაციის გამოცემაზე შესაბამის საფრენოსნო ინფორმაციის რაიონში.

7. საერთაშორისო აერნაოსნობისათვის დაბალ სიმაღლეებზე ფრენის ზონალური პროგნოზები, რომლებიც მომზადებულია რეგიონული სააერნაოსნო შეთანხმების შესაბამისად და განკუთვნილია AIRMET-ის გამოსაცემად უნდა გადაიცეს სააერნაოსნო ფიქსირებული მომსახურების (AFS) ფარგლებში ინტერნეტსერვისის გამოყენებით.

*საქართველოს მთავრობის 2016 წლის 11 თებერვლის დადგენილება №60 – ვებგვერდი, 15.02.2016წ.  
საქართველოს მთავრობის 2020 წლის 19 ოქტომბრის დადგენილება №633 – ვებგვერდი, 20.10.2020წ.*

## თავი XVI

### ტექნიკური მოთხოვნები, რომლებიც ეხება ინფორმაცია SIGMET-ს და AIRMET-ს, გაფრთხილება აეროდრომებისათვის და გაფრთხილება ქარის წანაცვლების შესახებ

#### მუხლი 98. შეტყობინება SIGMET

1. შეტყობინება SIGMET-ის შინაარსი და ელემენტების თანმიმდევრობა შეესაბამება ნიმუშს, რომელიც მოცემულია ჩიკაგოს კონვენციის მე-3 დანართის „საერთაშორისო აერნაოსნობის მეტეოროლოგიური მომსახურების“ მე-2 ნაწილის (დამატებები და დანართები) A6-1A ცხრილში.

2. შეტყობინება, რომელიც შეიცავს ინფორმაციას SIGMET, ამოიცნობა, როგორც „SIGMET“.

3. რიგითი ნომერი, რომელიც მოცემულია ჩიკაგოს კონვენციის მე-3 დანართის „საერთაშორისო აერნაოსნობის მეტეოროლოგიური მომსახურების“ მე-2 ნაწილის (დამატებები და დანართები) A6-1A ცხრილის ნიმუშში, ასახავს ინფორმაცია SIGMET-ის რაოდენობას, გამოცემულს მიმდინარე დღის 00.01-დან (UTC) საფრენოსნო ინფორმაციის რაიონში. მეტეოროლოგიური თვალთვალის ორგანო, რომელთა პასუხისმგებლობის ზონა მოიცავს რამდენიმე სივ-ს და/ან სამეთვალყურეო რაიონს, გამოსცემენ ცალკეულ SIGMET-ს თითოეული სივ-ის და/ან სამეთვალყურეო რაიონისათვის მათი პასუხისმგებლობის ზონაში.

4. ჩიკაგოს კონვენციის მე-3 დანართის „საერთაშორისო აერნაოსნობის მეტეოროლოგიური მომსახურების“ მე-2 ნაწილის (დამატებები და დანართები) A6-1A ცხრილის ნიმუშის შესაბამისად, შეტყობინება SIGMET-ში ჩართულია მხოლოდ ერთი ქვემოთ მოყვანილი მოვლენა კრეისერულ ეშელონებზე (აბსოლუტური სიმაღლისაგან დამოუკიდებლად) შემდეგი შემოკლებებით:

ა) ჭექა-ქუხილი :

ა.ა) დაფარული – OBSC TS;

ა.ბ) შენიღბული – EMBD TS;

ა.გ.) ხშირი ჭექა-ქუხილი – FRQ TS;

ა.დ) ქარტყილის ხაზი – SQL TS;

ა.ე) დაფარული სეტყვასთან ერთად – OBSC TSGR;

ა.ვ) შენიღბული სეტყვასთან ერთად – EMBD TSGR;





ა.ზ) ხშირი ჭექა-ქუხილი სეტყვასთან ერთად – FRQ TSGR;

ა.თ) ქარტეხილის ხაზი სეტყვასთან ერთად – SQL TSGR;

ბ) ტროპიკული ციკლონი – მიწისპირა ქარის საშუალო სიჩქარით TC (+ ციკლონის დასახელება) 34 კვანძი და მეტი 10 წუთის განმავლობაში;

გ) ტურბულენტობა – ძლიერი ტურბულენტობა – SEV TURB;

დ) შემოყინულობა:

დ.ა) ძლიერი შემოყინულობა – SEV ICE;

დ.ბ) ძლიერი შემოყინულობა გადაცივებული წვიმის შედეგად – SEV ICE (FZRA);

ე) მთის ტალღა – ძლიერი მთის ტალღა – SEV MTW;

ვ) მტვრიანი ქარიშხალი – ძლიერი მტვრიანი ქარიშხალი – HVY DS;

ზ) ქვიშის ქარიშხალი – ძლიერი ქვიშის ქარიშხალი – HVY SS;

თ) ვულკანური ფერფლი – VA (+ ვულკანის სახელწოდება, თუ ის ცნობილია);

ი) რადიოაქტიური ღრუბელი – რადიოაქტიური ღრუბელი – RDOACT CLD.

5. ინფორმაცია SIGMET არ შეიცავს ზედმეტ აღწერით მასალას. ამინდის მოვლენების აღწერაში, რომელთა მიმართაც გამოიცივება შეტყობინება SIGMET, არ ჩაირთვება არავითარი აღწერითი მასალა, გარდა იმისა, რაც მითითებულია ამ მუხლის მე-4 პუნქტში. ინფორმაცია SIGMET-ში, რომელიც ეხება ჭექა-ქუხილებს, არ მიეთითება მათთან დაკავშირებული ტურბულენტობა და შემოყინულობა.

6. შეტყობინება SIGMET ეგზავნება აეროდრომის მეტეოროლოგიურ ორგანოს, ზმპც და სხვა მეტეოროლოგიურ ორგანოებს რეგიონალური სააერნოსნო შეთანხმებების შესაბამისად. შეტყობინება SIGMET, რომელიც ეხება ვულკანური ფერფლის ღრუბლებს, მიემართება VAAC-ის ცენტრებში.

7. შეტყობინება SIGMET გადაეცემა მონაცემთა საერთაშორისო ბანკებს (OPMET) და ცენტრებს, რომლებიც რეგიონალური სააერნოსნო შეთანხმებით დანიშნულნი არიან ინტერნეტზე დამყარებული სააერნოსნო ფიქსირებული მომსახურების ოპერირებისათვის რეგიონალური სააერნოსნო შეთანხმების საფუძველზე.

8. ინფორმაცია SIGMET უნდა გავრცელდეს IWXXM GML ფორმით, დამატებით ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული კოდური ფორმატისა.

**შენიშვნა 1:** ტექნიკური მასალა IWXXM -ის შესახებ მოცემულია მმო-ს დოკუმენტ 306-ში „სახელმძღვანელო კოდების შესახებ“ ტომი I, 1 ნაწილი A “ციფრულ-ანბანური კოდები „სახელმძღვანელო მასალა IWXXM დანერგვის შესახებ მოცემულია იკაოს დოკუმენტ (10003) „იკაო-ს მეტეოროლოგიური ინფორმაციის გაცვლის (IWXXM ) მოდელის შესახებ სახელმძღვანელოში“.

**შენიშვნა 2:** SIGMET-ის გავრცელების პროცედურები გაწერილია იკაო-ს EUR Doc 018, „ევროპის რეგიონის ოპერატიული მეტეოროლოგიური მონაცემების მართვის სახელმძღვანელოში“.

**შენიშვნა 3:** სახელმძღვანელო მასალა ევროპის რეგიონში IWXXM დანერგვის და გაცვლის შესახებ მოცემულია იკაო-ს EUR Doc 33 „ევროპის რეგიონში IWXXM გამოყენებით ოპერატიული მეტეოროლოგიური მონაცემების გაცვლის სახელმძღვანელოში“.

9.(ამოღებულია - 19.10.2020, №633) .

10. (ამოღებულია - 19.10.2020, №633) .



## მუხლი 99. შეტყობინება AIRMET

1. შეტყობინება AIRMET-ის შინაარსი და ელემენტების თანმიმდევრობა უნდა შეესაბამებოდეს ნიმუშს, რომელიც მოცემულია ჩიკაგოს კონვენციის მე-3 დანართის „საერთაშორისო აერნაოსნობის მეტეოროლოგიური მომსახურების“ მე-2 ნაწილის (დამატებები და დანართები) A6-1A ცხრილში.

2. რიგითი ნომერი, რომელიც მოცემულია ჩიკაგოს კონვენციის მე-3 დანართის „საერთაშორისო აერნაოსნობის მეტეოროლოგიური მომსახურების“ მე-2 ნაწილის (დამატებები და დანართები) A6-1A ცხრილის ნიმუშში, ასახავს ინფორმაცია AIRMET-ის რაოდენობას, გამოცემულს მიმდინარე დღის 00.01-დან (UTC) საფრენოსნო ინფორმაციის რაიონში. მეტეოროლოგიური თვალთვალის ორგანო, რომელთა პასუხისმგებლობის ზონა მოიცავს რამდენიმე სივ-ს და/ან სამეთვალყურეო რაიონს, გამოსცემენ ცალკეულ AIRMET-ს თითოეული სივ-ის და/ან სამეთვალყურეო რაიონისათვის მათი პასუხისმგებლობის ზონაში.

3. საფრენოსნო ინფორმაციის რაიონი, აუცილებლობის შემთხვევაში, იყოფა ქვერაიონებად.

4. ჩიკაგოს კონვენციის მე-3 დანართის „საერთაშორისო აერნაოსნობის მეტეოროლოგიური მომსახურების“ მე-2 ნაწილის A6-1A ცხრილის ნიმუშის შესაბამისად, შეტყობინება AIRMET-ში ჩართულია კრეისერულ ეშელონებზე ფრენის ეშელონ 100-ზე დაბლა ან ფრენის ეშელონ 150-ზე დაბლა მთიან რაიონებში მხოლოდ ერთი ქვემოთ მოყვანილი მოვლენა, შემდეგი შემოკლებებით:

ა) მიწისპირა ქარის საშუალო საჩქარე SFC WSPD (+ქარის სიჩქარე და ვრცელ სივრცეზე 60 კმ/სთ (30 კვ) საზომი ერთეულები);

ბ) 5000 მ-ზე ნაკლები ხილვადობა მიწისპირას ვრცელ სივრცეზე და ქვემოთ ჩამოთვლილი ამინდის იმ მოვლენების ერთობლიობა, რომლებიც აუარესებენ ხილვადობას – SFC VIS + BR,DS,DU,DZ,FC,FG,FU,GR,GS,HZ,IC PL,PO,RA,SA,SG,SN,SQ,SS ან VA);

გ) ჭექა-ქუხილი:

გ.ა) ცალკეული სეტყვის გარეშე – ISOL TS;

გ.ბ) იშვიათი სეტყვის გარეშე – OCNL TS;

გ.გ) ცალკეული სეტყვასთან – ISOL TSGR;

გ.დ) იშვიათ სეტყვასთან ერთად – OCNL TSGR;

გ.ე) ქარტეხილის ხაზი;

დ) მთების – მთები დაკეტილია – MT OBSC;

ე) დაფლეთილი ან მთლიანი ღრუბლიანობა ვრცელ სივრცეზე 300 მ-ის ან ნაკლებ სიმაღლეზე მიწის დონიდან:

ე.ა) დაფლეთილი – BKNCLD (+ქვედა და ზედა საზღვრის სიმაღლე და საზომი ერთეულები);

ე.ბ) მთლიანი – OVC CLD (+ქვედა და ზედა საზღვრის სიმაღლე და საზომი ერთეულები);

ე.გ) გროვა-საწვიმარი ღრუბლები:

ე.გ.ა) ცალკეული – ISOL CB;

ე.გ.ბ) იშვიათი – OCNL CB;



ე.გ.გ) ხშირი – FRQ CB;

ე.დ) კომპისმაგვარი გროვა ღრუბლები:

ე.დ.ა) ცალკეული – ISOL TCU;

ე.დ.ბ) იშვიათი – OCNL TCU;

ე.დ.გ) ხშირი – FRQ TCU;

ვ) ზომიერი შემოყინულობა (გარდა, კონვექციურ ღრუბლებში წარმოქმნილი შემოყინულობისა) – MOD ICE;

ზ) ზომიერი ტურბულენტობა (გარდა კონვექციურ ღრუბლებში წარმოქმნილი ტურბულენტობისა) – MOD TURB;

თ) ზომიერი მთის ტალღა - MOD MTW.

5. ინფორმაცია AIRMET არ შეიცავს ზედმეტ აღწერით მასალას. ამინდის მოვლენების აღწერაში, რომელთა მიმართაც გამოიყენება შეტყობინება AIRMET, არ ჩაირთვება არავითარი აღწერითი მასალა, გარდა იმისა, რაც მითითებულია ამ მუხლის მე-4 პუნქტში. ინფორმაცია AIRMET-ში, რომელიც ეხება ჭექა-ქუხილებს ან გროვა-საწვიმარ ღრუბლებს, არ მიეთითება მათთან დაკავშირებული ტურბულენტობა და შემოყინულობა.

6. შეტყობინება AIRMET ეგზავნება აეროდრომის მეტეოროლოგიურ სამსახურებს, მეზობელი საფრენოსნო ინფორმაციის ცენტრის მეტეოროლოგიური თვალთვალის ორგანოებს, მეტეოროლოგიურ სამსახურებს, მათ შორის, შეთანხმების შესაბამისად.

7. 2020 წლის 4 ნოემბრამდე, ინფორმაცია AIRMET, ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული კოდური ფორმატის გარდა, შესაძლებელია გავრცელდეს დამატებით IWXXM GML ფორმითაც.

8. ინფორმაცია AIRMET-ი უნდა გავრცელდეს IWXXM GML ფორმით, დამატებით ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული კოდური ფორმატისა.

**შენიშვნა 1:** ტექნიკური მასალა IWXXM -ის შესახებ მოცემულია მმო-ს დოკუმენტ 306-ში „სახელმძღვანელო კოდების შესახებ“ ტომი I,1 ნაწილი A “ციფრულ-ანბანური კოდები, „სახელმძღვანელო მასალა IWXXM დანერგვის შესახებ მოცემულია იკაოს დოკ. (10003) „იკაო-ს მეტეოროლოგიური ინფორმაციის გაცვლის (IWXXM ) მოდელის შესახებ სახელმძღვანელოში“.

**შენიშვნა 2:** AIRMET-ის გავრცელების პროცედურები გაწერილია იკაო-ს EUR Doc 018, „ევროპის რეგიონის ოპერატიული მეტეოროლოგიური მონაცემების მართვის სახელმძღვანელოში“.

**შენიშვნა 3:** სახელმძღვანელო მასალა ევროპის რეგიონში IWXXM დანერგვის და გაცვლის შესახებ მოცემულია იკაო-ს EUR Doc 33 „ევროპის რეგიონში IWXXM გამოყენებით ოპერატიული მეტეოროლოგიური მონაცემების გაცვლის სახელმძღვანელოში“.

9. (ამოღებულია - 19.10.2020, №633).

10. შეტყობინება AIRMET გადაეცემა საერთაშორისო მონაცემების ბანკებსა OPMET და ცენტრებს, რომლებიც რეგიონალური სააერნაოსნო შეთანხმებით დანიშნულნი არიან ინტერნეტზე დამყარებული სააერნაოსნო ფიქსირებული მომსახურების ოპერირებისათვის რეგიონალური სააერნაოსნო შეთანხმების საფუძველზე.



## მუხლი 99<sup>1</sup>. კრიტერიუმები შეტყობინება SIGMET და AIRMET-ში ჩართული მოვლენების შესახებ და სპეციალური შეტყობინები სხ-იდან (კავშირის ხაზი „მაღლა“)

1. ჭექა-ქუხილი და გროვა-საწვიმარი ღრუბლები რაიონში უნდა ჩაითვალოს:

ა) დაფარულად (OBSC), თუ ისინი დაფარულია ჯანდით ან ბურით და მათზე დაკვირვება გართულებულია სიბნელის გამო;

ბ) შენიღბულად (EMBD), თუ ისინი დამალულია ღრუბლების ფენებს შორის და არ არის ადვილი მათი ამოცნობა;

გ) ცალკეულად (ISOL), თუ ისინი შედგება ცალკეული ელემენტებისაგან ზემოქმედების ან პროგნოზირებული ზემოქმედების (ფიქსირებულ დროს ან პროგნოზის მოქმედების პერიოდში) რაიონის ფართობის 50 % მაქსიმალური დაფარვით;

დ) იშვიათად (OCNL), თუ ისინი შედგება საკმაოდ დაცალკევებული ელემენტებისაგან ზემოქმედების ან პროგნოზირებული ზემოქმედების (ფიქსირებულ დროს ან პროგნოზის მოქმედების პერიოდში) რაიონის ფართობის 50%-75% მაქსიმალური დაფარვით.

2. ჭექა-ქუხილის მოქმედება რაიონში ითვლება გახშირებულად (FRQ), თუ აღნიშნული რაიონის ფარგლებში მეზობელ ჭექა-ქუხილის ფრონტალურ ზედაპირებს შორის ინტერვალები ზემოქმედების ან პროგნოზირებული ზემოქმედების (ფიქსირებულ დროს ან პროგნოზის მოქმედების პერიოდში) რაიონის 75% ფართობზე მაქსიმალური დაფარვით უმნიშვნელოა ან არ არსებობს.

3. ქართველის ხაზი (SQL) ნიშნავს ჭექა-ქუხილის მოქმედებას ფრონტის გასწვრივ უმნიშვნელო ინტერვალებით ცალკეულ ღრუბლებს შორის, ან ასეთი ინტერვალების არარსებობა.

4. სეტყვა (GR) გამოიყენება ჭექა-ქუხილის მოქმედების დამატებითი აღწერისათვის.

5. ძლიერ და ზომიერ ტურბულენტობას მიეკუთვნება მხოლოდ ტურბულენტობა დაბალ სიმაღლეებზე, დაკავშირებულს ძლიერ მიწისპირა ქართან, ჭავლურ დინებებთან ან ტურბულენტობა ღრუბლებში და მის ფარგლებს გარეთ (CAT). არ მიეთითება კონვექციურ ღრუბლებთან დაკავშირებული ტურბულენტობა.

6. ტურბულენტობად ითვლება:

ა) ძლიერად, როდესაც EDR-ის მაქსიმალური მნიშვნელობა უდრის ან აჭარბებს 0.45-ს;

ბ) ზომიერად, როდესაც EDR-ის მაქსიმალური მნიშვნელობა უდრის ან აჭარბებს 0.20-ს და ნაკლებია ან ტოლია 0.45-ს.

7. ძლიერი და ზომიერი შემოყინულობა (ICE) უნდა მიეთითოს, თუ ის მიეკუთვნება არა კონვექციური ღრუბლების შემოყინულობას. გაყინული წვიმა (FZRA) მიეკუთვნება ძლიერი შემოყინულობის პირობებს, რომელიც დაკავშირებულია გადაციებული წვიმასთან.

8. მთის ტალღა (MTW) უნდა ჩაითვალოს:

ა) ძლიერად, თუ თან სდევს 3,0 მ/წ სიჩქარის ან მეტი დადამავალი დინებები; და/ან დაიკვირვება ან პროგნოზირდება ძლიერი ტურბულენტობა;

ბ) ზომიერად თუ თან სდევს 1,75-3,0 მ/წ სიჩქარის ან მეტი დადამავალი დინებები; და/ან დაიკვირვება ან პროგნოზირდება ზომიერი ტურბულენტობა.

9. ქვიშის/მტვერის ქარიშხალი უნდა ჩაითვალოს:

ა) ძლიერად, თუ ხილვადობა 200 მ-ზე ნაკლებია და ცის მდგომარეობის განსაზღვრა გართულებულია;



ბ) ზომიერად, თუ ხილვადობა:

ბ.ა) თუ ხილვადობა 200 მ-ზე ნაკლებია და ცის მდგომარეობის განსაზღვრა შესაძლებელია; ან

ბ.ბ) 200-600 მეტრის დიაპაზონშია.

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 19 ოქტომბრის დადგენილება №633 – ვებგვერდი, 20.10.2020წ.

### **მუხლი 100. გაფრთხილებები აეროდრომზე**

1. გაფრთხილებები აეროდრომზე გამოიცემა მომხმარებლის ან საეროდრომო სამსახურების მოთხოვნით, იმ მეტეოროლოგიურ ორგანოების მიერ, რომლებსაც ევალება მოცემული აეროდრომის მომსახურება ჩიკაგოს კონვენციის მე-3 დანართის “საერთაშორისო აერნაოსნობის მეტეოროლოგიური მომსახურება“ მე-2 ნაწილის (დამატებები და დანართები) A6-2 ცხრილის ნიმუშის შესაბამისად და ეგზავნებათ დაინტერესებულ პირებს ლოკალური შეთანხმების საფუძველზე.

2. რიგითი ნომერი, რომელიც მოცემულია, ჩიკაგოს კონვენციის მე-3 დანართის “საერთაშორისო აერნაოსნობის მეტეოროლოგიური მომსახურება“ მე-2 ნაწილის (დამატებები და დანართები) A6-2 ცხრილის ნიმუშში ასახავს აეროდრომზე გაფრთხილებების რაოდენობას, გამოცემულს მიმდინარე დღის 00.01 –დან (UTC) მოცემულ აეროდრომზე.

3. ჩიკაგოს კონვენციის მე-3 დანართის “საერთაშორისო აერნაოსნობის მეტეოროლოგიური მომსახურება“ მე-2 ნაწილის (დამატებები და დანართები) A6-2 ცხრილის ნიმუშის შესაბამისად აეროდრომზე გაფრთხილება უნდა გამოიცეს ქვემოთ მოყვანილი ერთი ან რამდენიმე მოვლენის ფაქტობრივი ან მოსალოდნელი წარმოშობისას:

ა) ტროპიკული ციკლონი (როდესაც მოსალოდნელია რომ მიწისპირა ქარის საშუალო სიჩქარე 10 წუთში მიაღწევს აეროდრომზე 17 მ/წმ-ს (34კვანძი) ან მეტს);

ბ) ჭექა-ქუხილი;

გ) სეტყვა;

დ) თოვლი(არსებული ან მოსალოდნელი თოვლის ნადების ჩათვლით);

ე) გადაციებული ნალექები;

ვ) თრთვილი;

ზ) ქვიშიანი ქარიშხალი;

თ) მტვრიანი ქარიშხალი;

ი) გადატანილი მტვერი ან ქვიშა;

კ) ძლიერი მიწისპირა ქარი ან დაქროლვა;

ლ) ყინვა;

მ) ვულკანური ფერფლი;

ნ) ცუნამი;

ო) სხვა მოვლენები, რომლებიც შეთანხმებულია ადგილობრივ დონეზე.

4. ტექსტის გამოყენება, გარდა შემოკლებებისა, რომლებიც მოყვანილია ნიმუშში, მინიმუმამდეა დაყვანილი. ნებისმიერი დამატებითი ინფორმაცია, შეძლებისდაგვარად, უნდა შედგეს ღია ტექსტით



და შემოკლებებით. იკავს მიერ დამტკიცებული შემოკლებების არარსებობის შემთხვევაში შეიძლება გამოყენებულ იქნეს ღია ტექსტი ინგლისურ ენაზე.

5. კრიტერიუმები აეროდრომზე გაფრთხილების გამოსაცემად დგინდება აეროდრომის მეტეოროლოგიურ სამსახურსა და იმ მხარეს შორის შეთანხმების საფუძველზე, რომელიც სარგებლობს ამ გაფრთხილებით.

*საქართველოს მთავრობის 2016 წლის 11 თებერვლის დადგენილება №60 – ვებგვერდი, 15.02.2016წ.*

## **მუხლი 101. გაფრთხილებები ქარის წანაცვლების შესახებ**

1. ცნობები ქარის წანაცვლების არსებობის შესახებ მიიღება შემდეგი სახით:

ა) სახმელეთო დანადგარები ქარის წანაცვლების დისტანციური გაზომვისათვის, მაგალითად დოპლერის რადიოლოკატორი;

ბ) სახმელეთო დანადგარები ქარის წანაცვლების აღმოსაჩენად, მაგალითად, საზომი სისტემები ქარის წანაცვლების ან წნევის გასაზომად, რომლებიც განლაგებულია ისე, რომ აკონტროლოს კონკრეტული დასაჯდომ-საფრენი ბილიკი ან დასაფრენ-საფრენი ბილიკი და შესაბამისი აფრენის ან დაშვების ტრაექტორია.

გ) დაკვირვებები საფრენი ხომალდების ბორტიდან სიმაღლის მატებისას ან დასაფრენად მზადებისას, რომლებიც სრულდება მე-4 თავის შესაბამისად;

დ) სხვა მეტეოროლოგიური ინფორმაცია, მაგალითად, მიღებული შესაბამისი გამზომების საშუალებით, რომლებიც არსებობს აეროდრომის მახლობლად ან უახლოეს ამაღლებულ მონაკვეთზე ანძებზე ან კოშკურებზე.

**შენიშვნა:** ქარის წანაცვლების პირობები, როგორც წესი, დაკავშირებულია ერთ ან რამდენიმე ქვემოთ ჩამოთვლილ მოვლენასთან:

დ.ა) ჭექა-ქუხილი, მიკროდაქროლვა, ძაბრისებური ღრუბელი (ტორნადო ან წყლის სმერჩი) ან ფრონტალური დაქროლვა;

დ.ბ) ფრონტალური ზედაპირები;

დ.გ) ძლიერი მიწისპირა ქარი, გართულებული ადგილობრივი ტოპოგრაფიული პირობებით;

დ.დ) ზღვის ბრიზის ფრონტები;

დ.ე) მთის ტალღები;

დ.ვ) ტემპერატურული ინვერსიები დაბალ სიმაღლეებზე.

2. გაფრთხილებები ქარის წანაცვლების შესახებ, გამოიცემა ჩიკაგოს კონვენციის მე-3 დანართის “საერთაშორისო აერნაოსნობის მეტეოროლოგიური მომსახურება“ მე-2 ნაწილის (დამატებები და დანართები) A6-3 ცხრილის ნიმუშის შესაბამისად და ეგზავნებათ დაინტერესებულ პირებს ლოკალური შეთანხმების საფუძველზე.

3. რიგითი ნომერი, რომელიც მოცემულია, ჩიკაგოს კონვენციის მე-3 დანართის “საერთაშორისო აერნაოსნობის მეტეოროლოგიური მომსახურება“ მე-2 ნაწილის (დამატებები და დანართები) A6-3 ცხრილის ნიმუშში ასახავს აეროდრომზე ქარის წანაცვლების შესახებ გაფრთხილებების რაოდენობას, გამოცემულს მიმდინარე დღის 00.01 –დან (UTC) მოცემულ აეროდრომზე.

4. ტექსტის გამოყენება, გარდა შემოკლებებისა, რომელიც მოყვანილია ჩიკაგოს კონვენციის მე-3 დანართის “საერთაშორისო აერნაოსნობის მეტეოროლოგიური მომსახურება“ მე-2 ნაწილის (დამატებები და დანართები) A6-3 ცხრილის ნიმუშში, მინიმუმამდეა დაყვანილი. ნებისმიერი



დამატებითი ინფორმაცია, შეძლებისდაგვარად, უნდა შედგეს ღია ტექსტით და შემოკლებებით. იკავს მიერ დამტკიცებული შემოკლებების არარსებობის შემთხვევაში შეიძლება გამოყენებულ იქნეს ღია ტექსტი ინგლისურ ენაზე.

5. იმ შემთხვევებში, თუ ქარის წანაცვლების შესახებ გაფრთხილებების შედგენისას გამოიყენება საფრენი ხომალდის ბორტიდან ადრე მიწოდებული შეტყობინება, აღნიშნული შეტყობინება, საფრენი ხომალდის ტიპის ჩათვლით, შეიტანება გაფრთხილებაში ცვლილების გარეშე.

6. შეტყობინებების მიღების შემდეგ ქარის წანაცვლების არსებობის შესახებ როგორც მომფრენი, ისე გამფრენი ბორტებიდან, გამოიცემა ორი გაფრთხილება ქარის წანაცვლების შესახებ: ერთი მომფრენი საჰაერო ხომალდებისათვის, ხოლო მეორე გამფრენებისათვის.

7. ვინაიდან, ქარის წანაცვლების ინტენსივობის შესახებ შეტყობინების გადასაცემი მოთხოვნები დამუშავების პროცესშია, ამიტომ გამოიყენება შემდეგი საკვალიფიკაციო ტერმინები: “ზომიერი“, “ძლიერი“ და “ძალიან ძლიერი“

8. შეტყობინება ქარის წანაცვლების შესახებ ან ქარის წანაცვლების აღმოჩენის შესახებ, ვრცელდება დისტანციური გაზომვის სახმელეთო ავტომატიზებული დანადგარებით, დაინტერესებულ მხარეებთან ადგილობრივი შეთანხმების საფუძველზე.

## თავი XVII

### ტექნიკური მოთხოვნები, რომლებიც ეხება საავიაციო კლიმატოლოგიურ ინფორმაციას

#### მუხლი 102. საავიაციო კლიმატოლოგიური ინფორმაციის დამუშავება

მეტეოროლოგიური დაკვირვებების მონაცემები, რომლებიც ეხება ძირითად და სათადარიგო აეროდრომებს, უნდა შეგროვდეს, დამუშავდეს და შენახულ იქნეს სააეროდრომო კლიმატოლოგიური ინფორმაციისათვის შესაფერისი ფორმით.

#### მუხლი 103. საავიაციო კლიმატოლოგიური ინფორმაციის გაცვლა

სრულუფლებიანმა მეტეოროლოგიურმა ორგანოებმა უნდა მოახდინონ ინფორმაციის გაცვლა მოთხოვნის საფუძველზე. ექსპლუატანტებმა და საავიაციო მომხმარებლებმა, რომლებიც საჭიროებენ მსგავს ინფორმაციას, უნდა მიმართონ შესაბამის მეტეოროლოგიურ ორგანოს, რომელიც პასუხისმგებელია ინფორმაციის მომზადებაზე.

#### მუხლი 104. აეროდრომის კლიმატოლოგიური ცხრილები

სააეროდრომო კლიმატოლოგიურ ცხრილში, საჭიროების მიხედვით უნდა მიეთითოს:

ა) საშუალო სიდიდეები და გადახრები, მათ შორის, მეტეოროლოგიური ელემენტების (მაგ., ტემპერატურა) მაქსიმალური და მინიმალური სიდიდეები;

ბ) მიმდინარე ამინდის წარმოშობის სიხშირე, რომლებიც გავლენას ახდენს ფრენის შესრულებაზე აეროდრომის ტერიტორიაზე (მაგ., ქვიშის ქარიშხალი);

გ) ერთი ელემენტის წარმოშობის სიხშირე ან ორი და მეტი ელემენტის ერთობლიობა, რომელთაც გააჩნია გარკვეული მნიშვნელობა (მაგ. შეზღუდული ხილვადობისა და დაბალი ღრუბლიანობის ერთობლიობა).

#### მუხლი 105. აეროდრომის კლიმატოლოგიური ცნობები

სააეროდრომო კლიმატოლოგიური ცნობები უნდა შეიცავდეს:

ა) ხილვადობის, ადზ-ზე ხილვადობის მანძილის და/ან მნიშვნელოვანი, (BKN) ან მთლიანი (OVC) ღრუბლების ყველაზე დაბალი ფენის ქვედა საზღვრის სიმაღლის მნიშვნელობების განმეორადობებს



დროის განსაზღვრულ მომენტებში;

ბ) ხილვადობის მნიშვნელობების განმეორადობას დადგენილ სიდიდეებზე დაბლა დროის განსაზღვრულ მომენტებში;

გ) მნიშვნელოვანი (BKN) ან მთლიანი (OVC) ღრუბლების ყველაზე დაბალი ფენის ქვედა საზღვრის სიმაღლის მნიშვნელობების განმეორადობებს დროის განსაზღვრულ მომენტებში;

დ) ქარის მიმართულებისა და სიჩქარის განმეორადობებს დადგენილი დიაპაზონის ფარგლებში;

ე) მიწისპირა ფენაში ჰაერის ტემპერატურის მნიშვნელობების განმეორადობას  $5^{\circ}\text{C}$  -ის დიაპაზონში დროის განსაზღვრულ მომენტებში;

ვ) საშუალო მნიშვნელობებს და მათგან გადახრებს მეტეოროლოგიური ელემენტების მაქსიმალური და მინიმალური მნიშვნელობების ჩათვლით, რომლებიც აუცილებელია საექსპლუატაციო დაგეგმვისათვის, მათ შორის, ასაფრენი მახასიათებლების გამოსათვლელად.

**შენიშვნა:** კლიმატოლოგიური ცნობების მოდელები მოცემული „ა“ - „ე“ ქვეპუნქტებში მოცემულია მშოს ტექნიკურ რეგლამენტ №49-ში, მე-2 ტომის პუნქტ C3.2.

## თავი XVIII

**ტექნიკური მოთხოვნები, რომლებიც ეხება ექსპლუატანტების და საფრენოსნო ეკიპაჟის წევრებს**

**მუხლი 106. მეტეოროლოგიური ინფორმაციით უზრუნველყოფის საშუალებები და მისი ფორმატი**

1. მეტეოროლოგიურ სამსახურსა და შესაბამის ექსპლუატანტს შორის შეთანხმების საფუძველზე, ექსპლუატანტებს და ეკიპაჟის წევრებს მიეწოდებათ მეტეოროლოგიური ინფორმაცია, რომელიც ქვემოთ მოყვანილი საშუალებით:

ა) ხელნაწერი ან დაბეჭდილი მასალები, მათ შორის, დადგენილი რუკები და ფორმები;

ბ) მონაცემები რეგულარულ ბადის წერტილებში ციფრული ფორმით;

გ) ინსტრუქტაჟი;

დ) კონსულტაცია;

ე) ინფორმაციის ჩვენება; ან

ვ) „ა“ - „ე“ ქვეპუნქტებში ჩამოთვლილის მაგივრად: ფრენისწინა ინფორმაციის ავტომატიზებული სისტემის მეშვეობით მეთოდით, ამასთან, აუცილებლობის შემთხვევაში, ძალაში რჩება ექსპლუატანტებისა და ეკიპაჟის წევრების დაშვება კონსულტაციისთვის მეტეოროლოგიურ ორგანოსთან 109-ე მუხლის შესაბამისად.

2. ექსპლუატანტთან კონსულტაციის საფუძველზე აეროდრომის მეტეოროლოგიური ორგანო განსაზღვრავს:

ა) წარმოსადგენი ინფორმაციის ტიპს და ფორმატს;

ბ) ამ ინფორმაციით მომარაგების ხერხებს და საშუალებებს.

**მუხლი 107. ფრენისწინა დაგეგმარების და ფრენისას გადაგეგმარებისათვის აუცილებელი ინფორმაციის ფორმატი**

1. ზმპც-იდან მიღებულ ინფორმაციას ატმოსფეროს მაღალი ფენების შესახებ რეგულარული ბადის კვანძებში, რომელიც განკუთვნილია წინასაფრენოსნო დაგეგმარების და ფრენისას





გადაგეგმარებისათვის, მზადდება კოდური ფორმით GRIB.

**შენიშვნა:** კოდური ფორმა GRIB მოცემულია მმო-ს გამოცემა №306 „სახელმძღვანელო კოდების შესახებ“, ტომი 1.2, „ორმაგი კოდები“.

2. ზმპვ-იდან მიღებულ ინფორმაციას ამინდის განსაკუთრებული მოვლენების შესახებ, რომელიც განკუთვნილია წინასაფრენოსნო დაგეგმარების და ფრენისას გადაგეგმარებისათვის, მზადდება კოდური ფორმით BUFR.

**შენიშვნა:** კოდური ფორმა BUFR მოცემულია მმო-ს გამოცემა №306 „სახელმძღვანელო კოდების შესახებ“, ტომი 1.2, „ორმაგი კოდები“.

3. მეტეოროლოგიურ ინფორმაციაში, რომელიც საჭიროა ფრენისწინა დაგეგმვისათვის ვერტმფრენებით ფრენების შესრულებისათვის ღია ზღვაში განლაგებულ ობიექტებზე, ჩართული უნდა იქნეს მონაცემები ფენების მიხედვით ზღვის დონიდან 100 ეშელონამდე. განსაკუთრებით უნდა მიეთითოს მოსალოდნელი ხილვადობა წყლისპირა ჰაერის ფენაში, ღრუბლების რაოდენობა და ფორმა (თუ ასეთი მონაცემები არსებობს) ღრუბლების ქვედა და ზედა საზღვრები 100 ეშელონზე დაბლა, ზღვის მდგომარეობა, ზღვის ტემპერატურა, საშუალო წნევა ზღვის დონეზე, ფაქტობრივი და მოსალოდნელი ტურბულენტობა, შემოყინულობა, როგორც ეს გათვალისწინებულია სააერონავიაციო შეთანხმებით.

[4. ინფორმაცია ამინდის განსაკუთრებული მოვლენების შესახებ, რომელიც განკუთვნილია წინასაფრენოსნო დაგეგმარების და ფრენისას გადაგეგმარებისათვის, მე-2 პუნქტში მითითებული კოდური ფორმის გარდა, შესაძლებელია გავრცელდეს დამატებით IWXXM GML ფორმითაც.]

**შენიშვნა 1:** სახელმძღვანელო მასალა IWXXM დანერგვის შესახებ მოცემულია იკაო-ს დოკ (10003) „იკაო-ს მეტეოროლოგიური ინფორმაციის გაცვლის ( IWXXM ) მოდელის შესახებ სახელმძღვანელოში“.

**შენიშვნა 2:** გეოგრაფიული მარკირების ენა (GML) წარმოადგენს ღია გეოსივრცეთაშორისი კონსორციუმის კოდირების სტანდარტს (OGC). (ამოქმედდეს 2021 წლის 4 ნოემბრიდან)]

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 19 ოქტომბრის დადგენილება №633 – ვებგვერდი, 20.10.2020წ.

## მუხლი 108. ინსტრუქტაჟი, კონსულტაცია, საფრენოსნო დოკუმენტაცია

1. საჩვენებელი მასალა, ადვილად ხელმისაწვდომი უნდა იყოს საფრენოსნო ეკიპაჟის წევრებისა და სხვა პერსონალისათვის, რომლებიც დაკავშირებულნი არიან ფრენების წარმოებასთან.

2. საფრენოსნო დოკუმენტაცია, რომელიც ეხება სიმაღლეებზე ქარის და ჰაერის ტემპერატურის პროგნოზს და მოვლენებს SIGWX, წარმოდგენილი უნდა იქნეს რუკების სახით. დაბალ სიმაღლეებზე ფრენებისათვის ალტერნატივის სახით გამოიყენება ზონალური პროგნოზები GAMET.

3. საფრენოსნო დოკუმენტაციის მოსამზადებლად გამოყენებული რუკების ნიმუშები და ფორმები მოცემულია ამ წესის დანართ 1-ში. ეს ნიმუშები შემუშავებულია მმო-ს მიერ შესაბამისი ექსპლუატანტების მოთხოვნების საფუძველზე, რომელიც წარმოდგენილია იკაო-ს მიერ.

4. შეტყობინებები METAR და SPECI (მათ შორის, პროგნოზები“ TREND“) TAF, GAMET, SIGMET, და AIRMET, საკონსულტაციო ინფორმაცია ვულკანური ფერფლის და ტროპიკული ციკლონების შესახებ და კოსმოსური ამინდის შესახებ საკონსულტაციო ინფორმაცია უნდა წარედგინოს შესაბამისი ნიმუშების შესაბამისად, რომლებიც მოცემულია ამ წესის XII-XVI თავებში. ასეთი მეტეოროლოგიური ინფორმაცია, მიღებული სხვა მეტეოროლოგიური ორგანოებისაგან, უნდა ჩაერთოს საფრენოსნო დოკუმენტაციაში ცვლილებების გარეშე.

5. საფრენოსნო დოკუმენტაციაში შემავალი ფორმები და რუკები დაბეჭდილი უნდა იყოს ინგლისურ, ფრანგულ, რუსულ ან ესპანურ ენაზე. სადაც ეს მიზანშეწონილია გამოიყენება მიღებული შემოკლებები, მიეთითება თითოეული ელემენტის საზომი ერთეულები, თან ეს ერთეულები შეესაბამება აღნიშნულ წესში გათვალისწინებულ ერთეულებს.



6. რუკები, რომლებიც ჩართულია საფრენოსნო დოკუმენტაციაში, არის გასაგები და ადვილად კითხვადი და ხასიათდება შემდეგი ფიზიკური მახასიათებლებით:

ა) მოხერხებულობისათვის, რუკების ყველაზე დიდი ზომა შეადგენს 42X30 სმ (A3-ის სტანდარტული ზომა) და უმცირესი ზომა 21X30 სმ (A4-ის სტანდარტული ზომა). ზომის შერჩევა დამოკიდებულია მარშრუტის მანძილზე და ინფორმაციის დეტალიზაციის ხარისხზე, რომლის მითითებაც აუცილებელია რუკებზე, მეტეოროლოგიურ სამსახურსა და მომხმარებლებს შორის შეთანხმებით;

ბ) ძირითადი გეოგრაფიული ორიენტირების შემოხაზულობა, მაგალითად, სანაპირო ხაზების, მსხვილი მდინარეების და ტბების, გამოსახება ისე, რომ უზრუნველყოფილი იყოს მათი მარტივი ამოცნობა;

გ) რუკებზე, რომლებიც მზადდება ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანების (ეგმ) მეშვეობით, მეტეოროლოგიური მონაცემები პრევალირებს საწყის კარტოგრაფიულ ინფორმაციაზე;

დ) ძირითადი აეროდრომები მითითებულია წერტილის სახით და აღნიშნულია ქალაქის დასახელების პირველი ასო, რომელსაც ეკუთვნის მოცემული აეროდრომი;

ე) კოორდინატების გეოგრაფიული ბადე დაიტანება მერიდიანებით და პარალელებით, გამოხატული წყვეტილი ხაზებით განედის და გრძედის ყოველ 10 გრადუსში; წერტილები განლაგებულია 1 გრადუსის ინტერვალით;

ვ) განედის და გრძედის მნიშვნელობა მითითებულია რუკების მთლიანი ფართობის სხვადასხვა წერტილში;

ზ) რუკებზე საფრენოსნო დოკუმენტაციისათვის განმარტებითი წარწერები კეთდება გარკვევით და მარტივად; მათზე ნათლადაა მითითებული მსოფლიო ზონალური ცენტრების ან სხვა ცენტრების დასახელება, რუკების ტიპი, თარიღი და მოქმედების პერიოდი და აუცილებლობის შემთხვევაში გამოყენებული საზომი ერთეულები.

7. საფრენოსნო დოკუმენტაციაში ჩართული მეტეოროლოგიური დოკუმენტაცია წარმოდგენილია შემდეგი სახით:

ა) ქარის მიმართულება აღნიშნულია ფრთიანი ისრებით ან დაშტრიხული აღმებით ქარის სიჩქარის საჩვენებლად საკმაოდ მჭიდრო ბადეზე;

ბ) ტემპერატურა მიმითითებულია ციფრებით საკმაოდ მჭიდრო ბადეზე;

გ) მონაცემები ქარის და ტემპერატურის შესახებ, მიღებული მზკც-იდან, დატანილია საკმაოდ მჭიდრო განედ-გრძედულ ბადეზე; და

დ) ქარის ისრები პრევალირებს ტემპერატურაზე და ეს ორივე აღნიშვნა გამოირჩევა რუკების ფონზე.

8. ფრენის ეშელონ 250-სა და ფრენის ეშელონ 630-ს შორის ფრენებისათვის რუკების მინიმალურ კომპლექტში ჩართული უნდა იქნეს ამინდის განსაკუთრებული მოვლენების შესახებ და ატმოსფეროს მაღალი ფენების შესახებ რუკები (ფრენის ეშელონი 250 - ფრენის ეშელონი 630) და ქარის და ტემპერატურის პროგნოსტიკური რუკა 250ჰჰა ფრენის ეშელონისათვის. ფაქტობრივი რუკები ფრენისწინა დაგეგმვისა და საფრენოსნო დოკუმენტაციისათვის თანხმდება მეტეოროლოგიურ სამსახურსა და დაინტერესებულ მომხმარებელს შორის.

9. წარმოდგენილი რუკები დგება ზმპც-ის ციფრული პროგნოზებით, როდესაც ასეთი პროგნოზები მოიცავს ფრენის სავარაუდო ტრაექტორიას დროში, აბსოლუტურ სიმაღლეს და გეოგრაფიულ რაიონს.

10. საფრენოსნო დოკუმენტაციაში შეფარდებითი სიმაღლე მიეთითება შემდეგი სახით:

ა) ყველა მონაცემი მარშრუტზე მეტეოროლოგიური პირობების შესახებ, მაგალითად, შეფარდებით სიმაღლეზე ქარის სიმაღლეებზე, ტურბულენტობაზე ან ღრუბლების ქვედა და ზედა საზღვარზე სასურველია მიეთითოს ფრენის ეშელონის სახით: ეს მონაცემები შესაძლებელია გამოიხატოს წნევის



სიდიდეებში, აბსოლუტურ სიმაღლეში ან დაბალ სიმაღლეებზე ფრენებისათვის, მიწის ზედაპირიდან სიმაღლის სახით;

ბ) აეროდრომის რაიონში ყველა მეტეოროლოგიური პირობების მონაცემი, მაგალითად, ღრუბლების ქვედა საზღვრის შეფარდებითი სიმაღლის შესახებ, მიეთითება სიმაღლის სახით აეროდრომის შემადგენლების მიმართ.

*საქართველოს მთავრობის 2020 წლის 19 ოქტომბრის დადგენილება №633 – ვებგვერდი, 20.10.2020წ.*

### **მუხლი 109. გაფრენისწინა ინფორმაციის ავტომატიზებული სისტემები, განკუთვნილი ინსტრუქტაჟის, კონსულტაციის ჩასატარებლად, ფრენების დასაგეგმად და საფრენოსნო დოკუმენტაციის შესადგენად**

გაფრენისწინა ინფორმაციის ავტომატიზებულ სისტემებში, რომლებიც წარმოადგენენ საშუალებას დამოუკიდებელი ინსტრუქტაჟისათვის, აუცილებლობის შემთხვევაში, გათვალისწინებულია ექსპლუატანტებისა და საფრენოსნო ეკიპაჟის დაკავშირება მეტეოროლოგიურ ორგანოსთან ტელეფონით ან კავშირის სხვა მისაღები საშუალებებით.

### **მუხლი 110. ინფორმაცია ჰაერში მყოფი საჰაერო ხომალდებისათვის**

მეტეოროლოგიური ინფორმაცია დაგეგმვისათვის, რომელსაც აწარმოებს ექსპლუატანტი, ჰაერში მყოფი საჰაერო ხომალდის ინტერესებიდან გამომდინარე, წარდგენილი უნდა იყოს ფრენის დროს და როგორც წესი, მოიცავდეს ნებისმიერ ან ყველა ქვემოთ მოყვანილ ელემენტს:

ა) ინფორმაცია METAR და SPECI (მათ შორის, პროგნოზები“ TREND“);

ბ) პროგნოზები TAF და შეცვლილი პროგნოზები TAF;

გ) ინფორმაციას SIGMET, AIRMET და სპეციალურ შეტყობინებებს ბორტებიდან, რომლებიც ეხება ფრენას, იმ პირობით, რომ ისინი ასახული არ იყო შეტყობინება SIGMET-ში;

დ) ინფორმაცია ქარსა და ჰაერის ტემპერატურაზე სიმაღლეებზე;

ე) საკონსულტაციო ინფორმაციას ვულკანური ფერფლის და ტროპიკული ციკლონების შესახებ, რომლებიც ეხება ფრენას;

ვ) სხვა მეტეოროლოგიურ ინფორმაციას ანბანურ-ციფრული ან გრაფიკული ფორმით აეროდრომის მეტეოროლოგიურ ორგანოსა და შესაბამის ექსპლუატანტებს შორის, შეთანხმების საფუძველზე.

## **თავი XIX**

**ტექნიკური მოთხოვნები, საჰაერო მოძრაობის მომსახურების ორგანოების, ძებნა-შველის სამსახურების და სააერონავიგაციო ინფორმაციის სამსახურებისათვის აუცილებელი მეტეოროლოგიური ინფორმაციის შესახებ**

### **მუხლი 111. ინფორმაცია აეროდრომის კომპურისათვის**

აეროდრომის მეტეოროლოგიური ორგანო უზრუნველყოფს აეროდრომის კომპურას უახლესი მეტეოროლოგიური ინფორმაციით:

ა) ადგილობრივი, რეგულარული და სპეციალური შეტყობინებებით, შეტყობინებებით METAR და SPECI, პროგნოზებით TAF და „ტრენდის“ ტიპის პროგნოზებით შესაბამის აეროდრომზე და მათი კორექტივებით;

ბ) ინფორმაციით SIGMET და AIRMET, გაფრთხილებებით ქარის წანაცვლების შესახებ და გაფრთხილებებით აეროდრომზე;

გ) ნებისმიერი დამატებითი მეტეოროლოგიური ინფორმაციით, რომელთა მიმართებაშიც არსებობს



ადგილობრივი შეთანხმებები, მაგალითად, მიწისპირა ქარის პროგნოზი ადზ-ზე პირობების შესაძლო შეცვლის განსაზღვრისათვის;

დ) მიღებული ინფორმაციით ვულკანური ფერფლის შესახებ, რომლებთან დაკავშირებითაც ჯერ არ იყო გამოცემული SIGMET;

ე) მიღებული ინფორმაციით ვულკანური მოქმედების, რომელიც წინ უსწრებს ამოფრქვევას, და/ან ვულკანური ამოფრქვევის შესახებ, აეროდრომის მეტეოროლოგიურ ორგანოსა და სმმ-ის ორგანოს შორის შეთანხმებით.

*საქართველოს მთავრობის 2020 წლის 19 ოქტომბრის დადგენილება №633 – ვებგვერდი, 20.10.2020წ.*

## **მუხლი 112. ინფორმაცია მისადგომის სამეთვალყურეო პუნქტისათვის**

მეტეოროლოგიური სამსახური უზრუნველყოფს აეროდრომის სამეთვალყურეო მისადგომის პუნქტს უახლესი მეტეოროლოგიური ინფორმაციით:

ა) ადგილობრივი, რეგულარული და სპეციალური შეტყობინებებით, შეტყობინებებით METAR და SPECI, მათ შორის, წნევის მიმდინარე მონაცემებით, პროგნოზებით TAF-ი და “ტრენდის“ ტიპის პროგნოზებით და მათი კორექტივებით აეროდრომ(ებ)ზე;

ბ) ინფორმაციით SIGMET და AIRMET, გაფრთხილებებით ქარის წანაცვლების შესახებ და გაფრთხილებებით აეროდრომზე; შესაბამისი სპეციალური შეტყობინებებით საჰაერო ხომალდებიდან იმ საჰაერო სივრცის შესახებ, რომელიც განეკუთვნება მისადგომის სამეთვალყურეო პუნქტის მომსახურების ზონას;

გ) ნებისმიერი დამატებითი მეტეოროლოგიური ინფორმაციით, რომელთა მიმართებაშიც არსებობს ადგილობრივი შეთანხმებები, მაგალითად, მიწისპირა ქარის პროგნოზი ადზ-ზე პირობების შესაძლო შეცვლის განსაზღვრისათვის;

დ) მიღებული ინფორმაციით ვულკანური ფერფლის შესახებ, რომლებთან დაკავშირებითაც ჯერ არ იყო გამოცემული SIGMET;

ე) მიღებული ინფორმაციით ვულკანური მოქმედების, რომელიც წინ უსწრებს ამოფრქვევას, და/ან ვულკანური ამოფრქვევის შესახებ, მეტეოროლოგიურ სამსახურსა და სმმ-ის ორგანოს შორის შეთანხმებით.

*საქართველოს მთავრობის 2020 წლის 19 ოქტომბრის დადგენილება №633 – ვებგვერდი, 20.10.2020წ.*

## **მუხლი 113. ინფორმაცია რაიონული სამეთვალყურეო ცენტრისა და საფრენოსნო ინფორმაციის ცენტრისათვის**

1. მეტეოროლოგიური სამსახური უზრუნველყოფს აეროდრომის საფრენოსნო ინფორმაციის ცენტრს ან რაიონულ სამეთვალყურეო ცენტრს უახლესი მეტეოროლოგიური ინფორმაციით:

ა) შეტყობინებებით METAR და SPECI, მათ შორის წნევის მიმდინარე მონაცემებით აეროდრომზე და სხვა წერტილებზე, პროგნოზებით TAF და „ტრენდის“ ტიპის პროგნოზებით და მათი კორექტივებით აეროდრომ(ებ)ზე, რომლებიც მოიცავს საფრენოსნო ინფორმაციის ცენტრს ან რაიონულ სამეთვალყურეო ცენტრს რეგიონული სააერნოსნო შეთანხმების საფუძველზე, რომელიც მოიცავს აეროდრომებს მეზობელ საფრენოსნო ინფორმაციის რაიონებში; ქარის სიჩქარის და მიმართულების უახლესი მონაცემებით;

ბ) სიმაღლეებზე ქარის და ტემპერატურის პროგნოზებით, ფრენის მარშრუტზე ამინდის განსაკუთრებული მოვლენების პროგნოზებით და მათი კორექტივებით, განსაკუთრებით იმ მოვლენების შესახებ, რომლებსაც შეუძლიათ ხელი შეუშალონ ფრენების ვიზუალური წესებით შესრულებას. ინფორმაციით SIGMET და AIRMET, გაფრთხილებებით ქარის წანაცვლების შესახებ და გაფრთხილებებით აეროდრომზე; შესაბამისი სპეციალური შეტყობინებებით საჰაერო ხომალდებიდან



საფრენოსნო ინფორმაციის ან სამეთვალყურეო რაიონში და რეგიონული სააერნოსნო შეთანხმების და საფრენოსნო ინფორმაციის ცენტრის ან რაიონული სამეთვალყურეო ცენტრის მოთხოვნის შესაბამისად.

2. საფრენოსნო ინფორმაციის მიზნებისათვის, აუცილებლობის შემთხვევაში, მიმდინარე მეტეოროლოგიური შეტყობინებები და პროგნოზები მიეწოდებათ საავიაციო ელექტროკავშირის სადგურებს. აუცილებლობის შემთხვევაში, ამგვარი ინფორმაციის ასლი ეგზავნებათ საფრენოსნო ინფორმაციის ცენტრს ან რაიონულ სამეთვალყურეო ცენტრს.

3. საჰაერო მოძრაობის მომსახურების ორგანოები უზრუნველყოფილნი არიან ადგილობრივი, რეგულარული და სპეციალური შეტყობინებებით, შეტყობინებებით METAR და SPECI, პროგნოზებით TAF და „ტრენდის“ ტიპის პროგნოზებით, ინფორმაციით SIGMET და AIRMET, სიმაღლეებზე ქარისა და ტემპერატურის პროგნოზებით და მათი კორექტივებით იმ ფორმით, რა ფორმითაც ისინი გამოიცემა და ეგზავნებათ სხვა აეროდრომის მეტეოროლოგიურ სამსახურებს ან მეტეოროლოგიური თვალთვალის ორგანოებს, ან მიღებულია მათგან.

*საქართველოს მთავრობის 2016 წლის 11 თებერვლის დადგენილება №60 – ვებგვერდი, 15.02.2016წ.  
საქართველოს მთავრობის 2020 წლის 19 ოქტომბრის დადგენილება №633 – ვებგვერდი, 20.10.2020წ.*

#### **მუხლი 114. ინფორმაცია ძებნა-შველის ორგანოებისათვის**

1. ინფორმაცია, რომლითაც უზრუნველყოფილნი არიან ძებნა-შველის საკოორდინაციო ცენტრები, შეიცავს მონაცემებს მეტეოროლოგიური პირობების შესახებ, რომელსაც ადგილი ჰქონდა მაშინ, როდესაც ცნობილი იყო უგზო-უკვლოდ დაკარგული საჰაერო ხომალდის უკანასკნელი ადგილსამყოფელის შესახებ, აგრეთვე აღნიშნული საჰაერო ბორტის დაგეგმილი მარშრუტის მეტეოროლოგიური პირობების შესახებ მონაცემებს, შემდეგის მითითებით:

- ა) ამინდის განსაკუთრებული მოვლენების ფრენის მარშრუტზე;
- ბ) ღრუბლების რაოდენობის და სახეობების (კერძოდ, გროვა-საწვიმარის) და ღრუბლის ქვედა და ზედა საზღვრის;
- გ) ხილვადობის და იმ მოვლენების, რომლებიც აუარესებენ ხილვადობას;
- დ) მიწისპირა ქარის და სიმაღლეებზე ქარის;
- ე) ზედაპირის მდგომარეობის, მათ შორის, თოვლის საფარის ან წყლის არსებობის;
- ვ) ზღვის ზედაპირის ტემპერატურის, ზღვის მდგომარეობის, ყინულის საფარის, ასეთის არსებობისას და ოკეანის დინებების;
- ზ) წნევის ზღვის დონეზე.

2. ძებნა-შველის საკოორდინაციო ცენტრის მოთხოვნის საფუძველზე, აეროდრომის მეტეოროლოგიური სამსახური ან მეტეოროლოგიური თვალთვალის ორგანო ყველა ღონეს მიმართავს დეტალური მონაცემების მისაღებად იმ საფრენოსნო დოკუმენტაციაზე, რომელიც მიეწოდა უგზო-უკვლოდ დაკარგული საჰაერო ხომალდის ეკიპაჟს, მათ შორის, პროგნოზების კორექტივები, რომლებიც გადაეცა ჰაერში მყოფ საჰაერო ხომალდის ბორტს.

3. ძებნა-შველის ოპერაციის ხელშეწყობის მიზნით, აეროდრომის მეტეოროლოგიური სამსახური ან მეტეოროლოგიური თვალთვალის ორგანო, მოთხოვნის საფუძველზე, წარადგენს:

- ა) სრულ და დეტალურ ინფორმაციას მიმდინარე და სავარაუდო მეტეოროლოგიური პირობების შესახებ ძებნის ზონაში და
- ბ) ინფორმაციას მიმდინარე და სავარაუდო მეტეოროლოგიური პირობების შესახებ ფრენის მარშრუტზე, მათ შორის, იმ ფრენის მარშრუტებზე, რომლებსაც ასრულებენ სამამველო საჰაერო ხომალდები იმ აეროდრომიდან მოშორებით, საიდანაც მიმდინარეობს ძებნა.



4. ძებნა-შველის საკოორდინაციო ცენტრის მოთხოვნით აეროდრომის მეტეოროლოგიური სამსახური ან მეტეოროლოგიური თვალთვალის ორგანო უზრუნველყოფს აუცილებელი მეტეოროლოგიური ინფორმაციით წყალზე და ხომალდებს, რომლებიც აწარმოებენ ძებნა-შველის ოპერაციებს.

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 11 თებერვლის დადგენილება №60 – ვებგვერდი, 15.02.2016წ.

### **მუხლი 115. ინფორმაცია სააერნაოსნო ინფორმაციის სამსახურებისათვის**

სააერნაოსნო ინფორმაციის სამსახურებს მიეწოდება შემდეგი ინფორმაცია:

ა) საერთაშორისო აერნაოსნობის მეტეოროლოგიური უზრუნველყოფის შესახებ, რომელიც განკუთვნილია საქართველოს სააერნაოსნო ინფორმაციის კრებულში (AIP GEORGIA) ჩასართავად;

ბ) აუცილებელი ინფორმაციით NOTAM-ის და ASHTAM-ის მოსამზადებლად, მათ შორის, ინფორმაციით:

ბ.ა) შემოდების, შეწყვეტის და მნიშვნელოვანი ცვლილებების შესახებ საავიაციო მეტეოროლოგიური მომსახურების ორგანიზებაში. აღნიშნული ინფორმაცია მიეწოდებათ სააერნაოსნო ინფორმაციის სამსახურებს დროულად, ძალაში შესვლის ვადამდე, რათა საქართველოს მთავრობის 2016 წლის 11 ოქტომბრის №471 დადგენილების „ჰაერსანაოსნო მონაცემების და ჰაერსანაოსნო ინფორმაციის მიმწოდებლების, მათი უფლებამოვალეობების და ჰაერსანაოსნო მონაცემების და ჰაერსანაოსნო ინფორმაციის მიწოდების წესის“ მე-8 მუხლის შესაბამისად იყოს NOTAM-ის გამოცემის შესაძლებლობა;

ბ.ბ) ვულკანური მოქმედების წარმოშობის შესახებ;

ბ.გ) ატმოსფეროში რადიოაქტიური ნივთიერების ავარიულად მოხვედრის შესახებ მიღებული ინფორმაციით;

გ) აუცილებელი ინფორმაციით სააერნაოსნო ინფორმაციის ცირკულარების მოსამზადებლად; მათ შორის, ინფორმაციით:

გ.ა) საავიაციო მეტეოროლოგიურ მომსახურებაში მნიშვნელოვანი ცვლილებების შესახებ, მისი ორგანიზების წესებისა და საშუალებების შესახებ, და:

გ.ბ) საჰაერო ხომალდების ფრენების შესრულებაზე განსაზღვრული მეტეოროლოგიური ორგანოების ზემოქმედების შესახებ.

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 19 ოქტომბრის დადგენილება №633 – ვებგვერდი, 20.10.2020წ.

## **თავი XX**

### **ტექნიკური მოთხოვნები კავშირის საშუალებებთან და მათ გამოყენებასთან**

### **მუხლი 116. აუცილებელი დრო მეტეოროლოგიური ინფორმაციის გადასაცემად**

ოპერატიული მეტეოროლოგიური ინფორმაციის შემცველი შეტყობინებებისა და ბიულეტენების გადაცემის დრო არ უნდა აღემატებოდეს 5 წუთს.

საქართველოს მთავრობის 2018 წლის 21 თებერვლის დადგენილება №97 – ვებგვერდი, 23.02.2018წ.

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 19 ოქტომბრის დადგენილება №633 – ვებგვერდი, 20.10.2020წ.

### **მუხლი 117. მეტეოროლოგიური ბიულეტენები ანბანურ-ციფრულ ფორმაში**

1. მეტეოროლოგიური ბიულეტენები, რომლებიც განკუთვნილია რეგულარული გადაცემებისათვის, უნდა გადაიცეს რეგულარულად, მითითებულ დროს განრიგის მიხედვით. შეტყობინება METAR უნდა გადაიცეს არაუგვიანეს 5 წუთისა, დაკვირვების ფაქტობრივი დროიდან. პროგნოზები TAF უნდა გადაიცეს 1 საათით ადრე მის ძალაში შესვლამდე.



2. მეტეოროლოგიურ ბიულეტენებს, რომლებიც შეიცავენ ოპერატიულ მეტეოროლოგიურ ინფორმაციას და ექვემდებარებიან საავიაციო ფიქსირებული კავშირის ან საჯარო ინტერნეტით გადაცემას აქვთ სათაური, რომელიც შედგება:

- ა) პირობითი აღნიშვნა;
- ბ) გამოსაყენებელი იკაო-ს ადგილმდებარეობის ინდექსი;
- გ) ჯგუფი „თარიღი-დრო“;
- დ) აუცილებლობის შემთხვევაში სამასოიანი ინდექსი

3. ოპერატიული მეტეოროლოგიური ინფორმაციის შემცველი ბიულეტენები უნდა გავრცელდეს საავიაციო ფიქსირებული მომსახურების (AFS) საშუალებით.

4. ზჰმც-ის მონაცემების გადასაცემად უნდა გამოიყენებოდეს სააერნაოსნო ფიქსირებული მომსახურება ან საჯარო ინტერნეტი.

5. იმ შემთხვევებში, როდესაც ზჰმც-ს მონაცემები ვრცელდება რუკების სახით, მათი ხარისხი უნდა უზრუნველყოფდეს საკმარისად მკაფიო გამოსახულებას ფრენების დაგეგმვისა და დოკუმენტაციის მოსამზადებლად. მიღებული რუკების გამოსახულების 95% უნდა იყოს ნათლად გასარჩევი.

6. ინფორმაციის გადაცემისას შესვენებამ არ უნდა გადააჭარბოს 10 წუთს მუშაობის ნებისმიერი ხანგრძლივობისას.

7. თუ მაღალ სიმაღლეებზე მონაცემების გამოყენება რეგულარული ბადის კვანძებში ციფრული ფორმით ხელმისაწვდომია სმმ-ის ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანებით, მათი გადაცემის წესები უნდა განისაზღვროს სმმ-სა და აეროდრომის მეტეოროლოგიურ სამსახურს შორის შეთანხმებით.

8. თუ მაღალ სიმაღლეებზე მონაცემების გამოყენება რეგულარული ბადის კვანძებში ციფრული ფორმით ხელმისაწვდომია ექსპლუატანტებისათვის ფრენების დასაგეგმად ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანებით, მათი გადაცემის წესები უნდა განისაზღვროს ექსპლუატანტებსა და აეროდრომის მეტეოროლოგიურ სამსახურს შორის შეთანხმებით.

*საქართველოს მთავრობის 2016 წლის 11 თებერვლის დადგენილება №60 – ვებგვერდი, 15.02.2016წ.  
საქართველოს მთავრობის 2018 წლის 21 თებერვლის დადგენილება №97 – ვებგვერდი, 23.02.2018წ.  
საქართველოს მთავრობის 2020 წლის 19 ოქტომბრის დადგენილება №633 – ვებგვერდი, 20.10.2020წ.*

**მუხლი 118. საავიაციო მოძრავი სამსახურის კავშირის საშუალებების გამოყენება**

- 1. საჰაერო ხომალდის ბორტზე გადასაცემი შეტყობინებების, პროგნოზების და ინფორმაცია SIGMET-ის ფორმატი და შინაარსი შეესაბამება ამ წესის მე-4, 6 და მე-7 თავების დებულებებს.
- 2. საჰაერო ხომალდის ბორტიდან გადმოცემული შეტყობინებების ფორმატი და შინაარსი შეესაბამება ამ წესის მე-5 თავის დებულებებს და “საჰაერო მოძრაობის ორგანიზაცია“(PანS-ATM Doc 4444) პირველ დამატებას.
- 3. საავიაციო მოძრავი სამსახურის მიერ გადაცემული მეტეოროლოგიური ბიულეტენის შინაარსი არ განსხვავდება ბიულეტენის თავდაპირველი ვარიანტისაგან.

**მუხლი 119. მონაცემთა გადამცემი ხაზის – D-VOLMET-ის გამოყენება**

- 1. აეროდრომები, რომლებზეც შეტყობინება METAR, SPECI და TAF გადაიცემა კავშირის ხაზით „მაღლა“ ჰაერში მყოფი საჰაერო ხომალდების ბორტებზე, განსაზღვრულია რეგიონული სააერნაოსნო შეთანხმებით.
- 2. საფრენოსნო ინფორმაციის რაიონები, რომელთათვის შეტყობინება SIGMET და AIRMET ექვემდებარება გადაცემას კავშირის ხაზით “მაღლა“ ჰაერში მყოფი საჰაერო ხომალდების ბორტებზე, განსაზღვრულია რეგიონული სააერნაოსნო შეთანხმებით.





- შეტობინებების, პროგნოზების და ინფორმაციების SIGMET და AIRMET-ის ფორმატი და შინაარსი, რომლებიც წარმოადგენს D-VOLMET-ის შემადგენელ ნაწილს, შეესაბამება ამ წესის მე-4, მე-6, და მე-7 თავების დებულებებს.
- აეროდრომები, რომელთა METAR და SPECI განკუთვნილია ჰაერში მყოფ საჰაერო ხომალდზე გადასაცემად, განისაზღვრება რეგიონული სააერნაოსნო შეთანხმებით.
- საფრენოსნო ინფორმაციის რაიონი, რომლის SIGMET და AIRMET განკუთვნილია ჰაერში მყოფ საჰაერო ხომალდზე გადასაცემად, განისაზღვრება რეგიონული სააერნაოსნო შეთანხმებით.
- უახლესი METAR, TAF, SPECI, მოქმედი SIGMET და AIRMET უნდა გადაიცემოდეს ხაზით „მაღლა“ ჰაერში მყოფი საჰაერო ხომალდებისათვის.
- D-VOLMET-ში ჩართული TAF, აუცილებლობის შემთხვევაში, უნდა კორექტირდებოდეს, რათა კავშირის ხაზით „მაღლა“ საჰაერო ხომალდზე გადასაცემ ყოველ პროგნოზში ასახულ იქნეს აეროდრომის მეტეოროლოგიური ბოლო ვერსია.
- თუ საფრენოსნო ინფორმაციის ცენტრისათვის არ არის მოქმედი SIGMET, D-VOLMET-ში უნდა მიეთითოს NIL SIGMET.

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 11 თებერვლის დადგენილება №60 – ვებგვერდი, 15.02.2016წ.

## **მუხლი 120. რადიოსამაუწყებლო გადამცემი VOLMET**

- აეროდრომები, რომელთათვის რადიოსამაუწყებლო გადაცემისას VOLMET ტრანსლირდება შეტობინებები და პროგნოზები, აგრეთვე მათი გადაცემის დრო, განისაზღვრება რეგიონული სააერნაოსნო შეთანხმებით.
- საფრენოსნო ინფორმაციის რაიონები, რომელთათვის შეტყობინება SIGMET ჩართულია რეგულარულ რადიოსამაუწყებლო გადაცემებში VOLMET, განისაზღვრება რეგიონული სააერნაოსნო შეთანხმებით. თუ შეთანხმებით გათვალისწინებულია მათი ჩართვა შეტყობინება SIGMET გადაცემა გადაცემის დასაწყისში ან 5-წუთიანი დროის მონაკვეთის დასაწყისში.
- შეტობინებების, პროგნოზების და ინფორმაციის SIGMET ფორმატი და შინაარსი, რომლებიც წარმოადგენს VOLMET-ის შემადგენელ ნაწილს, შეესაბამება ამ წესის მე-4, მე-6, და მე-7 თავების დებულებებს.

**შენიშვნა:** ინსტრუქციული მასალები, რომლებიც ეხება რადიოსამაუწყებლო საშუალებებით გადაცემას VOLMET-ის სტანდარტულ რადიოსატელეფონო ფრაზეოლოგიას მოცემულია „საჰაერო მართვის მომსახურების, სააერნაოსნო ინფორმაციის სამსახურის და საავიაციო მეტეოროლოგიურ ორგანოებს შორის კოორდინაციის სახელმძღვანელოს (DOC 9377) პირველ დამატებაში.

**დანართი 1**  
**(ამოღებულია)**

საქართველოს მთავრობის 2018 წლის 21 თებერვლის დადგენილება №97 – ვებგვერდი, 23.02.2018წ.

**დანართი 2**  
**(ამოღებულია)**

საქართველოს მთავრობის 2018 წლის 21 თებერვლის დადგენილება №97 – ვებგვერდი, 23.02.2018წ.

**დანართი 3**  
**(თან ერთვის დანართის სახით)**

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 19 ოქტომბრის დადგენილება №633 – ვებგვერდი, 20.10.2020წ.

**დანართი 4**





(თან ერთვის დანართის სახით)

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 19 ოქტომბრის დადგენილება №633 – ვებგვერდი, 20.10.2020წ.

